


1950 12

მ. F

ისტორიული  
მდგრადი მეცნიერებები

# მასნიჩებულება და ტექნიკა



მასნიჩებულება-ტექნიკა  
ქანალი

2

1950

საქართველოს სსრ მასნიჩებულებათა აკადემია

# მესნიკებსა და ტურისტებს

საქართველოს სსრ გაცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური  
გაცნიასა-კოკურასური ეროვნული

1950 თებერვალი № 2

რედაქციის მმართველი:  
ლესელიძის ქ. № 22, ტელ. 3-46-49



კმხანაბო კმომლჩევლებო !  
სსრ კავშირის ემალლას საბჭოო  
კვილჩიოთ სოციალისტური სამოალოს  
ერზე ხებარი კანკილები !

სტალინური პრემიის ლაურეატის  
უნია ჯაფარიძის პლატი



4954

# საბჭოთა საქართველოს 29-ე წლისთავი

ნ. 16. ჩხერიმელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საპატის თავმჯდომარე;

ქართველი ხალხი უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმაგლობის გითარებაში აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 29-ე წლისთავს. 29 წლის წინათ ქართველმა ხალხმა, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, მოიშორა მენენჯერი მთავრობის საძულველი უდელი, დაამყარა საბჭოების ხელისუფლება და შევიდა საბჭოთა ხალხების ოჯახში, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მობრუნების პუნქტი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში, რომელიც სამუდამოდ გათავისუფლდა სოციალური ჩაგვრისა და ეროვნული დამონებისაგან. ქართველი ხალხის მიერ თავისუფალი სახელმწიფოებრივი განვითარების 29 წლის მანძილზე გავლილი გზა ბრწყინვალედ ადასტურებს ლენინურ-სტალინური წეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, რომელმაც უზრუნველყო სოციალისტური მშენებლობის უმაგალითო წარმატებათა მიღწევა საბჭოთა საქართველოში.

იმ უდიდესი მიღწევების მაგალითთ, რომლებიც საქართველოს სსრ ასპასუბლივას აქვს 29 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ნათელი ხდება საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მთელი ძალა. მჭიდრო თანამეგობრობით, ხელიხელჩილებული განვლეს სსრ კავშირის ხალხებმა სტალინური ხუთწლედების შემოქმედებითი წლები, ერთად გადალახეს დიდი სამულო მის მიმეგობას განსაცდელი, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულნი შეუდგნენ გერმანელ-ფა-



შისტ დამპყრობლების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის წალდგენასა და შემდგომ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

ამ ერთობლივ ბრძოლაში ქართველი ხალხი, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხი, მუდამ გრძელობდა თავისი უფროსი თანამომმის—დიდიშრუსი ხალხის დახმარებას.

შავბნელი წარსულის უკვე დიდი ხნის დაგიწყებულ ფურცელს წარმოადგენს წამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთ შულლი და მტრობა, რასაც აღვიყებდნენ იმპერიალიზმის საზიზლარი ლაქიები—მენშევიკები, დაშანაები და მუსავატელები.

ამიერკავკასიის ხალხთა ურლევე მეგობრობის საფუძვლზე წლითიწლობით ფართოვდება და მტკიცება მომე სოციალისტური რესპუბლიკების—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეურნეო და კულტურული კავშირი.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორის—კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობის მეოხებით საბჭოთა საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობისა და კულტურის კველა დარგში.

მუშაობის საბრძოლო სტალინურმა ტრადიციებმა, რაც საქართველოს ბოლშევიკებში დანერგა დიდი სტალინის სახელოვანმა თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამ. ლ. პ. ბერიამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობას, მისმა უდიდესმა ორგანიზატორულმა ნიჭმა უზრუნველყო სტალინური

ხუთწლელების სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით განხორციელება.

გადახედავს რა განვლილ სახელოვან გზას, ქართველი ხალხი უსაზღვრო სიყვარულით მიაპყობა თვალს საბჭოთა ხალხების დიდ მეორბარს, მასწავლებელსა და ბელადს ამხანაგ სტალინს, ვისი ხელმძღვანელობა, მუდმივი ყურადღება და მზრუნველობა ყველა ჩვენი გამარჯვების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ჩვენს ხალხს ღრმად აქვს შეგნებული, რომ ყველა მიღწევას, რაც მან განვლილი 29 წლის მანძილზე მოიპოვა, იგი უნდა უმაღლოდეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობას, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობას.

განვლილი წლების მანძილზე განუხრელად იზრდებოდა და მტკიცდებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა.

ინდუსტრიალიზაციის ლენინურ-სტალინური პოლიტიკის განხორციელებამ საშუალება მოგვცა შეგვექმნა მძლავრი ენერგეტიკული და სამრეწველო ბაზა, რომელიც რესპუბლიკის სოციალისტური გარდაქმნის მატერიალურ საფუძვლად გადაეცეცა.

ვხელმძღვანელობით რა დიდი ლენინის მითია უძებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის „თეთრი ნახშირის“ მნიშვნელობის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღე-ბიდანვე საქართველოში დაიწყო უაღრესად მნიშვნელოვანი მუშაობა რესპუბლიკის უმდიდრესი პიდროვერგეტიკული რესურსების ათვისებისათვის. ამ საქმისაღმი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური ყურადღების შედეგად, საქართველოს სს რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრე რამდენჯერმე აღემატება 1913 წელს არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრეს.

ამ წლების განმავლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ. გასულ წელს რესპუბლიკის შახტებმა მოგვცეს რამდენჯერმე მეტი ქვანახშირი, ვიღრე 1913 წელს. განვლილ პერიოდში დიდი სამუშაოები ჩატარდა ქვანახშირის არსებული შახტების რეკონსტრუქციისა და ახალი შახტების აშენებისათვის, ქვანახშირის ახალი საბადოების ათვისებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში დიდად გაიზარდა მარგანეცის მაღნის მოპოვება,

რესპუბლიკის მანქანათმშენებელი საწარმოები, რომლებიც სტალინური ხუთწლელების განმავლობაში შეიქმნა, ამზადებენ სხვადასხვა პროდუქციას, ლითონსაჭრელ დაზგებს, მანქანებს ჩაის მრეწველობისა და მელვინეობისათვის, აბრეშუმსაქსოვ დაზგებს, სამთა-საშახტო მოწყობილობას, რადიო-სატელეგრაფო აპარატურას და ბევრი სხვა სახის შოწყობილობას და ფართო შობმარების საგნებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა მსუბუქი მრეწველობა, რომელიც რეკოლუციამდელ პერიოდში რამდენიმე ნახევრადკუსტარული საწარმოსაგან შედგებოდა. საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა კვების მრეწველობა, რომელიც განვლილი წლების მანძილზე ჩვენი ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აგებულ იქნა 46 ჩაის ფაბრიკა, მელვინეობის, საკონსერვო, თმბაჭის, შაქრის, ეთერზეთის, ტუნგოზეთსახდელი და კვების მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები, რომლებსაც ნედლეულს აწვდის რესპუბლიკის მრავალფეროვანი ნოთლის მეურნეობა.

საქართველოს მრეწველობამ ახალ აღმავლობას მიაღწია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლელის განმავლობაში.

სამრეწველო წარმოების მოცულობა ახლა 39-ჯერ აღმატება 1913 წლის დონეს. გასულ წელს საქართველოს თითო სულ მოსახლეზე გამომუშავებულ იქნა 30-ჯერ უფრო მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიღრე 1913 წელს. 1949 წელს გამომუშავებულ იქნა 46,2 პროცენტით მეტი ხაერთო პროდუქცია, ვიღრე ომამდელ 1940 წელს და 82 პროცენტით მეტი, ვიღრე 1945 წელს.

საქართველოს სსრ საკაშირო-რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა მრეწველობამ ომისშემდგომი ხუთწლელით 1950 წლისათვის დაწესებული საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1949 წელს შეასრულა 101,8 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის ეს წარმატებები მიღწეულია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლელის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მშრომელთა ფართო და აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

ომისშემდგომ ხუთწლელში ფართო ფრონტით წარმოებს სამრეწველო კაპიტალური მშენებლობა. მთელი ქართველი ხალხის სიამაყეა მეოთხე ხუთწლელის განმავლობაში შექმნილი ახალი ქალა-

ქი რუსთავი. ამ ხნის განმავლობაში მძღვრი საწარმოები აშენდა ქალაქ ქუთაისში.

წარმატებით მიმდინარეობს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და გაფართოების სამუშაოები. თბილისის კამპოლ-მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, რაც ამჟამად ხორციელდება, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფეიქრო საწარმოდ გადააქცევს მას. ქალაქ გორში შენდება ბამბეჭლის მძღვრი კომბინატი.

პასუხსავები ამოცნები დგას რესპუბლიკის წინაშე კვების მრეწველობის ახალ საწარმოთა მშენებლობის დარგში. ჩაის გამოშვება საქართველოში 1955 წლისათვის უნდა გადიდეს 4,5-ჯერ 1948 წელთან შედარებით. რესპუბლიკის სუბტროპიკულ რაიონებში 1950 წელს შენდება 18 ახალი ჩაის ფაბრიკა, გათვალისწინებული 46 მილიონი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის გადასამუშავებლად. სამრეწველო განვითარების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებათა საფუძველს წარმოადგენს ბოლშევკიური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, მუდმივი მზრუნველობა და ყურადღება, რასაც ჩვენს მიმართ იჩენენ საკავშირო კ. პ. (გ) ცენტრალური კომიტეტი და მშრომელთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ძირები ცვლილებანი მოხდა აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც. საბჭოთა ხელისუფლებამ და საკოლმეურნეო წყობილებამ შესაძლებელი გახდეს საქართველოს მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის სრული რეკონსტრუქციის განხორციელება, მექანიზაციისა და მოწინაცე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვა.

პარტო უკანასკნელი თვრამეტი წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციების ფართობი რესპუბლიკაში თითქმის ერთიორად გადიდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე ჩაის ბუჩქის მოსავლიანობა, რომელმაც 1949 წელს ერთიორად და მეტად გადააჭარბა 1932 წლის დონეს.

პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებებით საქართველოში უხელოეს წლებში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდი პროგრამის განხორციელება. უნდა გაშენდეს ათიათასობით ჰექტარი ჩაის, ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები, ვენახი, ხეხილის ბაღები და სხვ. საქართველოს ბოლშევიკებმა პირობა მისცეს ამხანაგ სტალინს ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ერთიორად და მეტად გაადიდონ, ციტ-

რუსოვანთა დამზადება აიყვანონ 2-2,5 მილიარდ ცალამდე, ყურძნისა—100 ათას ტონამდე, თამაზაქის დამზადება—20 ათას ტონამდე, სუბტროპიკული პლანტაციების დასაცავად გაშენდება 11 ქარსა-ცავი ზოლი, ხოლო ევკალიპტის ნარგავთა რაოდენობა აყვანილ იქნება 100 მილიონ ძირამდე.

საქართველოს რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად სულ უფრო მეტ ძვირფას პროდუქციის აძლევს სახელმწიფოს. რესპუბლიკის კოლმეურნეობები სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფო დამზადებათა დარგში. გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 5,2 ათასი ტონით მეტი თამბაქო, ვიდრე ომადელ 1940 წელს, ჩაის მწვანე ფოთოლი თითქმის 24 ათასი ტონით მეტი, ყურძნი—20 ათასი ტონით მეტი, ციტრუსოვანთა ნაყოფი—282 მილიონი ცალით მეტი და სხვ.

საქართველოს კოლმეურნეობებში წლითიწლობით იზრდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა. 1940 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ცხვრის, თხისა და ღორის სულადობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი დიდი საირიგაციო სისტემის — სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობას, რომელიც დიდი სტალინის მითითებით დაიწყო. ამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ 35 ათასი ჰექტარი ფართობი, რომელიც თბილის აკრავს, უხვმოსავლიან მინდვრებად, ბალებად და პლანტაციებად გადაიქცევა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელნი უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვიან იმისათვის, რომ შესარულონ პარტიისა და მთავრობის დავალებანი საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოს, მარცვლეული და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მოყვანასთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 5.500-ზე მეტი მოწინაცე დაჭილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 784 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

სოფლის მეურნეობის უკელა დარგის აღმავლობა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცება უზრუნველყოფს კოლმეურნეოთა შეძლებულობის

განუწყვეტელ ზრდას. საქართველოს კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი ომა-დელ ღონესთან შედარებით ერთი-ორად და მეტად გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეთა შრომადლეების ნატურალური და ფულადი ანაზღაურება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარება და კოლმეურნე გლეხობის შეძლებულობის განუჩრელი ზრდა განუყრელად დაკავშირებულია კომუნიზმის ყველა გამარჯვების დიდი სულისხამდგმელის ამხანაგ სტალინის სახელთან, რომლის ინიციატივით და მითითებებით ხორციელდება რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ყველა უმნიშვნელოვანესი ღონისძიება.

ბოლშევიკური პარტია, ამხანაგი სტალინი სახალხო მეურნეობასთან ერთად შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ ქართველი ხალხის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებას.

სულ უფრო ფართოდ და ლრმად შედის ხალხში განათლება, მეცნიერება, ხელოვნება. ამჟამად საქართველოში არის 4.274 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 723 ათასი კაცი, თითქმის ხუჭერ მეტი, ვიდრე 1914 წელს. რესპუბლიკის 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 25 ათასი სტუდენტი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 58 ათასზე მეტი ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, ეკონომისტი, პედაგოგი და სხვა სპეციალისტი.

1949 წელს გამოიცა თითქმის 12-ჯერ მეტი წიგნი და უზრნალი, ვიდრე 1921 წელს. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა დიდი ტირაჟით.

რესპუბლიკის დიდ სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 1941 წელს შეიქმნა. აკადემიის მრავალი ინსტიტუტი ამჟავებს დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა საგრძნობი ნაწილი უშუალოდ დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის საჭიროებთან.

ქართველი ხალხის კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. საქართველოს ვწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ საბჭოთა აღამიანების პატრიოტულ გრძნობებს, მათს თავ-

დადებულ ბრძოლას კომუნიზმის აშენების მიზანით გამოიწვია წარმოადგენი შემოქმედების დღესასწაულს წარმოადგენდა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელიც გასული წლის დამლევს გაიმართა. ხალხურ შემოქმედებაში განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი სიმღერები ხალხთა დიდ ბელადზე ამხანაგი ბ. სტალინზე. ამ სიმღერებში ქართველი ხალხი გამოხატავს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ბელადის მიმართ.

სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი მისაწვდომია მოსახლეობის ფართო მასებისათვის, აღწევს ხალხის სიღრმეში. ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობით მთელ საქართველოში შექმნილია სოციალისტური კულტურის კერების ფართო ქსელი.

წლითიწლობით იზრდება სოფლის ინტელიგენციის რიგები. ამჟამად საქართველოს სოფლებში მუშაობს ათათასობით ინჟინერი, აგრონომი, ტრაქტორისტი, კომბაინერი, ელექტროტექნიკოსი, ექიმი, მასწავლებელი, ზოოტექნიკოსი და სხვა სპეციალისტები, რომლებიც აქტიურ დახმარებას უწევენ საკოლმეურნეო სოფლის კულტურული ღონის შემდგომ ამაღლებას.

წლითიწლობით იზრდება საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, უდიდესი უზრადღება ექცევა მოსახლეობის ცხოვრების ღონის ამაღლებას, მის საყიდვაცხოვრებო საჭიროებათა დაკამაყოფილებას, რაც წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის საფუძველს.

რესპუბლიკის ქალაქებსა და მუშათა დაბებში ფართოდ გაჩაღებულია საცხოვრებელი სახლების, წყალსაღენების, აბანოების, კლუბების, თეატრების, კინო-თეატრების, ბაღების, პარკებისა და სხვ. მშენებლობა. მარტო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა მიიღეს 469 ათასი კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი.

საბჭოთა საქართველოს 29-ე წლისთავის დღესასწაული დაემთხვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას.

ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც ჩევენი ქვეყნის ყველა ხალხმა, დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად დაასახელა ხალხთა საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი, კომუნიზმის საქმი-

სათვის უდიდესი მეზრძოლი ამხანგი სტალინი, რომელიც უსაზღვროდ უყვართ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს.

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა კავშირმა, სსრ კავშირის სახელ-, მწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად დიდი სიხარულით დაასახელეს აგრეთვე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლნი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი.


უღრმესი კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობით შეხვდნენ საქართველოს მშრომელნი ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხ. ლ. პ. ბერია და თანხმდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში. ქართველი ხალხის საყვარელი შვილი, გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე ამხანგი ბერია უშუალოდ ხელმძღვანელობდა ომისწინა სტალინური ხუთწლედების განხორციელებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს გადაქცევა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

საქართველოს მშრომელნი, მთელ საბჭოთა ხალხებთან ერთად, უმაღლესი საბჭოს არჩევნების

დღეს აღნიშნავენ როგორც სასიხარულო ცაყვით ველთაო-სახალხო დღესასწაულს. ხმას მისცემს რა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი ხალხი ერთხელ კიდევ ცხადყოფს თავის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მაღალ ორგანიზებულობას, უსაზღვრო ნდობას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, კომუნიზმის გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორისა და შემოქმედის ამხანაგ სტალინისადმი.

სიმაყით აჯამებენ საქართველოს მშრომელნი განვლილი 29 წლის მანძილზე მიღწეულ წარმატებებს. ეს იყო რესპუბლიკის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფი ზრდისა და განუხრელი აღმავლობის წლები. სოციალისტური მშენებლობის ეს წარმატებანი მოპოვებულია იმის მეოხებით, რომ ქართველი ხალხი საქართველოს კ. პ. (პ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ და განუხრელად მიღიოდა ლენინ-სტალინის პარტიის მიერ მითითებული გზით, თავდადებით იბრძოდა გენიალურ სტალინურ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

საბჭოთა ძმურ ოჯახში, რომელიც ურღვევად შემჭიდროებულია ხალხთა სტალინური მეგობრობით, ქართველი ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამდოლობით მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის ნათელი გზით.



# დიდი ეროვნული ღრესასტაული

ვარე ეგნაგაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდიდარი

ქართველი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული—საბჭოთა წყობილების დამყარების 29 წლისთავი — სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სამზადის დაქმთხვა.

ქართველ ხალხს შეუძლია სიამაყის გრძნობით გადახედოს განვლილი ოცდაცხრა წლის გმირული ბრძოლისა და შრომის დიად გზას:

მან გაითავისუფლა თავი ბურუჟაზიულ-ფეოდალური ჩაგვრისაგან, ალიგინა ფეხქვეშ გათელილი ნაციონალური სახელმწიფოებრიობა და განახორციელა შეძლებული, კულტურული ცხოვრების უფლება.

ოდესალაც მეფის რუსეთის კოლონია, ნედლეულის წყარო, განუვითარებელი მრეწველობისა და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყანა, დღეს მოწინავე ინდუსტრიული საბჭოთა რესპუბლიკის ნიმუშს წარმოადგენს აყვავებული სოცალისტური სოფლის მეურნეობით.

1921 წლის 25 თებერვლის დღე საქართველოში მხოლოდ რამდენიმე პრიმიტიული საწარმო არსებობდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი, მეტადრესტალინური ხუთწლედების მანძილზე, ასობით მძღვარი საწარმო შეიქმნა — დაზგათმშენებელი, მანქანათმშენებელი, საფეიქრო, კვების მრეწველობისა და მრავალი სხვა.

შენდება სამრეწველო გიგანტები, მათ შორის — ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, გორის საფეიქრო კომბინატი.

კველი სუსტალოვანი და უმნიშვნელო რაოდენობის ელექტროსადგურების ადგილი დაიჭირეს ელექტროფიკაციის გიგანტებმა — ზაქესმა, რიონ-ჰესმა, ხრამჰესმა, სოხუმჰესმა, რომლებიც ენერგიით კვებავენ ჩვენს სოციალისტურ ინდუსტრიას, ჩვენს გაზრდილ სარკინიგზო ტრანსპორტს.

აშენებულია და შენდება სოფლის ელექტროსადგურების უფართოები ქსელი.

ელექტრობის შუქით გაჩირალდნებულია ოდესალაც მიყრუებული სოფლები და ათიათასობით კოლმეურნის კულტურულად მოწყობილი სახლ-კარი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხალხის გულშემატკივარი ადამიანი თითებზე ითვლიდა ქალაქისა და სოფლის სკოლებს.

ახლა საქართველოში გვაქვს 4.274 სკოლა 723 ათასი მოსწავლით. არსებობს აგრეთვე 118 ტექნიკუმი და სხვა სპეციალური საშუალო სკოლა.

წინათ მშრომელთა წრიდან გამოსული თითო-ოროლა ახალგაზრდა თუ ახერხებდა გიმნაზიის დამთავრებას, ხოლო უმაღლესი განათლების მისა-ლებად საქართველოდან უნდა გადახვეწილიყო: ჩვენ ხომ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ გაგვაჩნდა.

ახლა 19 უმაღლესი სასწავლებელი გვაქვს 25.000-დე სტუდენტით, მათ შორის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფართოდ არის გაშლილი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა, რომლის სისტემა 40 სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს შეიცავს.

ქართველ მეცნიერთა შრომები და მეცნიერებაში შეტანილი მათი წვლილი საქართველოს გარეთაც არის ცნობილი. ბევრი ჩვენი მეცნიერი და ჯილდოებულია სტალინური პრემიით.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ — დრამამ, ოპერამ, ბალეტმა, მუსიკამ, მხატვრობამ, ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა, განვითარების ფართო სარბიელი მოიპოვა და საპატიო ადგილი დაიჭირა მთელი საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე ლიტერატურისა და ხელოვნების გვერდით.

დიდი სამაშულო ომის შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობა და კოლექტიური სოფლის მეურნეობა ახალი ძალონით გაიფურჩენა. გაიზარდა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენება, გამოვლინებულია წარმოების დამატებითი შინაგანი რეზერვები, მიღებულია ნედლეულის, საწვავის, ელექტროენერგიის დიდი ეკონომია, გათავისუფლებულია მიღიონიბით საბრუნვით თანხები.

დღითიდღე უმჯობესდება მრეწველობის მუშაობის მაჩვენებლები, ფართოვდება მოძრაობა წარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

სწრაფად იზრდება ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების ბარაქიანობა, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების მოსავლიანობა, სოციალისტური მეცხოველეობის ნაყოფიერება, დიდდება სოფლის იმ მოწინავე ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც მთავრობის მაღალი ჯილდო დაიმსახურეს.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას წინ სწევს ახალი ტექნიკის განვითარება, მისი ფართოდ დანერგვა, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

საქართველოს მრეწველობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, საწარმოო ძალთა გაფურჩქვნას თან ახლავს სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონის ერთეულთი დამაღასტურებელი ფაქტი — ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შეუჩერებელი ზრდა.

1949 წელს ერთი მუშის საშუალო შემოსავალი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე 1948 წელს და, მეტადრე, ვიდრე 1940 წელს.

უმაგალითოდ გადიდდა აგრეთვე კოლმეურნეთა შემოსავალი.

ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შეუჩერებელ წინსვლას ნათლად მოწმობს მოსახლეობისათვის მიყიდული საქონლის რაოდენობის ცნობები, რომლებიც საქართველოს სსრ სტატისტიკურმა სამართველომ გამოაქვეყნა:

„1949 წელს, 1948 წელთან შედარებით, გაიზარდა საკოლმეურნეო სახელმწიფო და კომპერაციული ვაჭრობის ხაზით მოსახლეობისათვის მიყიდული სასურსათო და სამრეწველო საქონელი, განსაკუთრებით ხორცი, თევზი, ერბო-კარაქი, ცხიმი, რძე, რძის პროდუქტები, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმოები, ქსოვილები, ფეხსაცმელი და საპონი.

1948 წელთან შედარებით გადიდდა საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მათ შორის ფქვილი, ხორცი, ფრინველი, ბოსტნეულ-ბახეული, ხილი, ღვინო და სხვა... ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები, მეტადრე ხორცის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ერბო-კარაქის, რძისა და რძის პროდუქტებისა, მნიშვნელოვნად შემცირდა“.

ქართველმა ხალხმა მშვენივრად იცის, თუ ვას უნდა უმაღლოდეს იგი ბუმბერაზული ნაბიჯით წინსვლას ცხოვრების ყველა დარგში. მას კარგად

აქვს შეგნებული, რომ ყველა ისტორიული და მარტინი მოიპოვა საკავშირო კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის წინამძღოლობით, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მისი ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

ამხანავი სტალინი ყოველთვის უდიდესი ყურადღებით ეცყრობა საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარებას, მისი კულტურის აყვავებას, ყოველთვის სახელმძღვანელო მითითებას გვაძლევს ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად.

ხალხთა დიდი ბელადის დაბადების 70 წლისთავზე, რომელიც ქართველმა ერმა, საბჭოთა ქვეყნის სხვა ერებთან ერთად, საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადააქცია, ჩვენმა მწერლებმა მთელი ქართველი ხალხის გულის ნადები გამოხატეს, როცა ჩვენს მამასა და მასწავლებელს ღრმა სიყვარულით გამსჭვალული სიტყვებით მიმართეს:

„უნა ხარ, დიდო ბელადო, შზრუნველი ყველა ბალისა, ეს დღე ღიღებით მოსილი შენმა ნაოელმა გვაღინსა! გაც დაუსრუნე გაცობა, უროშის მიეცი ღირსება, ჩვენი სოფელიც, ქალაქიც უროშის გშირებით ივსება, მუროშელი ხალხის ფიქრის და გრძნობების გამოშხატველი უმღერს და ხატავს უნს სახეს შთაგონებული ქართველი“.

ქართველი ხალხი უდიდესი აღმაცლობის დღეებს განიცდის.

იგი გულმოღვინედ ემზადება 12 მარტისათვის — სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, რათა განახორციელოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებანი, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხს სტალინურმა კონსტიტუციამ დაუმკიდრა.

იგი მგზნებარე პატრიოტული ენთუზიაზმით აღნიშნავს თავისი გათავისუფლების 29 წლისთავს — ეროვნული დღესასწაულის ისტორიულ თარიღს, რომელმაც გარდააქმნა ძველი საქართველო და მის დაუშრეტელ მატერიალურსა თუ სულიერ ძალონებს სრული, ყოველმხრივი განვითარების უსაზომო ფართო გასაქანი მისცა.



# სართულუა გადახურვის ახალი კონსტიტუციები

ინჟინერი ვახტაგ შემმახვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის ასპირანტი

## მონოლიტური რეინაბეტონის ბრტყელი გადახურვები

როგორც საცხოვრებელი, ისე საწარმოო შენობების კონსტრუქციულ ნაწილებს შორის სართულუა გადახურვას თვალსაჩინო აღვილი უკავია. ტეირთამტანი ნაწილის მიხედვით მათ ჰყოფენ სამ ძირითად კონსტრუქციულ ჯგუფად: ხის, რკინაბეტონის და ფოლადის კოჭებიანი გადახურვა.

სართულუა გადახურვას მრავალ მოთხოვნილებას უყენებენ. სხვა კონსტრუქციებთან შედარებით რკინაბეტონის კონსტრუქცია უფრო მთლიანად აქმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს. რკინაბეტონის სართულუა გადახურვის დადებითი თვისებებია: ცეცხლგამძლეობა, სიმტკიცე, სიხისტე, გამძლეობა, დიდი ტვირთამტარობა, რხევებისადმი კარგი წინაღობა. იგი აქმაყოფილებს პიგიენურ მოთხოვნილებებს. შესაძლოა მივაღწიოთ აგრეთვე წყალგაუმტარობას. რკინაბეტონით შესაძლებელია დიდი მალების გადახურვა. იგი მშენებლივ აერთიანებს მოელ ნაგებობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ აღვილებისათვის, სადაც ხშირია მიწისძვრის მოვლენები და სხვ.

მონოლიტური რკინაბეტონის სართულუა გადახურვის უმარტივეს სახეს წარმოადგენს ბრტყელი ფილა, რომელიც ჩატანებულია კედლებში. მასი მალია 3—4 მეტრი, ხოლო უმცირესი სისქე 7 სმ. უფრო დიდი მალებისათვის ხელსაყრელია წიბოვანი ანუ კოჭოვანი გადახურვა, რომელიც ყველაზე გავრცელებულია. იგი შესაძლება ფილისაგან, რომელსაც წიბო-კოჭები აქვებენ. კოჭებს შორის მანძილი 1,5—3 მეტრის ტოლია, ხოლო მათი მალია 3,5—10 მეტრი. უმეტეს წილად გვხდება 4—6 მეტრიანი მალები. კოჭის სიმაღლე კეთდება არა ნაკლებ 1/20 მალისა.

ჩვეულებრივად ეს სიმაღლე 1/12—1/18 მალის ტოლია. წიბოვანი გადახურვა წარმოადგენს მონოლიტური რკინაბეტონის ყველაზე ეკონომიურ გადახურვას, მაგრამ ჭერი გამოდის არა ბრტყელი, არამედ წიბოვანი, რაც არქიტექტურული თვალსაზრისით ყოველთვის


არაა დასაშვები, ბრტყელი ჭერის შეკიდვა კი აძვირებს მას. ხანდახან წიბოვან გადახურვაში კოჭებს ათავსებენ ზემოდან, ხოლო ფილს ქვემოდან, იმისათვის რომ ბრტყელი ჭერი მიიღონ. რკინაბეტონის კონსტრუქციის ასეთი გადაწყვეტა არაა სასურველი.

დღიდი ფართების გადახურვისას აგებენ სვეტებს, შემდეგ ამ სვეტებზე ერთი მიმართულებით აყრდნობენ მთავარ კოჭებს, ხოლო მეორე მიმართულებით, თუ ეს საჭიროა, ათავსებენ ღმბებარე კოჭებს, რომელნაც თავის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებულია უჭრი ფილებით. თუ ფილა ყოველგვარი კოჭების გარეშე უშუალოდ ეყრდნობა სვეტებს, მაშინ გადახურვას უწოდებენ უკოჭოს ან სოკოსებურს. სოკოსებურს მას იმიტომ უწოდებენ, რომ სვეტი, რომელზედაც გადახურვა ეყრდნობა, ზემო ნაწილში განიერდება და ამის გამო სოკოს ფეხს მოვაგონებს. ფილის სისქე აქ კეთდება 15—30 სმ. სვეტების ბადე კვადრატულია ან უახლოვდება კვადრატს. სვეტებს შორის მანძილია 5—6 მეტრი. ასეთი გადახურვა ეკონომიურია დიდი დატვირთვის შემთხვევაში და ამიტომ მას იყენებენ საწარმო შენობებში. მისი დადებითი მხარეა სუფთა ჭერი, სათავსოს უკეთესი განათება, ვიღრე ეს გვეონდა წიბოვან გადახურვაში, და სართულუა სივრცის უკეთესი გამოყენება.

შემდეგ სახეს მონოლიტური რკინაბეტონის სართულუა გადახურვისა წარმოადგენს ხშირწიბოვანი გადახურვა. კოჭების შიდა კიდეებს შორის მანძილი კეთდება 25—70 სმ. კოჭების სიმაღლე კი 20—30 სმ. სიგანე 6—12 სმ., ფილის სისქე—3—5 სმ. კოჭებს შორის სივრცე შეივსება ხის ყუთებით, კერამიკული ან თაბაშირის ბლოკებით, რომელთა შემწეობით შესაძლებელი ხდება ბრტყელი ჭერის მოწყობა და მარტივდება ქარგილები. ამგარი გადახურვა 5—6,5 მეტრიან მალებში, წიბოვან გადახურვასთან შედარებით, უკეთეს გადაწყვეტას იძლევა.

ხშირწიბოვანი გადახურვის სახესხვაობას წარმოადგენს კესონური გადახურვა. იგი შესდგება ფილისაგან, რომელსაც იყავებს ჭვარედინა კოჭე-

ბის სისტემა. უკანასკნე-  
ლი თავის მხრივ ეყრ-  
დნობა ან უშუალოდ  
სვეტებს ანდა ჯგარე-  
დინა მთავარ კოჭებს.  
სვეტების ბადე ან კვა-  
დრატულია ან კვად-  
რატულოვდება. ფი-  
ლის სისქე 6—16 სმ.



ნახ. 1

უდრის. ასეთი გადა-  
ხურვა წიბოვან გადა-  
ხურვაზე ძვირია, ხოლო არქიტექტურული თვალ-  
საზრისით, მასზე უკეთესია.

თუ კესონური გადახურვის კოჭების ჩარჩოს  
45°-ით მოვაბრუნებთ, მივიღებთ ბადოვან გადა-  
ხურვას.

კარვისებრივი გადახურვა წარმოადგენს წაკვე-  
თილი პირამიდის ფართეულს, რომელიც თავისი  
ქვედა კუთხებით სვეტებს ეყრდნობა. გადახურ-  
ვის მალია 9—10 მეტრი. სიმაღლე მალის 1/8—1/12  
ნაწილს შეადგენს. ფილის სისქეა 8—10 სმ.  
ბრტყელი იატავის შესაქმნელად სიცარიელეს გა-  
დახურავენ რკინაბეტონის ფილით ან ხის ფენ-  
ლით, რაც საგრძნობლად აძვირებს მთელ გადა-  
ხურვას.

როგორც დავინახეთ, რკინაბეტონის განხილუ-  
ლი კონსტრუქციებით უსვეტებოთ შეიძლება 10  
მეტრამდე მალის გადახურვა. სვეტების მოწყობა  
ხშირად არაა სასურველი, ხოლო ზოგჯერ დაუშ-  
ვებელია კიდეც. დიდი მალების შემთხვევაში  
ბრტყელი გადახურვა დიდი სიმაღლის და მეტად  
მძიმე გამოდის, თან ძვირი ჯდება. ამიტომ საჭირო  
ხდება ისეთი ახალი კონსტრუქციების შექმნა, რო-  
მელშიც ეს ნაკლი გამორიცხული იქნება. საკითხი  
შესაძლოა გადაწყდეს ფრიად დამრეცი გარსების  
გამოყენებით.

## მონოლიტური რკინაბეტონის ჩარჩო- ვანი გადახურვები

უურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ მე-4 ნო-  
მერში მოთავსებული იყო ტექნიკას მეცნიერებათა  
კანდიდატის ოთარ ონაშეილის ნარკვევი სათაუ-  
რიოი: „გარსების გამოყენება მშენებლობაში“, რო-  
მელმაც მკითხველებს გააცნო გარსოვან კონს-  
ტრუქციების მშენებლობაში გამოყენების მაგა-  
ლითები და ამასთანავე აღნიშნა საბჭოთა მეცნიე-  
რების წამყვანი როლი დრეკად გარსთა თანამედ-  
როვე თეორიის შექმნაში.


გარსი ისეთ სხეულს ეწოდება, რომლის სისქე  
მის სხვა ზომებთან შედარებით, მეტად მცირეა და  
რომელის შუაფართეული არა სიბრტყეს, არამედ  
მრუდ ფართეულს წარმოადგენს. მეტად მცირე  
სიმრუდის გარსებს ფრიად დამრეცი ეწოდება.

ბრტყელ ფილებთან შედარებით გარსებს დადი  
ტვირთამტანობა ახასიათებს, ამიტომ მათ ფართვე  
გამოყენება ჰპოვებს სამშენებლო საქმეში. გარსე-  
ბით სართულშუა გადახურვებშია სარგებლობენ:  
რაღაც იგი სივრცითი კონსტრუქციაა, ამიტომ  
უფრო შეესაბამება რკინაბეტონის ბუნებას. სირ-  
თულე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი  
კონსტრუქციის სტატიკური ანგარიში შეტად რთუ-  
ლია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშე-  
ნებლო საქმის ინსტიტუტის საინჟინრო კონს-  
ტრუქციების განყოფილებაში ამჟამად მუშავდე-  
ბა გარსოვანი გადახურვების რაციონალური ტი-  
პები და მათი პრაქტიკული ანგარიშის მეთოდები.  
ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ რკინაბეტო-  
ნის გარსოვანი სართულშუა გადახურვის მეტად  
საინტერესო კონსტრუქცია, რომელიც პრაქტიკა-  
ში პირველად განახორციელა ინსტიტუტის ასპი-  
რანტმა დავით ქავაიამ. ამ კონსტრუქციის  
იდეა შემდეგში მდგომარეობს. ვთქვათ საჭიროა  
კვადრატული გეგმის მქონე სათავსოს გადახურვა  
(ნახ. 1).

კვადრატში ჩაიწერება წრე და მაში აიგება სიმეტ-  
რიული ფრიად დამრეცი თხელი გარსია—. გარსის  
ხისტი კონტურის შესაქმნელად კუთხებში კეთ-  
დება ბ—კოჭები. მაშასადამე, გარსი ჩამაგრებუ-  
ლია დ—კედლებში და ბ—კოჭებში. ამრიგად,  
გარსის კონტური წარმოადგენს წრეხაზე შემო-  
წერილ რვაკუთხედს. სათავსოს კუთხებში კეთ-  
დება ზ—სამკუთხოვანი მონოლითური ფილები.  
დ—კოჭები ისე უნდა შეირჩეს, რომ მათი უდი-  
დესი ჩანალუნი 10-ჯერ და კიდევ მეტად ნაკლები  
იყოს ა—გარსის ცენტრის ჩანალუნზე. რაღაც  
კოჭის სიგრძე მცირეა (იგი გადახურვის მალის  
0,41 ნაწილის ტოლია), ამიტომ მისთვის ასეთი  
დიდი სიხისტის მიცემა აღვილი აღმოჩნდა. ამას-  
თანავე კოჭის სიმაღლე თავსდება გადახურვის სი-  
მაღლეში. მეორე ნახაზზე ნაჩვენებია გადახურვის  
დიაგონალური ჭრილი. გადახურვა შეიძლება ნე-  
ბისმიერი მოხაზულობის იყოს და კოჭებიც ჩამო-  
იწიოს ჭერის დაბლა. ცეცხლგამძლე გადახურვის  
მისაღებად გარსზე ათავსებენ მსუბუქი მასალის  
შეგენებას, მაგალითად, წილას ან პერზას, რომლის  
ზემოთ კეთდება საიზოლაციო შრე და შემდეგ  
სუფთა იატავი, მაგალითად, ცემენტის ხსნარზე  
დაგებული მეტლახის ფილები.

ნახევრად ცეცხლგამ-  
დლე გადახურვას მივი-  
ღებთ მაშინ, თუ გარ-  
სზე დავალაგებთ ხის  
ძელაკებს და შემდეგ  
მასზე ხის იატავს და-  
გაგებთ. გარსის ამაღ-  
ლების რაციონალური  
ისარი მალის  $1/80 - 1/86$




ნახ. 2

ნაშილის ტოლია, გარსის სისქეა 6—8 სმ. ასეთი გადახურვა გაცილებით იაფი ჭდება, ვიდრე რკინაბეტონის სხვა რომელიმე მონოლითური კონსტრუქცია. იგი გამოდგება როგორც ძალიან ზღვა მალებში, ისე მცირე მალებში; მისი ავება მარტივია. გარსის ყოველ კვადრატულ მეტრზე მოითხოვს მინიმალურ არმატურას: 6 მილიმეტრი დიამეტრის მქონე 4—5 ფოლადის ლერს, რომლებიც ეწყობა რადიალური და წრიული მიმართულებით. მრავალსართულიან შენობაში ეკონომის ვალშევთ აგრეთვე შენობის სიმაღლეში, რადგან ასეთი გადახურვა მცირე სიმაღლისაა. გარდა ამისა, ყოველი სართული იზოლირებულია ცეცხლგამძლე სართულშუა გადახურვით. სილამაზის მხრივ ასეთი გადახურვა ყველა აქამდე აჩსებულ რკინაბეტონის გადახურვებზე ბევრად უკეთესია. ჭერი გამოდის სუფთა და კარგად განათებული. მეტად დიდი მალების გადახურვის შემთხვევაში გარსის განათება ხდება მისი ცენტრიდან, ხოლო სამკუთხოვანი ფილების განათება ეწყობა დამოუკიდებლად. მრავალსართულიან შენობაში გადახურვები დაკავშირებულია ანტისეისმურ სარტყელებთან, რითაც შენობის საერთო სიხისტე დიდად იზრდება. ასეთი შენობა მიწისძრას კარგად ეწინააღმდეგება. ამ კონსტრუქციის გადახურვა შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ საწარმოო შენობებშიაც, რადგან იგი კარგად იტანს დიდ დატვირთვებს და რხევებს. დიდი დატვირთვის შემთხვევაში ორი საშუალებით შეგვიძლია გავზარდოთ გადახურვის ტვირთამტანობა: ან გარსის ამაღლების დროის გადიდებით ანდა გარსის გასქელებით.

თუ სათავსო გეგმაში სწორკუთხოვანია, მაშინ შემდეგნაირად ვიქცევით: სწორკუთხედში სიმეტრიულად ვათავსებთ კვადრატს (ნახ. 2), რომელშიაც იმავე წესით, როგორც კვადრატული სათავსოს შემთხვევაში, აიგება გარსოვანი კონსტრუქცია. კუთხურ კოჭებს ვაგრძელებთ კედლის გადაკვეთამდე და, თუ საჭიროა კოჭების სიხისტის გაზრდა, მაშინ დანარჩენ ორ კოჭსაც ვაგრძელებთ კედლების გადაკვეთამდე.

ასეთი გადაწყვეტა შესაძლებელია მაშინ, როცა სწორკუთხედის გრძელი გვერდის შეფარდება მცი-




ნახ. 4

რე გვერდთან 1,4-ს არ, აღემატება. საცხოვრებელ სახლებში ოთახის ერთი გვერდის სიგრძე მეორე გვერდის სიგრძისაგან დიდათ არ განსხვავდება, ამიტომ სართულშუა გადახურვის აღნიშნული კონსტრუქცია ფართო გამოყენებას ჰპოვებს. ოთახის ჭერი სასიამოვნო შესახედაობის გამოდის, ყველა კოჭი მოთავსებულია ჭერის ზემოთ, ხოლო თუ ეს არქიტექტურული მონაზრებითაა საჭირო, შეიძლება რგავუთხედის შემქმნელი კოჭები ცოტათი ჭერს დაბლა ჩამოვჭიოთ, რითაც ოთახის ცენტრში მოთავსებული გარსი ჭერის დანარჩენი ფართისაგან გამოიყოფა. თუ სათავსოს გვერდების შეფარდება 1,4-ს აღემატება, მაშინ შეგვიძლია ასე მოვიქცეთ. პირველ ნახაზზე ნაჩვენები კონსტრუქცია გავჭრათ შუაზე და დაგაშოროთ ერთმანეთს, შემდეგ შუაში მოვათავსოთ ცილინდრული გარსი ისე, რომ იგი შეთავსებული იყონ განაპირო სფერულ გარსებთან (ნახ. 3). ასეთი გადახურვა შეიძლება გამოვიყენოთ იმ შემთხვევაშიც, როცა სათავსოს გვერდების შეფარდება 1,4-ზე ნაკლებია. ეს დამოკიდებულია მხოლოდ გემოვნებაზე.

ხშირად საწრიმოო შენობებში და ზოგჯერ საზოგადო შენობებშიაც შესაძლებელია სათავსოს სიგრძე რამდენიმეჯერ აღემატებოდეს მის სიგანეს. მაგალითად, მე-4 ნახ.-ზე ნაჩვენებია სათავსო, რომლის სიგრძე სამჯერ აღემატება მის სიგანეს. იგი კოჭების საშუალებით დაყოფილია სამ კვადრატად, რომელშიაც მოთავსებულია 1-ლ ნახ.-ზე ნაჩვენები კონსტრუქციის გადახურვები.

სხვა გარსოვან კონსტრუქციებთან შედარებით აქ განხილული კონსტრუქციების ახალ ელემენტს წარმოადგენს კუთხის კოჭი, რომელიც მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის გარსის მუშაობისათვის. გადახურვა ესთეტიკური თვალსაზრისით კარგი აღმოჩნდა და მრავალფეროვანი არქიტექტურული ფორმების შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უძველესი ქართველი ხუროთმოძღვრები ფართოდ იყენებონ გარსოვან კონსტრუქციებს უმთავრესად კლეისიების ზემო გადახურვებში. ასეთი გადახურვები კეთდებოდა ქვისაგან, მათი სისქე ძალიან დიდი იყო. გარსებს ახასიათებდა ამაღლების დიდი ისარი. უმეტეს წილად ისინი წარმოადგენდნენ კონტურზე ვერტიკალურად დაყრდნობილ ქვის სქელ გუმბათებს. უძველესი ქართული არქიტე-



ნახ. 3

ტურის ძეგლებში ვხვდებით კვალრატული სათავ-  
სოს გადახურვას სფერული გუმბათით. კვალრატი-  
დან სფერულ გუმბათზე გადასვლა ხდებოდა სა-  
თავსოს კუთხეებიდან ამოშენებული თაღებით.  
ვხვდებით ისეთ გადახურვასაც, რომლის ჭერი შუა-  
ში ქვის გუმბათითაა გადახურული, ხოლო კუთ-  
ხეებში იმიტირებულია ქვის კოჭები.


თანამედროვე ეპოქამ მშენებლები შეაირალა  
ახალი მასალით — რკინაბეტონით, რომლის გამო-  
ყენებამ გარსოვანი კონსტრუქციების გაუმჯობესე-  
ბის და განახლების საშუალება მოგვცა. თუ ქვა  
ძირითადად მხოლოდ კუმშვაზე მუშაობს, რკინა-  
ბეტონი მუშაობს როგორც კუმშვაზე და გაჭიმვა-  
ზე, ისე ღუნვაზე და გრეხაზე. ამიტომ შესაძლებე-  
ლი შეიქნა მეტად თხელი და ფრიად დამრეცი გარ-  
სოვანი კონსტრუქციების გადაწყვეტა და მშენებ-  
ლობაში მათი დაწერებვა. მოგიყვნოთ რკინაბეტო-  
ნის ზემოთ განხილული კონსტრუქციის დაგეგმა-  
რებული და აშენებული სართულშუა გადახურვის  
რამოდენიმე მაგალითი.

თბილისში რუსთაველის პროსპექტზე შენდება  
შრავალსართულიანი შენობა კომბინატ „საქევა-  
ნახშირისათვის“. პროექტის ავტორებია არქიტექ-  
ტორები ჩხიკვაძე და ჩხეიძე, ხოლო კონსტრუქ-  
ტორია ინჟინერი დავით ქაჯაია. უკანასკნელმა ამ  
შენობაში უკვე ააგო თავისი კონსტრუქციის ორი  
სართულშუა გადახურვა. ერთი — მესამე სართუ-  
ლის ზემოთ და მეორე — მეოთხე სართულს ზე-  
მოთ. როგორც ზევითა, ისე ქვევითა სათავსოს  
სიგრძეა 12,5 მეტრი, სიგანე კი 10 მეტრი. ორივე  
გადახურვა შესრულებულია მე-2 ნახ-ზე ნაჩვენე-  
ბი სქემით. მესამე სართულის გადახურვაში გარსის  
ამაღლების ისარია 30 სმ, მეორე სართულის გა-  
დახურვაში კი — 35 სმ. ორივე გარსი 8 სმ. სისქი-  
საა. მშენებლობის პროცესი შემდეგნაირად მიმ-  
დინარეობდა. ხის სვეტებზე ააგეს ფიცრის ბრტყე-


ლი ფენილი, რომელზედაც რადიალური მიმართუ-  
ლებით დაალაგეს ფიცრის ძელაკები, რომელთა  
ზედაპირები დახრილი იყო ცენტრიდან ნაპირები-  
საკენ. ამ ძელაკებზე დააკრეს მოკლე ფიცრები  
სიგრძით წრიული მიმართულებით და შემდევ მათ-  
ზე დაალაგეს 6-მილიმეტრიანი ფოლადის არმატუ-  
რის ბადე, რომელზედაც დაასხეს 110 მარკის ჩე-  
ულებრივი ბეტონი, ამრიგად მიიღეს ფრიად დამ-  
რეცი თხელი კონუსური გარსი.

აღნიშნული გადახურვის საერთო სიმაღლე გა-  
მოვიდა ოთხშის ორჯერ მცირე, ვიდრე რკინაბე-  
ტონის ბრტყელი გადახურვის სიმაღლე. ასეთი  
გარსოვანი კონსტრუქციით შეგვიძლია გადავხუ-  
როთ გაცილებით დიდი ზომის სათავსოები. დიდი  
მალის შემთხვევაში გარსოვანი კონსტრუქციის  
უპირატესობა ნათელია. საინტერესოა მათი უპირა-  
ტესობის გამოვლინება მცირე მაღლების შემთხვე-  
ვაში. მოგიყვნოთ მაგალითი. იმავე შენობაში და-  
გეგმარებული იყო რკინაბეტონის წიბოვანი სარ-  
თულშუა გადახურვა სარდაფის ზემოთ. გადასახუ-  
რი სათავსო გეგმაში წარმოადგენს კვალრატს,  
რომლის გვერდის სიგრძეა 5,7 მეტრი. წიბოვანი  
გადახურვა შედგებოდა ორი კოჭისაგნ და მონო-  
ლითური ფილისაგან. კოჭის სიმაღლეა 50 სმ, სიგა-  
ნე 20 სმ, ფილის სისქეე კი 10 სმ. ასეთი გადაწყვეტა  
მიღებულ იქნა იმის გამო, რომ იგი ყველა ცნობილ  
კონსტრუქციებზე ეკონომიური აღმოჩნდა.

ამ ნაჩვევევის ავტორის მიერ იმავე სათავსოსა-  
თვის დაგეგმარებულ იქნა ინჯ. ქაჯაის კონს-  
ტრუქციის გარსოვანი გადახურვის გარიანტი (1-ლ  
ნახ-ზე მოცემული სქემის მიხედვით). გადახურვა  
წარმოადგენს 6 სმ სისქეის სფერულ გარსს, რომ-  
ლის ამაღლების ისარი 16 სმ ტოლია. ისარის შე-  
ფარდება მილთან 1/38 უდრის. გარსი არმირებუ-  
ლია 6 მმ-ნი ფოლადის ლეროებიანი ბადით: 1  
კვალრატულ მეტრზე ეწყობა 4 ლერთ რადიალური



ჩარ. 5. ინჟინერ ქაჯაის კონსტრუქციის გადახურვა. ჭერის არქიტექტურული გაფორმების გარიანტი (ესკიზი).



ნახ. 6. ჭერის არქიტექტურული გაფორმების ვარიანტი (ესკიზი).

მიმართულებით და 4 ღერო წრიული მიმართულებით. კუთხის კოჭის სიმაღლეა 25 სმ, სიგანე 15 სმ. იგი არმირებულია ფოლადის 10 მმ-ით 6 ღეროთი: სამი მოთავსებულია კოჭის ზედა განაპირა შრეში, ხოლო სამი — ქვედა განაპირა შრეში. გარსი ზემოდან ამოივსება წილით, რომელზედაც მოთავსდება საიზოლაციო შრე და სუფთა იატაკი. გადახურვებს მთლიანი სიმაღლეა 27—30 სმ, რაც წიბოვანი გადახურვის მთლიან სიმაღლეზე ორჯერ ნაკლებია. შედარება გვიჩვენებს, რომ ეს გარსოვანი გადახურვა ორჯერ ნაკლები მოცულობის ბეტონს და 2,5 ჯერ ნაკლები წონის ფოლადს საჭიროებს, ვიდრე წიბოვანი გადახურვა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც გარსოვანი გადახურვის უბირატესობა საგრძნობია. გარსოვანი გადახურვის აღნიშნული ვარიანტი მიღებულია მშენებლობისათვის, ნაცვლად წიბოვანი გადახურვისა.

„საქანახშირის“ კომბინატიის შენობაში გათვალისწინებულია კიდევ რამოდენიმე გარსოვანი კონსტრუქციის სართულშუა გადახურვის მოწყობა, რომელთაგან ზოგიერთი მეტად საინტერესოა თვისი არქიტექტურული ფორმების სიმდიდრით, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით.

დასასრულ აღნიშნავთ, რომ ინჟინერ ქაჯაიას კონსტრუქციის გადახურვა გაცილებით მეტ ტვირთს აიტანს, ვიდრე სხვა კონსტრუქციის გარსოვანი გადახურვა. სართულშუა გადახურვის ამ ახალ კონსტრუქციის დიდი მომავალი აქვს. იგი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც საცხოვრებელ ან საზოგადო შენობებში, ისე საწარმოო შენობებში, როგორც დიდი, ისე მცირე მაღლების გადასახურავად.



## ნიკოლოზ მიხეილის-ძე გარსევანიშვილი

მოსკოვში გარდაიცვალა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და მოღვაწე ნავსადგურებისა და საძირკვლების მშენებლობის დარგში, ტექნიკის შეცნაერებათა დოქტორი ნიკოლოზ მიხეილის-ძე გარსევანიშვილი (გარსევანოვი).

ნ. მ. გარსევანიშვილი დაიბადა თბილისში 1879 წლის 1 მარტს. მისი მამა—მიხეილ ნიკოლოზის-ძე გარსევანიშვილი (1830—1907) თავისი დროის გამოჩენილი ინჟინერი იყო, რომლის სახელს ფართოდ იცნობდნენ არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. მან სახელი გაითქვა გზატკეცილების მშენებლობით კავკასიაში, რომლის დროსაც ახალი გზები გაკაფა სამშენებლო ტექნიკაში. მეოთხედი საუკუნის მანძილზე ის სამოქალაქო ნაგებობათა მთავარი ინჟინერი იყო კავკასიაში. მისი ხელმძღვანელობით აგებულ იქნა 500 კილომეტრზე მეტი სამხედრო-სტრატეგიული გზატკეცილები და დამუშავდა მინერალური წყლების კურორტების, ნავსადგურების, ირიგაციის, გზატკეცილებისა და რკინიგზების მშენებლობის მრავალი საკითხი.

საინჟინრო გეოლოგია მიხეილ გარსევანიშვილს უნდა უმაღლოდეს ახალი მეცნიერული დისკიპლინის — „გრუნტების მექანიკის“ შექმნას. აან პირველმა გამოარკვია გაშრობითა და წევით თხების შეკუმშვის უნარი, რაც პრაქტიკულად გამოიყენა მთელი რიგი გაბედული სამშენებლო ხერხების დასამუშავებლად, რითაც უზრუნველყო კავკასიაში მისი ხელმძღვანელობით აგებული გზების მაღალი ხარისხი და უმაგალო სიმკვიდრა. 1883 წელს ის დაინიშნულ იქნა პეტერბურგის გზათა საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორად.

ბუნებრივია, რომ შვილი მამის გზას გაჰყვა. მან დამთავრა პეტერბურგის გზათა საინჟინრო ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელი მრავალი წლის განმავლობაში მ. ნ. გარსევანიშვილი იყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მთელ რიგ დიდ მშენებლობებზე: ბოლოგოვი-სედლეცის რკინიგზის გაყვანაზე, პეტერბურგის, ნარვისა და კრონშტადტის ნავსადგურთა გაფართოება-

ზე. 1914 წელს მისი ხელმძღვანელობით გათხრილ იქნა დროებითი არხი მონბზუნდში, საიდანაც გამოყვანილ იქნა გერმანიის ფლოტის მიერ იქ ჩაეტილი ჯავშნიანი ხომალდი „სლავა“.

საბჭოთა წელებში ნ. მ. გარსევანიშვილმა, კერძოთ, მონაწილეობა მიიღო ბათუმის ნავსადგურში და წყლის გემების მიღების პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში.

პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, ნ. მ. გარსევანიშვილი დიდ და ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მან უძირდა სესი წვლილი შეიტანა საბჭოთა მეცნიერების საგანძურში.

მისი კაპიტალური შრომები გრუნტების მექანიკის დარგში, ასაცაც მისმა მამამ ჩაუყარა საძირკველი, აგრეთვე საზღვაო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ფუძეების გაანგარიშების დარგში, „პრაქტიკული ამოცანების ღრმა მეცნიერული გადაჭრის ნიმუშსა და ნიადაგსახმარ სახელმძღვანელის წარმოადგენენ ყოველი მშენებლისათვის — მეცნიერი მუშაკისა და ინჟინრისათვის“.

ნიკოლოზ მიხეილის-ძე 20 წლის განმავლობაში ფუძეებისა და საძირკვლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. მან შექმნა საბჭოთა მშენებლების სკოლა ტექნიკის ამ მნიშვნელოვან დარგში.

წარსული წლის მარტში საბჭოთა საზოგადოებრიობა გულთბილად აღნიშნა ნიკოლოზ მიხეილის-ძე გარსევანიშვილის დაბადების 70 წლის თავი. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დაფასა მისი დამსახურება სამშობლოსა და მეცნიერების წინაშე: მიაკუთვნა სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი შოდება და საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვა.





# მანქანის მარგი მოქმედების კოეფიციენტი

316816 ინავარაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ყოველი მანქანის დანიშნულება — შრომა შე-  
უმსუბუქოს აღამიანს.

ცხადია, რომ რაც უფრო მძიმე და რთულ პრო-  
ცესებს და, ამასთან, სწრაფად შესარულებს მან-  
ქანა, იმდენად მეტად შეგვიმსუბუქდება შრომა  
და მეტ ნაყოფს მოგვცემს იგი.

ამიტომაა, რომ ბოლშევიკია პარტია და საბჭო-  
თა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი  
დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ მძიმე  
მანქანათმშენებლობის განვითარებას. ცნობილა,  
რომ მძიმე მანქანათმშენებლობის ბაზაზე შეიძ-  
ლება ყველა სახის მანქანათმშენებლობის განვი-  
თარება.

მაგრამ მანქანა, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი,  
შედარებით სრულყოფილად მხოლოდ მაშინ შე-  
იძლება ჩაითვალოს, როცა მას, სხვა დადგებითი  
თვისებებთან ერთად, მაღალი მარგი მოქმედების  
კოეფიციენტი აქვს.

სანამ უშუალოდ მანქანის მარგი მოქმედების  
კოეფიციენტის საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა  
მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ რა არის საერთოდ  
მანქანა, როგორი სახის მანქანები არსებობენ და  
რა ძალები მოქმედებენ მანქანაში.

## მანქანა და მანქანიბის კლასიფიკაცია

მანქანის განსაზღვრაზე სხვადასხვა შეხედუ-  
ლებები არსებობდა: ერთი თვლიდნენ, რომ მან-  
ქანა არის უსალედი რგოლი ბუნების ძალასა  
წყლის ვარდნა, ორთქლის წნევა და სხვ.) და სა-  
სარგებლო მუშაობას შორის.

მეორეთა აზრით, მანქანა არის მექანიზმი, რო-  
მელიც დანიშნულია ამა თუ იმ მექანიკური მუშა-  
ობის შესარულებლად.

მესამენი თვლიდნენ, რომ მანქანა არის მექა-  
ნიზმი, რომლის ერთი რგოლი მოძრაობაში ბუნე-  
ბის ძალით მოიყვანება, და სხვ.

მაგრამ არც ერთი ეს განსაზღვრა მანქანის არს  
სრულყოფილად არ გამოხატავს.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე სა-  
ფეხურზე მანქანას განსაზღვრავენ, როგორც ხე-  
ლოვნურად შეერთებული მატერიალური სხეუ-  
ლების ერთობლიობას, გარკვეული მოძრაობის  
უნარით, რომლის მიზანია სასარგებლო მექანიკუ-

რი მუშაობის შესრულება. ანდა მექანიკური ენერ-  
გიის გარდაქმნა.

სხვანაირად, მანქანა არის ისეთი მექანიზმი ან  
მექანიზმების ერთობლიობა, რომელშიც, მოძრა-  
ობის გადაცემის გარდა, განუსაზღვრელი ხან-  
გრძლიობით სრულდება სასარგებლო მექანიკური  
მუშაობა ანდა ერთი სახის ენერგია მეორე სახის  
ენერგიად გარდაიქმნება.

ამ ვანსაზღვრებიდან ჩანს, რომ მანქანა აუცი-  
ლებლივ უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირითად  
პირობას: 1) უნდა გადასცემდეს მოძრაობას და  
2) განუსაზღვრელი ხანგრძლიობით გადასცემდეს  
ან გარდაქმნიდეს აგრეთვე ენერგიას. თუ მარტო  
პირველი პირობა იქნა შესრულებული, მაშინ  
გვექნება არა მანქანა, არამედ მხოლოდ შექანიზმი.

სამუშაო პროცესის ხასიათის მიხედვით მანქა-  
ნები შეიძლება ოთხ კლასად დაგვით:

1) მანქანა-ძრავები, რომლებშიც ხდება რაიმე  
ენერგიის გარდაქმნა მექანიკურ მუშაობად. ამ  
კლასის მანქანები თავის მხრივ ორ ჯგუფად იყო-  
ფიან:

ა) პირველადი მანქანა-ძრავები, რომლებიც მე-  
ქანიკურ მუშაობად იმ ენერგიას გარდაქმნიან,  
რომელიც ბუნებაში მზა სახით მოიპოვება (ქარის  
ძრავები, წყლის ძრავები და თბოძრავები);

ბ) მეორადი მანქანა-ძრავები, რომლებიც მექა-  
ნიკურ ენერგიად გარდაქმნიან ისეთ ენერგიას,  
რომელიც ბუნებაში მზა სახით არ მოიპოვება,  
მაგალითად, ელექტროძრავები, რომლებიც მექა-  
ნიკურ მუშაობად გარდაქმნიან ელექტროენერ-  
გიას, მიღებულს ელექტროდენის გენერატორები-  
დან; პნევმატური ძრავები, რომლებიც მექანიკურ  
მუშაობად გარდაქმნიან კომპრესორიდან მიღებუ-  
ლი შეკუმშული ჰაერის ენერგიას, და ჰიდრატოიდუ-  
რი ძრავები, რომლებიც მექანიკურ მუშაობად  
გარდაქმნიან ტუბმბოებიდან მიღებული განსაზღვ-  
რული წნევის მქონე სითხის (ჩვეულებრივად —  
მინერალური ზეთის) მუშაობას.

2) მანქანა-გარდაქმნები (მატრანსფორმი-  
რებელი მანქანები), რომლებიც სამუშაო პროცეს-  
ში ძრავიდან მიღებულ მექანიკურ მუშაობას სხვა  
სახის ენერგიად გარდაქმნიან, მაგალითად: ელექ-  
ტროდენის გენერატორი, რომელიც ძრავიდან მი-  
ღებულ ენერგიას ელექტროენერგიად გარდა-

ქმნის, კომპრესორები, რომლებიც ძრავიდან მიღებულ მექანიკურ მუშაობას შეკუმშული ჰაერის პოტენციურ ენერგიად გარდაქმნიან, ტუბოები, რომლებიც ძრავიდან მიღებულ მუშაობას სითხის პოტენციურ ენერგიად გარდაქმნიან.

3) სატრანსპორტო მანქანები, რომლებშიც ძრავიდან ზიღებული მექანიკური მუშაობა მასების გადასაადგილებელ მუშაობად გარდაიქმნება, მაგალითად, ჰაერსაჟაჩი და სითხის საქაჩი ტუბოები, ჰაერმშერავი მანქანები, ტვირთამწევი მანქანები, ტრანსპორტიორები, ელეგატორები, ავტომობილები, ტრაქტორები, ტრამვაის მოტორიანი ვაგონები, ორთქლ-მავლები, ელმავლები, თვითმფრინავები და სხვ.;

4) მანქანა-იარაღები, რომლებშიც ძრავიდან მიღებული მექანიკური მუშაობა რამე ტექნიკოლოგიური პროცესის შესასრულებელ მუშაობად გარდაიქმნება, მაგალითად, ლითონის, ხის, ქვის და სხვ. დამშავებელი ჩარხები, საქსოვი დაზგები, ლითონების დასამოქლონებელი და შესაღულებელი მანქანები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ.

### მანქანური მომზადები ძირითადი ძალიზე


ყოველ მანქანაში, როცა იგი მოძრაობს და რამე სასარგებლო მუშაობას ასრულებს, შემდეგი ძირითადი ძალები მოქმედებენ:

1) ამძრავი ძალა, ე. ი. ძალა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მანქანა, მაგალითად, ორთქლის წნევა, შეკუმშული ჰაერის წნევა, ელექტროდენის ძალა და სხვ.

2) მარგი წინააღმდეგობის ძალა, ე. ი. ძალა, რომელიც სასარგებლო მუშაობის შესასრულებლად იხარჯება, მაგალითად, ასწევი ტკირთის წონა — ტკირთამწევ მანქანებში, ჭრის წინააღმდეგობის ძალა — ლითონმჭრელ ჩარხებში და სხვ.;

3) მავნე წინააღმდეგობის ძალები: ა) ხახუნის ძალები, რომლებიც მანქანის ნაწილების ერთ-მეორესთან შეერთების აღგილას (სახსრებში) შეხების შედეგად წარმოიშობა, ბ) ჰაერის წინააღმდეგობა და სხვ.

ყველა ეს ძალა მანქანის მოძრაობის დროს სათანადო ნაწილების გადაადგილებას ახდენს, ე. ი. რამე მუშაობას ასრულებს: პირველი — ამძრავი ძალების მუშაობას, მეორე — მარგი წინააღმდეგობის მუშაობას და მესამე — მავნე წინააღმდეგობათა მუშაობას.




ორთქლის მანქანის მოქმედი მოდელი.

ამძრავი ძალების მუშაობა — ეს არის მანქანის მიერ მიღებული მთელი მუშაობა.

მარგი წინააღმდეგობის ძუშაობა არის მუშაობა, რომელიც საჭიროა მარგი ანუ სასარგებლო მუშაობის შესასრულებლად, რა მიზნისათვისაც აგებულია თვით მანქანა. მავნე წინააღმდეგობათა მუშაობა არის მუშაობა, რომელიც ჩვენი სურვილის წინააღმდეგ იხარჯება მანქანაში წარმოშობილ ყველა მავნე წინააღმდეგობათა დაძლევაზე, რაც ცხადია, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მანქანის მიერ მიღებული მუშაობა, მთლიანად სასარგებლო მუშაობის შესასრულებლად გამოვიყენოთ. ამიტომ მავნე წინააღმდეგობის დაძლევაზე დახარჯული მუშაობა დანაკარგად ითვლება.

### მანქანის მუშაობის განტოლება

მაშასადამე, ერთი მხრით გვაქვს მანქანის მიერ მიღებული მთელი მუშაობა, მეორე მხრით კი — მარგი და მავნე წინააღმდეგობების დასაძლევად საჭირო მუშაობა, ე. ი. ყველა წინააღმდეგობათა მუშაობის ჯამი. მათი ურთიერთ დამოკიდებულების მიხედვით არსებობს მანქანის შოძრაობის სამი პერიოდი:



1) მანქანის გაშვების (ამოძრავების) პერიოდი, როცა მანქანის მიერ მიღებული მუშაობა მეტია მარგი და მავნე წინააღმდეგობების დასაძლევად საჭირო მუშაობაზე და, მაშასადამე, მანქანის მუშაობა აჩქარებულია;

2) მანქანის დამყარებული მოძრაობის პერიოდი, როცა მანქანის მიერ მიღებული მუშაობა უღრის მარგი და მავნე წინააღმდეგობების დასაძლევად საჭირო მუშაობას, ე. ი. როცა მანქანის მიერ მიღებული მუშაობა მთლიანად იხარჯება ყველა წინააღმდეგობათა დაძლევაზე და, მაშასადამე, მოძრაობა ნორმალურია;

3) მანქანის გაჩერების პერიოდი, როცა მანქანის მიერ მიღებული მუშაობა მარგი და მავნე წინააღმდეგობების დასაძლევად საჭირო მუშაობაზე ნაკლებია და, მაშასადამე, მანქანის მოძრაობა შენელებულია.

გაშვების და გაჩერების პერიოდები ყველა მანქანისათვის დამახასიათებელია, მაგრამ ხანმოკლეა და დამოკიდებულია თვით მანქანის აგებულებაზე და მუშაობის პირობებზე. რაც შეეხება მანქანის დამყარებული მოძრაობის პერიოდს, ეს პერიოდი ყველა მანქანისათვის ერთგვარ ხასიათს ატარებს. რგო შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელდეს და ამიტომ მანქანის ნორმალური მუშაობის პერიოდათ ითვლება.

ამგვარად მანქანის დამყარებული მოძრაობის პერიოდისათვის მუშაობის განტოლება, ზემოთქმუ-

ლის თანახმად, შემდეგნაირად დაიწერება: მარგი წინააღმდეგობის მიერ მიღებული მუშაობა = მარგი წინააღმდეგობის მუშაობა + მავნე წინააღმდეგობის მუშაობა.

თუ ამ მუშაობათა შესრულებას ერთეულ დროში (ერთ წამში) განვიხილავთ, ხათანადო სიმძლავრეებს მივიღეთ და მანქანის მუშაობის განტოლებას შემდეგი სახე ექნება:

მანქანის მიერ მიღებული სიმდლავრე = მარგი წინააღმდეგობის სიმდლავრე + მავნე წინააღმდეგობის სიმდლავრე.

## მანქანის მარგი მოშემდეგის კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა

ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ შეუძლებელია მანქანის მიერ მიღებული მუშაობის მთლიანად გამოყენება სასარგებლო მუშაობის შესასრულებლად, ე. ი. მარგ წინააღმდეგობათა დასაძლევად, რაღაც მისი ნაწილი აუცილებლად მავნე წინააღმდეგობათა დაძლევაზე იხარჯება.


მავნე წინააღმდეგობიდან მთავარია ხასუნის წინააღმდეგობა, რომლის მთლიანად მისპობა არას გზით არ შეიძლება (მინიმუმამდე დაყვანა კი, რექნიების განვითარების თანამედროვე საფეხურზე, შესაძლებელია), რაღაც მანქანის ნაწილები აუცილებლად უნდა ეხებოდენ ერთიმეორეს და, მაშასადამე, მათი შეხების ადგილას ხასუნიც აუცილებლივ იარსებებს. ამიტომ ცხადია, რომ მარგი წინააღმდეგობის დაძლევაზე დახარჯული მუშაობა ყოველთვის მანქანის მიერ მიღებულ მუშაობაზე ნაკლებია.

რაც უფრო ნაკლებია მანქანში ხასუნი, მით ნაკლებია ხასუნის დაძლევაზე მუშაობა (ე. ი. მავნე წინააღმდეგობის დაძლევის მუშაობა ანუ დანაკარგები) და, მაშასადამე, მანქანის მიერ მიღებული მუშაობა მით უფრო მეტად იქნება გამოყენებული სასარგებლო მუშაობის შესასრულებლად. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მანქანის უფრო მეტი მარგი მოქმედება ექნება და უფრო სრულყოფილი იქნება.


ტექნიკში მანქანის მარგი მოქმედების შესახებ ჩვეულებრივ მსჯელობენ არა მანქანის მიერ მიღებულ მუშაობასთან შედარებით მარგი წინააღმდეგობის დაძლევაზე დახარჯული მუშაობის აბსოლუტური სიდიდის მიხედვით, არამედ მათი ფარდობით და ამ ფარდობას მანქანის მარგი მოქმედების კოეფიციენტი (მოკლელ მ. მ. კ.) ეწოდება.

მაშასადამე, მანქანის მექანიკური მარგი მოქმედების კოეფიციენტი უდრის:

მარგ წინააღმდეგობაზე დახარჯული მუშაობა  
მ. მ. კ. = მანქანის მიერ მიღებული მუშაობა



შიდაჭვის ძრავის მოდელი.



კომპენსირებული ასინქრონული ძრავას წროორით, შეკრებილი და დაშლილი სახით.

ანუ, თუ სათანადო სიმძლავრეებით გამოვსა-  
ხავთ, გვექნება:

$$\text{მ. პ.} = \frac{\text{მარგ } \frac{\text{წინააღმდეგობაზე}}{\text{მანქანის } \text{მიერ } \text{მიღებული } \text{სიმძლავრე}}}{\text{მანქანის } \text{მიერ } \text{მიღებული } \text{სიმძლავრე}}.$$

ამ ტოლობებიდან ნათლად ჩანს, რომ, რადგან, სახუნის არსებობის გამო, მრიცხველი ყოველთვის გრიშვანელზე ნაკლებია და მისი ტოლი ვერასოდეს ვერ გახდება, მარგი მოქმედების კოეფიციენტი ყოველთვის ერთზე ნაკლებია, მაგრან ნულს არას-დროს არ უდრის. მაშასაღამე, მანქანის მ. პ. კ. ყო-ველთვის მეტია ნულზე და ნაკლებია ერთზე.

ცხადია, რაც უფრო უახლოვდება ერთს მ. პ. კ., მით მეტი მარგი მოქმედება აქვს მანქანის და, მა-შასაღამე, უფრო ეფექტური, ეკონომიური და რენტაბელურია.

არსებული მანქანებიდან ყველაზე მცირე მარგი მოქმედების კოეფიციენტი აქვთ ორთქლის მანქა-ნებს (აღწევს 0,12-დე); შიდაწვის ძრავებისათვის მ. პ. კ. საშუალო უდრის 0,30-0,36; ყველაზე დიდი მ. პ. კ. აქვთ ელექტრომანქანებს (საშუალო დ 0,92, ე. ი. მანქანის მთელი სიმძლავრის 92% გა-

მოიყენება მარგი მუშაობის შესრულებაზე, დანა-კარგები კი მხოლოდ 8%-ს შეადგენენ).

ამიტომ იყო, რომ გენიალურმა ლენინმა ოქტომ-ბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში- ვე დასახა ჩვენს ქვეყანაში ელექტროფიგაციის სწრაფი განვითარების ამოცანა. როგორც ცნობი-ლია, ეს ამოცანა ბრწყინვალედ განახორციელ-საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის ხელმძღვანელო-ბით.

ამჟამად, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში, ისე მანქანების მარგი მოქმედების კოეფიციენტის გადიდების მიმართულებითაც საბ-ჭოთა კავშირში უდიდესი მუშაობა წარმოებს. ამ პრობლემაზე მუშაობენ არა მარტო მეცნიერები, არამედ აგრეთვე მოწინავე მუშები, სტახანოველე-ბი, ტექნიკის ნოვატორები. მათ კარგად იციან, რომ მანქანის მარგი მოქმედების კოეფიციენტის მცირეოდენი გადიდებაც კი უდიდეს ეკონომიას მისცემს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს და და-აქარებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას.



# საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხებისათვის

ავთანა იოსევიანი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი


უძველესი ისტორიული წყაროების თითქმის ამიმწურავი შესწავლის შედეგად მეცნიერებაში უძველესი და საყოველთაოდ მიღებული, რომ ქართველურ ტომებს მაღნეულობის ალმაჩენისა და მისი დამუშავების როლ საქმეში კაცობრიობის წინაშე უხსოვარი დროიდანვე ფრიად საპატიო ღვაწლი მიუძღვის.

მაგალითად, როცა ძველი ქვეყნების ცნობილმა და მპყრობელმა სალმანასარ II 837 წელს (ძველი წელთაღრიცხვით) ტაბალების (იგივე იძერების). ქვეყნების და მპყრობა მოახერხა, სხვათაშორის, მათ ხარჯად დაადო „ვერცხლი, ოქრო, ტყვია, თითბერი და რკინა“.

„დაბადებაში“ დაცულია ცნობა, რომ მჭედლობა ტაბალების მოგონილი ხელობა იყო, რომ „თითბერი ესე იყო კვერით ხუროხ, მჭედელი რვალისა და რკინისა“. მაშასადამე, ქართველურ ტომების, თითბალებს, უხსოვარი დროიდანვე დაწინაურებული მეტალურგია ჰქონებიათ.

ბერძენი მწერლები ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო მაღნეული სპილენძისა, რკინისა და ფოლადისა მხოლოდ კოლხეთში იშოვებოდა და აქედან გაქონდათ. აკად. ივ. ჭავახიშვილი შენიშნავს, რომ „თითბრის“ სახელები ... ზოგიერთ ევროპულ ენებში, მაგალითად, გერმანულად „messing“ (ასევე ანგლოსაქსურად, პოლონურად და სხვ.—ა. ი.) მოსვინე ანუ მოსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსინიკები იყვნენ განთქმულნი თითბრის ხელობაში. ამ მაღნის მეორე სახელიც — „თითბერი“ ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთ-ფერი“, ე. ი. მთვარის (მეგრული თუთა, ქართ. თოუე) ფერ მაღანს“.

ქართველი ხალხის მეტალურგიული კულტურის დაწინაურებაში დიდი როლი ითამაშა სამხრეთ-საქართველომ, განსაკუთრებით ჭოროხის აუზმა და, კერძოთ, მისმა შუა დინებამ, მდინარე სპერის ხეობის ჩართვით. ჭოროხის ხეობა მეტალურგიის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და დაწინაურებული კერა უნდა ყოფილიყო. ეს მრავალი ფაქტებით დასტურდება. აკად. ნ. მარი თავის მრავალ მეცნი-




ნახ. 1. ბრინჯაოს კოლხური ცული (ზუფუბნის გათხრები)

ერულ გამოკვლევაში ამის შესახებ სახელმძღვანელო მოსაზრებებს გამოსთქვამს.

აკად. ნ. მარის დაკვირვებით, ქართული სიტყვა „რკინა“—კინა უნდა იყოს გამომხატველი ჭანებისა და ლაზების სატომო სახელწოდებისა, რომელთა შესახებაც ცნობა ბიბლიას შემოუნახავს „თუბალ-კაინის“ სახით, და ასახელებს მათ ისეთ ტომად, რომლებიც იყვნენ „კვერით ხუროხ, მჭედელი რვალისა და რკინისა“.

ამავე შეხედულებას ანვითარებს სხვა პრობლემებთან ერთად აკად. ს. ჭანაშია თავის გამოკვლევაში „თუბალ-თაბალ-ტიბარენი-იბერი“ და აკად.



ნახ. 2. ბრინჯაოს სამაჯური-საყელური, —ფულის ნიშანი (იქიდანვე)

აკ. ჭანიძის ნარკვევი „ტობადოს ეტიმოლოგიისა-ოვის“;

კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ნ. მარის დაკვირვება ტერმინებზე — სპილენძი, ოქრო, ვერცხლი, თითქერი, ფოლადი და მათი ეტიმოლოგიის გარკვევა. ნ. მარის აზრით, ამ ლითონთა სახელწოდებანი უძველეს დროიდანვე შემუშავებული და დამკვიდრებული ქართველურ (მეგრულ, სვანურ, ჭანურ) ენებში.

მთელ რიგ უცხოელ მკვლევართა დასკვნითაც კი მეტალურგია ქართველებში იმდენად იყო განვითარებული, რომ მრავალი მეტალურგიული ტერმინი სხვა ხალხებს ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული: მაგალითად, ბერძნული სიტყვა „ხალიბს“, რაც „ფოლადს“ ნიშნავს, ერთ-ერთი ქართველური — ხალიბების ტომის სახელისაგან არის ნაწარმოები, ევროპულ ტერმინ „ბრონზა“-ს ქართულ „სპირ-ენძის“ ურთიერთობის მსგავსად“. ამიტომ შემთხვევითი არაა მოსაზრება იმას შესახებ, რომ კავკასია უხსოვარი დროიდან აწვდიდა სხვადასხვა სახის ლითონურ ძვირფას ნაწარმს წინა აზდას — ასურეთს, ხეთას და ანტიკურ ქვეყნებს — რომისა და საბერძნეთის სახით.

\* \* \*

საქართველოს ცენტრალურ სასტორიო არქივში დაცულია ზუსტი ცნობები რთვინის ოლქის წიაღისეულ ბუნებრივი სიმდიდრის გამოკლინებულ საბალოების შესახებ, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი 1900-იან წლებში უკვე ექვსპლოატაციაში იმყოფებოდა, მაგალითად: მარგანეცის — 74 საბალო, სპილენძის — 323, ტყვიის — 60, ვერცხლის — 33, თუთიას — 35, მარმარილოს — 1,

გრაფიტის — 40, ოქროს — 35, რკინის უკვე ცნობილი ბალო და სხვ.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ართვინის ოლქში იწყება წარმოების სწრაფი განვითარება. განსაკუთრებით განვითარდა აქ სპილენძის წარმოება. ამოქმედდა სპილენძის ცნობილი საბალოები, როგორიცაა ძანძულის, ჭინკათხევის, მამწვარის, ნაფუზრევის, სოსვენის, ლომაშენის, ზედა და ქვედა ბოგნარის, სოფ. პოროსეთის, ირსას, კვარცხანის, ხოდის, ბერთას და სხვ.

დასახელებულ მოქმედ საბალოებზე მუშაობის პროცესში, როგორც ამას სამთო ინუინერ შახეული მირჩას 1901 წ. ანგარიშიდან ვტყობილობთ, ხშირად ხვდებოდნენ ძეგლ გამონამუშევრებს. რომლიბშიც ზოგჯერ ძეგლის-ძეგლ იარაღებსა და ლითონის ნაწარმს პოლობდნენ.

ჩეგნ არ იირით რა სახის „ძგილ იარაღებს“ პოლობთინ მაშინ, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქ ჩეგნ საქმე უნდა გვქონოდა ძველი კოლხი მეტალურების ბრინჯაოს და ნაწილობრივ რკინის საწარმო იარაღებთან.

სამხრეთ-საქართველო, ჭოროხის სეობისა და აჭარის ჩათვლით, ისტორიული უძველეს დროიდანვე წარმოადგენდა ისეთ გეოგრაფიულ ადგილს, სადაც ხდებოდა იძერულ-მესხური და კოლხური მეტალურგიული ტრადიციების სინთეზი.

\* \* \*

ქობულეთის რაიონში, მდინარე კინტრიშის ხეობის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ხუცუბნის მიდამოებში, 1944 წელს ჩეგნ მიერ ჩატარებული მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრის შედეგად აღმოჩენილია ბრინჯაოს და რკინის იარაღები, ზოდები, მორთულობისა და საკულტო დანიშნულების სხვა საგნები. ეს იარაღები და სხვა საგნები საყურადღებოა როგორც საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების არეს თეალსაზრისით, ასევე ჭოროხის აუზის ტერიტორიულ განშტრებათა და ადგილობრივი მოსახლეობის მეტალურგიული ცოდნის დონის გასათვალისწინებლადაც.

ვახუშტი ბაგრატიონი მდინარე კინტრიშს ერთხელაც არ იხსენიებს. ნაცვლად კინტრიშისა თავის გეოგრაფიაში „ხინოს წყალსა“ და მდინარე „ხინოს“ ასახელებს. დიმიტრი ბაქრაძის აზრით, ხინოს წყალი და მდინარე ხინო მდინარე კინტრიშის ისტორიული სახელებია. მაგრამ, როგორც იჩვევა, სახელწოდება ხინოს წყალი და მდინარე ხინო კინტრიშის ისტორიული სახელწოდება არ უნდა იყოს. დასტურდება სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება: ბერძენ ისტორიკოს ქსენოფონტეს (V—IV სს. ჩეგნ წელთაღრიცხვამდე) თავის „ანაბაზისში“ უკვე მოეპოვება ცნობა მდინარე კინტრიშის შესახებ „კინტრიტეს“ სახელწოდებით.

ქსენოფონტეს ცნობა ამასთანავე არ კვევს სა-  
კითხს მაშინდელი კოლხეთის მრავალტომიანი  
კოლხი მოსახლეობიდან, სახელდობრ, თუ რო-  
მელს უნდა ეცხოვო კინტრიშის ხეობაში. როცა  
ქსენოფონტე ტომების კლასიფიკაციას წარმოგვი-  
ღენს, სხვათაშორის, ეხება კარდუხების ტომს  
და იქვე შენიშვნავს: მათ მიწაწყალზე მდინარე  
„კინტრიტე სდისო“.

ამ ცნობამ თავის დროზე მიიძყრო ჩვენი სახე-  
ლოვანი მეცნიერის აკად. ი. ჯავახიშვილის ყუ-  
რადღება. ი. ჯავახიშვილი ქსენოფონტეს ამ ცნო-  
ბის შესახებ კატეგორიული სიმკეთრით შენიშ-  
ნავს: „ბერძნული კინტრიტე უკველა ქართულ  
კინტრიშს უდრის“—ო. მაშასადამე, ირკვევა, რომ  
V—IV სს. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) კინტრიშის  
ხეობა დასახლებული ყოფილა კოლხურ ტომებს  
შორის საკმაოდ მოწინავე კარდუხთა ტომით. ამგვა-  
რად დასტურდება, რომ ხუცუბნის მეტალურგიუ-  
ლი კერა ქართველებს—კარდუხთა ტომს ეკუთვნო-  
და. სოფ. ხუცუბანში აღმოჩენილია სხვადასხვა  
ფორმისა და სიდიდის ბრინჯაოს ცულები. ისინი  
კოლხური ტიპისაა. ასევე აღმოჩნდა წყვილ-ცულე-  
ბი, ისრები, ბალთა, სამაჯურ-საყელურები, სხვა სა-  
ხის საყოფაცხოვრებო და საყულტო დანიშნულების  
ლითონის საგნები, დამახასიათებელი კერამიკათა  
და მძივებით, — სარდიონის, გიშრის, პასტისა და  
სხვა მასალებისაგან დამზადებული, უამრავი ფორ-  
მისა და რამდენიმე ფერისა.

ხუცუბნის მეტალურგიული განძი განსაკუთრე-  
ბით საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ ჩვენ-ბრინ-  
ჯაოს იარაღებთან ერთად ვხვდებით (თითქმის  
ერთსა და იმავე ფენებში) რკინის იარაღებს, რო-  
გორიცა სხვადასხვა ფორმისა და ზომის ხმლე-  
ბი (მათ შორის ერთი ოთხ-წახნაგა), შებები, ის-  
რები, ასევე მორთულობის საგნებს, როგორიცაა  
ფიბულები, რომლებიც მაღალი ტექნიკური ცოდ-  
ნით არის დამუშავებული, და სხვა. ყველა მონა-  
ცემებით დასტურდება, რომ ხუცუბნის გათხრე-  
ბის დროს ნაპოვნი მეტალურგიული საგნები ასა-  
ხავენ ადგილობრივი ქართველური ტომების სამუ-  
შრეო და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ საფე-  
ხურს, როდესაც ხდებოდა ბრინჯაოდან რკინის  
სანაზე გადასვლა. ირკვევა, რომ რკინა მაშინ ჭერ  
კიდევ იშვიათი და ძნელად მოსაპოვებელი ლითო-  
ნი უნდა ყოფილიყო. ამაში, სხვათა შორის, გვარ-  
წმუნებს სამარქში აღმოჩენილი რკინის ზოდები. ეს  
გარემოება, ამასთანავე გვაფიქრებინებს, რომ  
სამარქში მჭედელი უნდა ყოფილიყო დასაფლა-  
ვებული. ეს ძეგლი მთლიანად, როგორც აღრეუ-  
ლი რკინის ხანის მოვლენა, უნდა იყოს იმ გარდა-  
მავალი პერიოდის ამსახველი, როდესაც ჩვენი  
წინაპრები ბრინჯაოდან უკვე რკინის დამუშავების  
ხანაზე გადადიოდნენ, — ამდენად მისი დათარიღე-

ბა შეიძლება დაახლო-  
ებით პირველი ათასე-  
ულ-ს დასაწყისით.

მეტალურგიული კულ-  
ტურა,— მეცნიერობა, ამ  
მხარეში საფუძვლიანად  
უნდა ყოფილიყო გან-  
ვითარებული. ამაში  
გვარწმუნებს აგრეთვე  
ერთი ტოპონიმიკური  
სახელი და მასთან და-  
კავშირებული გაღმო-  
ცემა, რომელსაც ჩვენს  
არქეოლოგიურ - მეტა-  
ლურგიულ მონაპოვ-  
რებთან ერთად განსა-  
კუთრებული მნიშვნე-  
ლობა ენიჭება.

მაგალითად, ხუცუბ-  
ნის მიღამებში, მდ.  
კინტრიშის ორთავ ნა-  
პირზე, დღემდე შემო-  
ნახულია და ხმარებაშია  
ამ მხრივ საყურადღებო  
ტიპონიმიკური სახელი  
„ნამჭედლო“, „ნამჭედ-  
ლები“. ადგილობრივი  
მოსახლეობის რწმე- ნას. 3. რკინის ზოდები (იქიდანვე).  
ნით, აქ, ამ მიღამო.

ებში, „აღამიანს რომ არ ახსოეს, იმ დროიდანვე  
ბულების ქალაქი ყოფილა აშენებული. აქაური  
დაცელოვნებული მჭედლები ყოველგვარ იარაღს  
აწარმოებდნენ თურმე და აქედან სხვა ქვეყნებ-  
შიაც ბლომად გაქონდათ თავისი ნაშუშევარი, მაგ-  
რამ მერე ომები ყოფილა და თურქებს დაუშე-  
ვიათ ეს ქალაქი და მჭედლებაც მოუსპიათ“—ო. 1).  
„ნამჭედლო“ სოფელ ხუცუბანშია და დასახლოებით  
20—25 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ტოპონიმი-  
კური სახელწოდება „ნამჭედლო“, „ნამჭედლები“  
და მასთან დაკავშირებული ეს გაღმოცემა ხუ-  
ცუბნის არქეოლოგიურ აღმოჩენებთან ერთად  
ფრიად საყურადღებო მოვლენაა და უდავოდ გარ-  
კვეული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტის და-  
მადასტურებელია.

ალსანიმნავია ისიც. რომ სოფელ ხუცუბანში  
1944 წლამდე შენიშნული იყო ზოგიერთი ოჯახე-  
ბი, რომლებიც ეწეოდნენ ლითონის დამუშავებას,  
ამზადებდნენ კუსტარულ იარაღებს და თოფებს.  
ეს ხელობა ხომ გადმონაშთი არ არის იმ ძველის-  
ძველი მეტალურგიული კულტურისა, რომელიც  
უხსოვარ დროში ყვაოდა ამ მხარეში! აქ წარ-

1) გაღმოცემა „ნამჭედლოზე“ ეკუთვნის სოფ. ხუცუბნის  
მკვიდრს კოლმეურნე რამაზ ბერიძეს.





ნაზ. 4. რკინის შუბი და სატარე ნახვრეტი (იქიდანვ).

მის მოსაზღვრე ადგილებში დღემდე აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ანალოგიური არქეოლოგიური ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ბათუმ-ქობულეთის მიდამოებში მონაცემები.

მოდგენილი ცნობების საფუძველზე შეიძლება ასეთი მოსაზრება გამოითქვას: ძველ კოლხურ სამყაროში, მაღალი მეტალურგიული კულტურით სახელგანთქმულ ჭოროხის აუზში შემავალ მეტალურგიულ ცენტრებს შორის კინტრიშის ხეობაში და მასში შემავალი „ნამჭედლოს“ — ხუცუბნის მიდამოებს გარკვევით თვალსაჩინო ადგილი უნდა სჭეროდა. ამას გვიდასტურებს როგორც ნივთიერი ძეგლები, ისე ტოპონიმიკური სახელები და სხვა მონაცემები.

ამ მოსაზრების დამჯერებლობისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ აგრეთვე თვით კინტრიშის ხეობისა და მოსაზღვრე ადგილებში დღემდე აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ანალოგიური არქეოლოგიური ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ბათუმ-ქობულეთის მიდამოებში მეცნიერული მიზნებით გათხრები არავის უწარმოებია, სხვადასხვა ღროს აქ შემთხვევით აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკი-

ნის შრავალი ნივთი და იარაღი, შაგალითად: ბათუმის აღმოსავლეთით, მდინარე ბარცხანის სანაპიროებზე, აღმოჩენილია ბრინჯაოს საომარი ჩუგლუგი; სოფ. მახინჯაურში, ზღვის სანაპიროზე, უნახავთ ბრინჯაოს შემდეგი იარაღები: თოხი (პატარა), წყვილცულა, ნიჩაბი — საომარი ცული, კოლხური ტიპის ხელნაჯახი; სოფელ სალიბაურში იპოვეს ბრინჯაოს თუ სპილენძის განძი, რომელიც შესდგებოდა მთელი და დამტვრეული თოხებისაგან.

არსებობს მოსაზრება, რომ სალიბაურის ამ განძის აღმოჩენის აღილზე უნდა ყოფილიყო უძველესი სახელოსნო მსგავს იარაღოა საწარმოებლად.

გასული საუკუნის მიწურულში ჩაქვის მამულში აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღთა განძი (ნაწილი — დაზიანებული): ნაჯახები, სამაჯურები, რომლებიც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში გადაიგზავნა. რაც შეეხება ასევე შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს სოფ. სამებაში, სოფ. ზენითში (კინტრიშის ხეობაში) და ციხის-ძირში, მათი ინვენტარის უმნიშვნელო ნაწილი ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოხვდა და იქ ინახება, მაგრამ სამეცნიერო თვალსაზრისით მათი ღირებულება მაინც ნაკლებმნიშვნელოვანია. ციხის-ძირსა და ზენითში ბრინჯაოს იარაღებთან ერთად აღმოჩენილია ზოდები და მათი ნატვრევები.

ხუცუბანში აღმოჩენილი არქეოლოგიური კოლექცია ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.



# უმსევრევაღი მინა!

აკადემიური განვითარების

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ამ სახელწოდებით ამჟამად ორი სხვადასხვა სახის მინები მზადდება: ტრიპლექსი და სტალინიტი. უმსხვრევაღი მინები ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა მიზნებისათვის, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას ავტომანქანების და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა (ჩეინიგზის, ტრამვაის და ტროლეიბუსის ვაგონების და სხვ.) შესამინავად.

სატრანსპორტო საშუალებათა შესამინავად ამ მინების გამოყენების დიდი მნიშვნელობა იმაშა მდგომარეობს, რომ კატასტროფის ან სხვა შემთხვევაში მინის გატეხისას ნამსხვრევებით აღამინის დაჭრა-დაშავება გამორიცხულია.

მინა ფართოდაა გამოყენებული, როგორც საყოფაცხოვრებო საქმეში, ისე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარღვევი. მინის ასე ფართოდ გამოყენება გამოწვეულია მისი ისეთი ძვირფასი თვისებებით, როგორიცაა შუქეგამტარობა (გამჭვირვალობა), შუქტება, სინათლისადმი მდგრადობა, ქიმიური გამძლეობა, საკირაისი თერმიული მდგრადობა, ყინვამდგრადობა და სხვა. მაგრამ ამ ძვირფას თვისებებთან ერთად, მინას ერთი დიდი უარყოფითი თვისება აქვს — იგი ზედმიწევნით მსხვრევადია. მსხვრევადობა ბევრ შემთხვევაში ზღულავს და უხერხულად ხდის მის გამოყენების.

ხანგრძლივი გამოკვლევების საფუძველზე მინის ეს ნაკლი მნიშვნელობნად გამოსწორებულია, — მზადდება ისეთი მინები, რომელთა მსხვრევადობა იმდენადაა შემცირებული, რომ მათ უმსხვრევად უწოდებენ.

მინის უმსხვრევადობა მიღწეულია: 1) მინის ფურცელში ისეთი თხელი ელასტიკური ფირფატის ჩატანებით, რომელიც მაგრად მიიკრავს მინას და 2) მინის თერმული დამუშავებით.

ელასტიკური ფენა, რომელიც ამ მიზნითაა გამოყენებული, შემდეგ პირობებს უნდა აქმაყოფილებდეს: არ უნდა რბილდებოდეს! გათბობით, არ უნდა ჰქარგავდეს ელასტიკურობას ტემპერატურის მინუს 60°-დან პლიუს 60°-დე შეცვლისას, მაქსიმალურად უნდა ატარებდეს შუქს, იყოს უფრო, კარგად ეწებებოდეს მინას, ფერს არ იცვლიდეს მზის სხივების ხანგრძლივი მოქმედებით და სხვა.


ამ მოთხოვნილებებს ძირითადად აქმაყოფილებენ და პრაქტიკაში გამოყენებულია შემდეგი მასალები: 1. ცელულინი (ნიტროცელულზა), 2. ცელინი (აცეტილცელულზა), 3. ვინილოტი (პოლივინილცეტატი), 4. პლებსიქუმი (აკრილტი), 5. მოვიტალი, 6. ბუტერი (პოლივინილბუტილატი) და სხვა. მისი მიხედვით, თუ რომელი ამ მასალათაგანია გამოყენებული, უმსხვრევადი მინის დამზადების წესი სხვადასხვაა. ჩვენ აღვწერთ იმ წესს, რომელიც საბჭოთა ქარხნებშია გამოყენებული.

უმსხვრევადი მინების დასამზადებლად იხმარება მაღალი ხარისხის ფანჯრის მანა. ფურცელები წინასწარ გახეხილი და გაკრიალებული უნდა იყოს ისე, რომ მისი ზედაპირი აბსოლუტურ სიგლუვებდე იყოს მიყვანილი. წინასწარ გახეხილ და გაკრიალებული მინის ორ ფურცელს შუა შეაწებებენ ცელულინიდის ან სხვა რომელიმე ელასტიკური ნივთიერების თხელ ფენას (2-3 მმ) და მიიღებენ სამფენიან ფურცელს. ასეთ მინას „ტრიპლექსს“ უწოდებენ. ტრიპლექსის დასამზადებლად წინასწარ დამუშავებული მინის ფურცელის ერთერთ ზედაპირზე უელატინის ხსნარს დასხამენ და შემდეგ გაშრობენ 50—60°-ზე. გაშრობის შემდეგ მინის ზედაპირს თხელი უელატინის გარსი გადაეკერება. ამგვარადვე, ცელულინიდის თხელი ფირფიტის ორთავე ზედაპირს დიეთილენგლიკოლით ამუშავებენ. ამის შედეგად ცელულინიდის ფირფიტის ორთავე ზედაპირი დიეთილენგლიკოლის თხელი გარსით დაიფარება. ამის შემდეგ მინის ორ ფურცელს შუა (ცელატინიანი ზედაპირის მხრიდან) მოათავსებენ დიეთილენგლიკოლით დამუშავებულ ცელულინიდის ფირფიტას და შექმნიან „პაკეტს“ (ნახ. 1). 15


— 20 ცალ ასეთ „პაკეტს“ ჩაშეკრიბენ რეზინის ტომარაში და სპეციალური მოჭერის საშუალებით თავს ჰერმეტულად დაუხერავენ. ტომრის მეორე ბოლოში მოთავსებულია ნახ. 1. პაკეტების შედგენა.

შილის საშუალებით მას ვაკუუმს შეუერთებენ და ტომარაში გაიშვიათებას შექმნიან (ნახ. 2 და 3). გაიშვიათების გამო ტომარაში მოთავსებულ პაკეტში მინისა და ცელულოიდის ფურცლები ერთომეორეს ისე მიეკვრის, რომ ტომრის გადაადგილება არ გამოიწვევს პაკეტში ფურცლების ერთომეორისაგან დაცურებას. პაკეტიან ტომრებს ერთხაზიანი რკინიგზის ლიანდაგზე ჭალით ჩამოვიდებენ და ავტოკლავში შეაგორებენ. როცა ავტოკლავში ტომრების სასურველი რაოდენობა (24-30 ტომარი) დაგროვდება (ნახ. 4), მას ცხელი წყლით გაავსებენ და თავს სპეციალური ხუფით ჰერმეტულად დაუტავენ. შემდეგ ავტოკლავში ჰიდრავლური ტუმბოს საშუალებით 18 ატმოსტერო წნევას შექმნიან. ასეთი წნევის შედეგად 15-20 წუთში პაკეტში მინისა და ცელულოიდის ფურცლები იწნებენ და ერთომეორეს შეეწებება. შეწებება იმაში მდგომარეობს, რომ მინის ფურცლებზე მყოფ უელატინის გარსში შევა (გაიხსნება) ცელულოიდის ზედაპირზე მყოფი დიეთილენგლიკოლი და, ამრიგად, მინისა და ცელულოიდის ფურცლები ერთომეორეს მიეკვრის. ძლიერი დარტყმით ტრიპლექსი შეიძლება დაიმსხრეს, მაგრამ ნამსხრევები არ წარმოიქმნება. ძალიან დიდი დარტყმა საჭირო, რომ ტრიპლექსი დაიშალოს, ე. ი. მინის ნამსხრევები (ნაწილაკები) ჩამოცვიდეს (ნახ. 5). კატასტროფის დროს ავტომობილის ხის ნაწილები შეიძლება სულ დაიმსხრეს, რკინის ნაწილები დაიგრიხოს, ხოლო ტრიპლექსის არაფერი მოუვა.

მეორე სახის უმსხვრევადი მინა მზადდება ჩვეულებრივი ფანჯრის მინის თერმული დამუშავებით. თერმული დამუშავება შემდეგნაირად ხდება: მინის (2-3 მმ სისქის) ფურცელს ჭალით ერთხაზიან რკინიგზის ლიანდაგზე დაკიდებენ და სპეციალურ ვერტიკალურ ელექტროლუმელში შეიტანენ, სადაც ორთავე მხრიდან 2-3 წუთის განმავლობაში თანაბრად (500-600°-დე) ახურებენ. გახურების შემდეგ ფურცელს სწრაფად გადაიტანენ ორ ვენტილატორს შუა და ორთავე მხრიდან ჰაერს დაუ-




ნახ. 3. ვაკუუმიზაცია.



ნახ. 4. ავტოკლავი.

ბერავენ. ამ დროს ფურცელი სწრაფად და თანაბრად ცივდება, ე. ი. მინა იწრიობა. ასეთი წესით დამუშავებულ ფანჯრის მინის ფურცლებზე რომ 1,25 მეტრის სიმაღლიდან 1-კილოგრამიანი ტვირთი დავარტყათ, მას არაფერი მოუვა მაშინ, როდესაც იგივე დარტყმა თერმულად დამუშავებელ 15 ასეთივე სისქის ფურცელს ნამსხრევებად აქცევს. შეგვიძლია ასეთი წესით დამუშავებული მი-

ნის 2 მმ (ფანჯრის მინის სისქეც 2 მილიმეტრია) სისქის ფურცელი ბოლოებით ორ სკამზე ჩამოვდვათ და შუაზე ორი კაცი დავაყენოთ — ფურცელი ჩაიზინება, მაგრამ არ გატყდება (ნახ. 6). ძალიან დიდი ძალაა საჭირო, რომ ეს მინა დაგამსხვრიოთ. მას „სტალინიტი“ უწოდეს, ხოლო მისი მიღების პროცესს — „სტალინიზაცია“. საინტერესოა ის გარემოება, რომ „სტალინიტი“ დამსხრევისას არ იძლევა მჭრელ, წვეტიან ნამსხრევებს. ძალიან დიდი დარტყმისას სტალინიტი ბადისებური უჭრედოვანი ნაბზარებით იფარება (ნახ. 7).



ნახ. 2. პაკეტების ჩაწყობა რეჟიმის ტომრებში.

ცხლა მოქლედ გავეცნოთ, თუ როგორ ლებულობს მინა უბრალო თერმიული დამუშავებით ასეთ დიდ მექანიკურ გამძლეობას და ელასტიკურობას. იმისათვის, რომ ეს გასაგები გახდეს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ მინას გამძლეობა კუმშვაზე დახლოებით 13-14-ჯერ მეტი აქვს, ვიდრე წყვეტაზე. მინის გამძლეობა კუმშვაზე (შემადგენლობისა და სხვა ფაქტორების მიხედვით) იცვლება 60—125 კგ/მმ<sup>2</sup> ფარგლებში, ხოლო გაწყვეტაზე — 6-9 კგ/მმ<sup>2</sup> ფარგლებში. ასეთ მექანიკურ გამძლეობას მინის ნაწარმი იჩენს ნელი და თანაბრარი გაცივების შემთხვევაში. არათანაბარი გაცი-

ვებისას შექანიკური გამძლეობა ძალზე შეცირდება და შეიძლება მინა თავისთავადაც კი დაიმსხვრეს. როგორც ვიცით, მინა სითბოს ცუდი გამტარია. ამიტომ არათანაბარი და სწრაფი გახურება მასში იწვევს დაჭიმულობას, რაც ასუსტებს შექანიკურ გამძლეობას. როცა გახურებული მინის შედარებით სქელედლიან ნაწარმს ცივი ჰაერი ან ცივი სხეული შეეხება, ზედაპირი ჩქარა ციუდება, ხოლო მისი შიდა ნაწილი გახურებული რჩება, რადგან სითბოს ცუდ გამტარ მინაში სითბო ზევით ვერ ამოდის. მინის ნაწარმის გაცივებულმა გარსში მოცულობაში უნდა მოიკლოს, მაგრამ ამის საშუალებას მას არ აძლევენ გახურებული შიდა ნაწილები, რომლებსაც წინანდელი მოცულობა აქვთ შენარჩუნებული. ამგვარად გარე გარსი გაჭიმული რჩება, მასზე მოქმედებენ ძალები, რომლებიც მის შეკუმშვას ცდილობენ. ღროთა განმავლობაში მინის შიდა ნაწილებიც ციუდება და იწყება მათი მოცულობის კლება, მაგრამ გამაგრებული ვარსი ახლა მას არ მიყვება და შიდა ნაწილებში გამჭიმვევი ძალები რჩება.

მინის ღეროს გახურებისას იქმნება დაჭიმულობანი. იმისდა მიხედვით, თუ როგორი სისქისაა მინის ნაწარმი და რა სისწრაფით და სითანაბრით ხდება გაცივება, ეს ძალები შეიძლება მეტნაკლები იყოს. ჩვეულებრივ მინის ნაწარმის დაყალიბებისას მასში აუცილებლად წარმოიშობა დაჭიმულობა. ამიტომ მინის ნაწარმს, დაყალიბების შემდეგ, 550-600°-დე ახურებენ და შემდეგ ნელ-ნელა აცივებენ, რათა მასში დაჭიმულობა მინიშვამდე დაიყვანონ. მაშასადამე, მინის რომ შექანიკური გამძლეობა ექნეს, საჭიროა მისი ნელა გაცივება, ე. ი. ჩასში დაჭიმულობა არ უნდა წარმოიშვას. „სტალინიტის“ დამზადებისას“ კი ჩვენ საწინააღმდეგოდ ვიქცევით, ე. ი. მინაში ვემნით დიდ დაჭიმულობას მხოლოდ იმგვარად, რომ სპეციალური წესით გახურებისა და გაცივების გზით ეს დაჭიმულობა სრულიად თანაბრად იყოს განაწილებული ზინის ფურცლის მთელ მასში (თუ ფურცლის სხვადასხვა არეში დაჭიმულობის ძალები განსხვავებული იქნება, ფურცელი დასკდება). თავისთავად ცხადია, რომ ნებისმიერი ფორმის და ზომის ნაწარმის სტალი-




ნახ. 6. სტალინიტის გამოცდა დაწოლაზე.


ნიზაცია მწერლი. ამჟამად მიღწეულია მხოლოდ ფურცლოვანი მინის (3-4 მმ სისქის) სტალინიზაცია. მინის ფურცლის სტალინიზაციის (ე. ი. სწრაფი და თანაბარი გაცივების) დროს წარმოშობილი დაჭიმულობის ძალების მეოხებით მინის გამძლეობა კუმშვაზე მცირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, გაწყვეტაზე მატულობს. მინის დამსხვრევა უმთავ-

რესად გაწყვეტაზე წუსტი წინააღმდეგობითა გამოწვეული. ცხადია, რომ სტალინიზირებული მინა გაცილებით მაგარია, ვიდრე ჩვეულებრივი მინები. გაწყვეტაზე გამძლეობის ზრდამ მისი პლასტიკურობის გაზრდაც გამოიწვია, რადგან გაღუნვისას მინა გაწყვეტაზე მუშაობს.

მრავალრიცხვოვანი საბჭოთა ქარხები ამჟამად ღიდი რაოდენობით ამზადებენ ტრიპლექსს და ამ საქმეში ჩვენი სპეციალისტების მიერ ბევრი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა შეტანილი. სტალინიტის წარმოება ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანია ათვისებულია. საგულისხმოა ის, რომ საბჭოთა მეცნიერებმა დამუშავეს სტალინიტის დამზადების ორიგინალური მეთოდი და სპეციალისტების ერთმა ჯგუფმა ამ ღიდი მიღწევისათვის სტალინური პრემიის ლაურეატობა დაიმსახურა.



ნახ. 5. ტრიპლექსი დარტყმის შემდეგ.



ნახ. 7. დამსხვრეული სტალინიტი.

# ვარსკვრები

## ცამარი

თამარ პოლიტიკური

უიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ყოველ ჩვენგანს არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის, რომელზედაც უხვათავა გაძნეული სხვადასხვა ფერისა და სიკაშვაშის მნათი წერტილები — ვარსკვლავები. რაც უფრო მოწმენდილია ღამე და თანაც უმთვარო, მით მეტი ვარსკვლავები მოჩანან ცაზე. თუ კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ვარსკვლავები, ისევე როგორც მზე და მთვარე, ამოდიან აღმოსავლეთით და შემდეგ ნელ-ნელა გადაინაცვლებენ დასავლეთისაკენ. ეს არის მათი ხილული მოძრაობა, გამოწვეული დედამიწის ბრუნვით თავისი ღერძის გარშემო საწინააღმდეგო მიმართულებით — დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

თუმცა ვარსკვლავები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მოძრაობენ, მაგრამ ჭერ კიდევ არაკას შეუმჩნევია მათი მოძრაობა ერთმანეთის მიმართ, ე. ი. მათ შორის მანძილის ცვლილება შეუმჩნეველია. რით არის „გამოწვეული“ ეს მოვლენა. ამაზე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.


მართლაც, ვის არ შეუმჩნევია ცის ჩრდილო ნაწილში ე. წ. „დიდი ძუ დათვის კრებული“, ანდა კაშკაშა ვარსკვლავთა მჭიდრო გროვა, რომლებსაც „ხომლს“ უწოდებენ და სხვა მრავალი შეჯგუფებანი? ისინი ისეთივე სახით გამოიყურებოდნენ რამოდენიმე ასეული წლის წინათაც, როგორც დღეს. ვარსკვლავთა იმ დაჯგუფებებს თვითითი ფორმა თითქმის არ შეუცვლიათ.

ჯერ კიდევ ძველად იდამიანჩა ყველა ვარსკვლავები დაპყო დაჯგუფებებად და მიაკუთვნა მათ გარეკვეული სახელწოდებანი, რომლებიც დღემდე დარჩა და ახლაც ხმარებაშია. სულ ცნობილია

ვარსკვლავთა 90 ასეთი დაჯგუფება, რომელთაგან მხოლოდ ნაწილია ხილული ჩვენთვის — დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროს მცხოვრებთაოვეს.


მაგრამ ასეთ „უძრავ“ ვარსკვლავთა შორის ცაზე შემჩნეულია რამდენიმე ძლიერ კაშკაშა მნათობი, რომლებიც დანარჩენთა მიმართ საკმაოდ შესამჩნევი სიჩქარით ინაცვლებენ. მათვე მიეკუთვნება ჩვენი მთვარე, რომელიც ხან დილით მოჩანს ცაზე, ხან ლამით, ხან კი სულ იკარგება, რომ შემდეგ ისევ გამოჩნდეს. ეს მოძრავი „ვარსკვლავები“ და აგრეთვე მთვარეც მონაწილეობენ დღედამურ მოძრაობაში (ე. ი. ისინიც, მსგავსად სხვა ვარსკვლავებისა, ამოდიან აღმოსავლეთით და ჩადიან დასავლეთით) და ამავე დროს მათ აქვთ „საკუთარი“ მოძრაობაც.

ეს მოხეტიალე მნათობები ვარსკვლავები კი არ არიან, არამედ ცთომილები ანუ სხვანაირად



ჩა. 1. ცნობილმა საბჭოთა ასტრონომმა — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ჭევრკორესპონდენტმა გ. ა. ტიბოგვა გამოარყია, რომ მარტხე არსებობს „მცენარეულობა და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერების ასალ დარგს — „ასტრონომოტანიკას“. სურათზე — გ. ა. ტიბოგვი თავის თანამშრომელ კ. კოზლოვასთან ერთად მუშაობის დროს.

## პირ



საკუთხევი

ნაცხლი

ურანი

საცხლი

ვარსა

მარსი

არამიონი

მერკური

ვარა

ნახ. 2. მთხვეთი და პლანეტების შედარებითი სიდიდე.

პლანეტი „პლანეტა“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოხერიალე ვარსკვლავს).

ჩვენ ვიცნობთ სულ 9 ასეთ ცოორისას. ესერთ მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. ყველა ესენი ერთად შეადგენენ ე. წ. „ეზის ოჯახს“. ამ ცოორისაბიდან შეუიარაღებელი თვალით მოხანს მხოლოდ ხუთი: მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი.

ისმება კითხვა: რით აიხსნება ის მოვლენა, რომ ეს ხუთი „რჩეული“ მნათობი სწრაფად მოძრაობს, ხოლო დანარჩენი ვარსკვლავები უძრავად არიან „მიჭედილი“ ცაშე და მათი მოძრაობა მხოლოდ დღედამური მოძრაობით განისაზღვრება.

საქმე იმაშია, რომ ცოორისაბი, სხვა დანარჩენ ვარსკვლავებთან შედარებით, იმდენად „ახლო“ იმუოფებიან ჩვენგან, რომ მათი გადაადგილება ჩვენთვის შესამჩნევია, სამაგიეროდ, ვარსკვლავები ისე ძლიერ არიან დაცილებული ჩვენგან, რომ არამცოთ დღეებისა და თვეების განმავლობაში, არამდე ათეული და ასეული წლების განმავლობაშიც კი არ შეიძლება მათი მოძრაობის შემჩნევა, თუნდაც ისინი ძლიერ დიდი სისწრაფით მოძრაობდნენ, რასაც მართლაც აქვთ ადგილი. ყველაზე „ახლო“ მდებარე ვარსკვლავამდე მანძილი იმდენად დიდია, რომ მას ჩვენ კილომეტრობით კი არ გამოვხატავთ, არამდე სულ სხვა, დიდი მასშტაბის ერთეულებით. ასეთე-


ბია — ასტრონომიული ერთეულები, რომელიც დედამიწიდან მზემდე მანძილის ტოლია და გამოისახება 149.500.000 კილომეტრით, და ე. წ. სინათლის წელი, რომელიც 63290 ასტრონომიულ ერთეულს უდრის. ეს ის მანძილია, რომელსაც სინათლის სხივი ერთი წლის განმავლობაში გაივლის. თუ გავიხსენებთ, რომ სინათლის სხივის სიჩქარე ერთ წამში 300.000 კილომეტრს უდრის და თუ ამ რიცხვს გავამრავლებთ წამთა რიცხვზე წელიწადში, მივიღებთ 9500000000000000 კილომეტრს. უახლოესი ვარსკვლავი, რომელსაც „კენტავრის ალფას“ უწოდებენ, ჩვენგან 4 სინათლის წლით არის დაშორებული, ე. ი. ამ მანძილის გავლას სინათლის სხივი 4 წელს უნდება. ხილულ ცოორის მილთა შორის ყველაზე შორს ჩვენგან სატურნია: ის 8,5-ჯერ უფრო შორსაა ჩვენგან, ვიღრე მზე, მაგრამ დაახლოებით 38.000-ჯერ უფრო ახლო, ვიდრე „კენტავრის ალფა“.

არიან ვარსკვლავები, რომელნიც ვაცილებით უფრო შორს იმყოფებიან ჩვენგან, ვიდრე „კენტავრის ალფა“. მათგან სინათლის სხივი ათეული ათასი და ზოგჯერ მილიონი წლების განმავლობაში მოდის.

ამავე მიზეზით აისხება სეიარემოებაც, რომ ისეთი მცირე სიდიდისა და ნაკლებად კაშკაშა სხეულები, როგორიცაა ცოორის უფრო გრძელი ვერცხლი, რომლებიც რამოდენიმე ათეულ ათასჯერ და მილიონჯერად აღმატებიან მათ როგორც სიდიდით, ისე ბრწყინვალებით.

ცოორის მიზეზით, გარდა იმისა, რომ ახლოს იმყოფებიან, კიდევ იმით არიან შესანიშნავი, რომ ისინი ისეთ თვითმნათ სხეულებს კი არ წარმოადგენენ, როგორიცაა ჩვენი მზე და სხვა დანარჩენი ვარსკვლავები, არამედ მხოლოდ მზისგან დაცემულ სხეულებს არეკლავენ, მსგავსად მთვარისა. ცოორის ჩვენი დედამიწის მსგავსად, მყარი და ვაცივებული სხეულებია, ხოლო ერთ-ერთ მათგანზე კა, მარსზე, როგორც ცნობილი საბჭოთა ასტრონომის ტიხოვის უკანასკნელმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, თურმე არსებობს სიცოცხლე მცენარეთა სახით.

ყველაზე ახლო ვარსკვლავი ჩვენი მზე, რომელიც, როგორც ვთქვით 149,5 მილიონი კილომეტრით არის დაშორებული ჩვენგან. მზიდან სინათლის სხივი 8 წლების განმავლობაში მოდის. მზის დიამეტრი დედამიწის დიამეტრს (ეს უკანასკნელი დაახლოებით 13.000 კილომეტრია) 109-ჯერ აღმატება, ე. ი. მზე რომ უზარმაზარი, ცარიელი ბურთის სახით წარმოვიდგინოთ, მასში მილიონზე მეტი დედამიწა მოთავსედებოდა. მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია მზისა და პლანეტთა შეფარდებითი სიდიდე.



ახალგაზრდა გაიმუშიათებული ციკი ვარსკვლავი  
ნითელი ფერისა



ახალგაზრდა გაიმუშიათებული ვარსკვლავი  
ყვითელი ფერისა



თეთრი ცხელი ვარსკვლავი



ჩვენი მზე-„ხანში შესული“  
ყვითელი ფერის მკვრივი ვარსკვლავი



ძველი მკვრივი ციკი ვარსკვლავი  
ნითელი ფერისა

ნახ. 3. ვარსკვლავის განვითარება. ასეთ მდგომარეობას გაიგლის თითოეული ვარსკვლავი დროთა განმივლობაში. ასეთი მდგომარეობა გაიარა, კერძოთ, ჩვენმა მზემ.

მზე რომ იმ მანძილზე იმყოფებოდეს, რა მანძილზეც ვარსკვლავებია, მაშინ ის ისეთი კაშკაშა ბურთის სახით კი არ წარმოგვიდგებოდა, როგორადაც ჩვენ მას ახლა ვხედავთ, არამედ ისეთივე მბეჭუტავი, მნათი წერტილივით დავინახავდით, როგორც სხვა მრავალ მკრთალ ვარსკვლავს ვხედავთ, და მაშინ დედამიწაზე აღარც სიცოცხლის პირობები იქნებოდა, რადგან უკანასკნელის მთავარ წყაროს მზე წარმოადგენს.


ვარსკვლავთა ხილული სიკაშეაშე, დამოკიდებულია არა მარტო მანძილზე, არამედ მათ ჰეშმარიტ სიკაშეაშეზედაც. არის ვარსკვლავები, რომლებიც მზეს აღემატებიან როგორც სიდიდით, ისე ბრწყინვალებით. მართლაც, ორიონის თანავარსკვლავებში, რომელიც ზამთრობით ცის სამხრეთ ნაწილში სალამოდანვე მოჩანს, არის ვარსკვლავი, რომელსაც „რიგელს“ უწოდებენ. ეს ვარსკვლავი 21.000-ჯერ უფრო კაშკაშაა, ვიდრე მზე, ხოლო მოცულობით 64.000-ჯერ აღემატება მას. ცნობილია ორი კაშკაშა ვარსკვლავი, რომელთაგან ერთი იმავე თანავარსკვლავებში იმყოფება, ხოლო მეო-

რე „ლიანანკელის“ კრებულში. მათ უზერესდებული ზესა“ და „ანტარესს“ უწოდებენ. ეს ვარსკვლავები რომ იმ მანძილზე „გაღმოვიტანოთ“, რა მანძილზეც მზე არის დაშორებული ჩვენგან, მაშინ უკანასკნელი თავისი თოხი თანამდგზერით ორბიტებიანად ორივე ვარსკვლავის შიგნით აღმოჩნდებოდა. პირველი ვარსკვლავის დიამეტრი დაახლოებით ოთხ ასტრონომიულ ერთეულს უდრის, ხოლო მეორისა — 3-ს. ასეთი დიდი ზომის ვარსკვლავებს გიგანტ ვარსკვლავებს უწოდებენ. მაგრამ არიან ვარსკვლავები, რომელნიც მზეს ჩამოუვარდებიან როგორც სიდიდით, ისე ბრწყინვალებით. ასეთი „მცირე“ დიამეტრის მცნობე ვარსკვლავები ასტრონომიაში ჯუჯა ვარსკვლავებად არიან ცნობილნი.

მაგრამ ვარსკვლავები ერთიმეორისაგან არა მარტო ბრწყინვალებითა და სიდიდით განირჩევიან, არამედ ფერითაც. ზოგი მათგანი მოთეთრო-მოლურჯო ფერისაა, ზოგი მოყვათალო, ზოგს კი წითელი ფერი გადაჰტრავს. სხვადასხვა ფერი მათი ტემპერატურის სხვადასხვაობით არის გამოწვეული. რაც უფრო „ცხელია“ ვარსკვლავი, მით უფრო თეთრი ფერი აქვს მას. ყველაზე „ცივი“ ვარსკვლავები წითელი ფერისანი არიან (ნახ. 3). ასეთ დამოკიდებულებას ფერსა და ტემპერატურას შორის დედამიწაზეც ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, ძლიერ გავარვარებული ნათურა თეთრად და თვალისმომჭრელად ანათებს, ხოლო ოდნავ მბეჭუტავი ნათურა — წითლად.

ყველაზე უფრო „თეთრი“ ვარსკვლავების ზედაბარის ტემპერატურა 30.000 გრადუსს აღწევს, ხოლო მათ წიაღში ტემპერატურა რამდენიმე ათეულ მილიონ გრადუსს აღემატება. მზის ზედაპირის ტემპერატურა 6000 გრადუსს აღწევს, ხოლო მის გულში — 10 მილიონ გრადუსსზე მეტს. მზე „ყვითელ“ და ჯუჯა ვარსკვლავთა ჯგუფს მიეკუთვნება.

შეიძლება ბევრმა ეჭვის თვალით შეხედოს ამ მონაცემებს და სოქვას: ვინ იყ და ვინ გა-



ვგა


ათვარი მარტი ღია მომატება ცეცხლი ერთობენ  
ერთობენ ერთობენ უკანი საცხოვრის ინაპირის

ნახ. 4 მზისა და პლანეტების შედარებითი წრანა აქვთ ნაჩვენებია საწონებით.

ზომა მზის ან უფრო შორეულ ვარსკვლ ავთა ტემპერატურაო. მაგრამ ტემპერატურის განსასაზღვრავდ აუცილებელი როდია მისი „გაზომვა“ ისე-თივე წესით, როგორც დედამიწაზე ვზომავთ ხოლმე.

თანამედროვე ასტრონომიის განკარგულებაშია მრავალი ხერხი, რომელთა საშუალებითაც ის „ზომავს“ ცის სხეულთა ტემპერატურას, სიღიდეს, წონას, მანძილს და სხვ. ერთ-ერთ ასეთ ძლიერ ხერხად ითვლება სპექტრული ან ალიზი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მნათი სხეულიდან წამოსულ სხივს გზაში ახველ-რებენ სპეციალურ მინას, ე. წ. პრიზმს, რომელიც რთულ „თეთრ“ სხივს შემაღენელ სხვადასხვა „მარტივ“ ფერებად — ე. წ. სპექტრებაზულის, და აწარმოებენ მის შესწავლას.

როგორც ზემოთ ვთქვით, ვარსკვლავები ერთი-მეორისაგან განსხვავდებიან ფერით, სიკაშაშით, ტემპერატურით, სიღიდით, მაგრამ ისინი განსხვავდებიან სიმკვრივეზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ნივთიერების რაოდენობა ერთეულ მოცულობაში. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ანტარესი მოცულობით რამდენიმე მილიონჯერ აღემატება მზეს, „წონით“ იყი მას თურმე მხოლოდ 40-ჯერ აღემატება, ეს იმას ნაშნავს, რომ მასში ნივთიერება ანუ მასა გაცილებით უფრო გაიშვიათებულია, ვიდრე მ'ხეში. სამაგიეროდ არსებობენ ვარსკვლავები, რომელნიც მზეზე რამოდენიმე ათეულ ათასჯერ უფრო მცირენი არიან სიღიდით, მაგრამ ასეთ პატარა მოცულობაში მასის იმდენად დიდი რაოდენობაა მოქცე-



ნახ. 6. ნისლოვანობა ანდრომედას ქრებულში.

ული, რომ ასეთი ვარსკვლავის ასანთის კოლოფის ტოლი ნატეხი ტონაზე მეტს აიჭინიდა.

ჩვენ ზემოთ გავვრით შევეხეთ ვარსკვლავთა მოძრაობას. ახლა ამ საკითხზე ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

როგორც ვთქვით, ვარსკვლავები ერთი შეხედვით უძრავ, „ცაზე მიგედილ“ შენთი წერტილების სახით წარმოგვიღება. სინამდვილეში ვარსკვლავები სივრცეში მოძრაობენ და თანაც ძალიან დიდი სისტრაფით, რასაც ჩვენ უბრალო თვალით, თუნდაც ინსტრუმენტის დახმარებით, ასეული წლის განმავლობაშიც კი ვერ ვამჩნევთ, მაგრამ თანამედროვე ასტრონომიას გააჩნია ხერხები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება „გაიზომოს“ მოძრაობის სიჩქარე და მიმართულებაც. მაგრამ ეს მოძრაობებიც მრავალნაირია. ზოგი ვარსკვლავი, რომელიც უბრალო თვალით მხოლოდ ერთ მნათ წერტილად გვეჩვენება, სინამდვილეში ორმაგ და სამმაგ ვარსკვლავს, ხშირად კი ვარსკვლავთა გროვას წარმოადგენს. მნაჟი წერტილების სახით ისინი ჯერ ერთი იმიტომ გვეჩვენებიან, რომ ძალზე შორს არიან ჩვენგან, აგრეთვე იმიტომაც, რომ მათი შემაღენელი წევრები ანუ, როგორც ამბობენ, კომპონენტები, ახლო არიან ერთმანეთთან იმ მანძილთან შედარებით, რა მანძილითაც ისინი დაშორებული არიან ჩვენგან. ვარსკვლავთა გროვებში ვარსკვლავთა რაოდენობა რამდენიმე ათეული-დან რამდენიმე ათეულ და ასეულ ათასსაც აღწევს. ეს სისტემები მოძრაობენ თავიანთი სიმძიმის ცენტრის გარშემო და ამავე დროს მონაწილეობას ღებულობენ ვარსკვლავთა საერთო მოძრაობაში რაიმე ვარჭვეული ცენტრის გარშემო.

ნახ. 5. ჩვენი ვარსკვლავთსისტემა — გალაქტიკა (სქემა-ტურად). ზემოთ: ხდი „სიბრტყით“, ქვემოთ — ხდი „წიბოდან“.

მაგალითად, ჩვენი დედამიწა მოძრაობს მზის გარშემო და სრულ შემობრუნებას ერთ წელიშადს ანდომებს. მზე კი, მთელი თავისი „ოჯახით“, ო-გორც ერთი მთლიანი სისტემა, მოძრაობს საერთო ცენტრის გარშემო ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ვარსკვლავები. ვარსკვლავთა სიჩქარები სივრცეში სხვადასხვაა. ზოგიერთი მათგანის სისწრაფე 250 კილომეტრს აღწევს წამში.

ჩვენ აქმდე ვლაპარაკობდით ვარსკვლავთა სხვადასხვა მახასიათებლებზე, როგორიც არის მათი მანძილი, სიდიდე, ტემპერატურა და სხვა, მაგრამ არაფერი გვითქვამს მათ სიმრავლეზე.

ალბად ბევრს მოსვლია თავში კითხვა: რამდენი ვარსკვლავია „ცაზე“ და შეიძლება თუ არა მათი დათვლა? („ცა“, როგორც რაიმე მყარი საგანი, არ აჩებობს; ის წარმოადგენს უსასრულო სივრცეს, რომელშიც ყოველი მიმართულებით სხვადასხვა მანძილზე მრავლადაა გაბნეული ვარსკვლავები).

იმ ვარსკვლავთა დათვლა, რომელთაც თვალით ვხედავთ ყოველ მოწმენდილ ღამეს, არამც თუ შესაძლებელია, არამედ ისინი უკვე დათვლილი არის და, ალბათ, ბევრს გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ მათი რაოდენობა მხოლოდ 3000-ს აღწევს. დაახლოებით ამდენსაც ვარსკვლავს ხედავენ დედამიწის სამხრეთ-ნახევარსფეროში მცხოვრებნი, ამგვარად შეუიარაღებელი თვალით ხილულ ვარსკვლავთა რაოდენობა 6000-ს არ აღწერება. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ძლიერ კაშაშა და შედარებით „ახლო“ მდებარე ვარსკვლავებს. რაც უფრო ძლიერი ტელესკოპით შევიარაღდებით, მით უფრო მეტ ვარსკვლავს დავინახავთ.

ბევრს, ალბათ, ყურადღება მიუქცევია ბრტყელი, ნათელი ზოლისათვის, რომელიც რკალად არტყია ჩვენ თავზე „გადმოხურულ“ ცის გუმბათს. ამ მარგალიტის მსგავს თეთრ ზოლს, რომელიც ცის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა სივანისაა, ხალხი „ირმის ნახტომს“ უწოდებს, ხშირად მას „რძის გზასაც“ უწოდებენ. თუ გავიხდავთ რომელიმე ძლიერ ტელესკოპში, დავინახავთ, რომ ის უამრავ მკრთალ ვარსკვლავთა მჭიდრო გროვს წარმოადგენს.

ყველა ის ვარსკვლავი, რომელთაც ჩვენ ვხედავთ არა მარტო შეუიარაღებელი თვალით, არამედ ძლიერ ტელესკოპშიაც, შეაღგენს ვარსკვლავთა ცალკე სისტემას ანუ ე.წ. გალაქტიკას. ასეთ გალაქტიკათა რიცხვი უსასრულოა უსასრულო სივრცეში. ისინიც მსგავსად ჩვენი ვარსკვლავთა სისტემისა, დამოუკიდებელი, ცალკე სისტემებია.

ამგვარად, ეს გალაქტიკები უნდა წარმოვიდგინონ შედარებით „მჭიდროდ“ დასახლებული კუნძულების სახით, რომელნიც ყოველი მიმართულებით არიან გაბნეული სივრცის უსასრულო რკეანეში. ეს „კუნძულები“ უზარმაზარი სიდიდისან არან, მაგალითად, ჩვენს გალაქტიკაში სინათლის სხივი ერთი კიდიდან მეორე კიდემდის წანძილის გავლას 120,000 წელიშადს უნდება, ხოლო ვარსკვლავთა რიცხვი 120 მილიარდს აღწევს.

გარეშე გალაქტიკები, რომელთაც გარე ალაქტიკურ ნის ლეულებს ასაც უწოდებენ, ტელესკოპში მოჩანან არა მნათი წერტილების სახით, როგორც, მაგალითად, ვარსკვლავები, არამედ გაწელილი ან წრიული ნათელი ლაქების სახით. მე-6 ნახატზე მოცემულია ერთ-ერთი ასეთი ნისლეულის ფოტოგრაფია. მას ან დრო მედას ნისლეულს უწოდებენ. იგი დაახლოებით ისეთივე სიდიდისა, როგორც ჩვენი გალაქტიკა. ანდრომედას ნისლეულიდან ჩვენამდე მანძილის გავლას სინათლის სხივი 668.000 წელიშადს ანდომებს.

ყოველი სახის სამუშაო და გამოკვლევები, რომელიც ცის მნათობების დაკვირვებასა და შესწავლას შეეხება, მიმდინარეობს ობსერვატორიებში. ერთ-ერთი ასეთი ობსერვატორია საქართველოშიც არის კურორტი აბასთუმანში, მთა ყანობილზე. აბასთუმნის აბსერვატორიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ასტრონომიულ მეცნიერებაში, როგორც სამყაროს აგებულებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლით, ისე სხვა საკითხების გამოკვლევით.

როგორც ვხედავთ, ასტრონომიისათვის უკვე ბევრი ისეთი რამ არის ცნობილი, რაზედაც ამ 100-200 წლის წინათ ოცნებაც არ შეეძლოთ.

თუცა ასტრონომიას ჯერ კიდევ ბევრი საკითხი აქვს გასარკვევი, მაგრამ ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება საწინდარია იმისა, რომ რაც ჯერჯერობით უცნობი და საიდუმლოებით მოცულია, შესწავლილი და ამოცნობილი იქნება მომავალში.

განსაკუთრებით ღიდია დამსახურება საბჭოთა ასტრონომებისა, რომელნიც არამცულ დაწინებულების მეცნიერებს, არამედ ბევრ რამებიც გაუსწრეს მათ. ამას უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენს მთავრობასა და ხელისუფლებას, რომელიც თავის ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებს საბჭოთა მეცნიერებას და ყოველმხრივ ხელს უწყობს მის კიდევ უფრო აყვავებასა და განვითარებას.

# სტერლი

## მარაგი სიხშირის ფენით

კრონები  
ვიზუალური

ინუინერი 31 პარამსკი

### ბგერა და დენი

ციმბირელებს ან შორეულ ალმოსავლეთლებსა და მოსკოველებს, რომელიც ერთმანეთს ესაუბრებიან ტელეფონით, ხშირად აზრადაც არ მოსლით, რომ მათთან ერთდროულად, სადენების ერთი და იგივე წყვილით, ათობით ადამიანი საუბრობს. თუმცა მათი აპარატები ერთ ხაზზეა მიერთებული, მაგრამ მოსაუბრეთა ხმები ერთმანეთში არ ირევა.

რაშია აქ საჭმე?

ყველასათვის ცნობილია, რომ ტელეფონის სადენით გადაიცემა არა ბგერები, არამედ დენი. ჩვენი მეტყველების ბგერები იწვევენ ჰაერის ახევას, რომელიც მოქმედობს ტელეფონის მილის მიკროფონის მემბრანაზე. მემბრანა ირევა ხმის ბგერების მიხედვით (მათთან შეწყობილად) და კუმშავს ან აფართოებს ნახშირის ფხვნილს მიკროფონში. ამ დროს ნახშირის ფხვნილის სიმკვრივე და, მაშასადამე, ელექტრული წინაღობა იცვლება. შესაბამისად იცვლება დენიც, რომელიც გაივლის რა სადენს, იწვევს ტელეფონის მემბრანის რევას ხაზის მეორე ბოლოში.

თუ ერთ ხაზს მივუერთებთ რამდენიმე ტელეფონს და ამ ტელეფონებით ერთდროულად ვილაპარაკებთ, მაშინ ხაზზე მიერთებულ თითოეულ აპარატში ერთდროულად ყველა საუბრის ბგერებს გაიგონებენ, ამის შედეგად ჩვენი ყური მხოლოდ მრავალხმიან ხმაურს აღიქვამს.

როგორ უნდა დავაცილოთ ერთმანეთს დენები, რომლებიც ერთი და იგივე სადენით მიედინებიან?


### პაპიტან იზნატივაზის აღმოჩენა

პირველი ადამიანი, ვინც ეს ამოცანა გადასჭრა, იყო რუსი სამხედრო მექავშირე კაპიტანი იგნატიევი. 1880 წელს მან გამოარკვია, რომ ხაზში ელექტრული ხელსაწყოების — კონდენსატორისა და ინდუქციური კოჭის ჩართვით შეიძლება დენთა წარმართვა სადენის სხვადასხვა შტოებით.


პირველ ხელსაწყოს, კონდენსატორს, შესანიშნავი თვისება ახასიათებს: იგი ატარებს ცვლად დენს და აქვებს მუდმივს. ინდუქციურ კოჭს კასულ საწინააღმდეგო თვისება აქვს: იგი თავისუფლად ატარებს მუდმივ დენს და აქვებს ცვლადს.

ისარვებლა რა ამ ხელსაწყოებით, იგნატიევმა 1880 წელს პირველად მსოფლიოში შესძლო ერთი ხაზით ერთდროულად გადაეცა დეპეშა და ტელეფონით საუბარი. ტელეგრაფის მუდმივ დენთან ერთად სადენით წავიდა ტელეფონის ცვლადი დენი. იმ მიზნით, რომ თითოეული ეს დენი დანიშნულებისამებრ გაეგზანა, იგნატიევმა ტელეფონის აპარატის წინ ჩართო კონდენსატორი, ტელეგრაფის აპარატის წინ კი — სარნდუქციო კოჭი.

ამის შედეგად ხაზში გამავალი დენები გაიყო. მუდმივი დენი იძულებული გახდა ტელეგრაფის აპარატში წასულიყო: გზას ტელეფონისაკენ მას კონდენსატორი ულობავდა, ცვლადი დენი კი —



ჩვეულებრივი ტელეფონით საუბრის დროს ჰაერის რევა, რომელსაც ხმა ქმნის, იწვევს მემბრანის რევას. წრედში ალი-ძერება წყვეტილი დენი, რომელიც ტრანსფორმატორით ხაზში მიდის. როცა ტელეფონის აპარატს შიაღწევს, ეს დენი არხევს მემბრანას, რომელიც ბგერას ქმნის.



ერთდროულად დეპეშისა და ტელეფონით საუბრის ერთი სადენით გადაცემის ასეთი სქემა ჭამიაყენა რუსმა\_ მეკავშირე კაპიტანმა იგნატიევმა 1880 წ.

ტელეფონის აპარატისაკენ უხვევდა, ვინაიდან ტელეგრაფის აპარატში მას ინდუქციური კოჭი ორ უშვებდა.

კაპიტან იგნატიევის შესანიშნავმა აზრმა სათანადო განვითარება ჰქოვა ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. მაგრამ წამყვანი როლი სადენებიანი კავშირგაბმულობის (ისე, როგორც უსადენებო კავშირგაბმულობის) განვითარებაში ჩვენი ქვეყნის ინუინრებმა ითამაშეს. განსაკუთრებით ბევრი ახალი და ორიგინალური შეიტანეს ამ საქმეში ამჟამად სტალინური პრემიის ლაურეატებმა პ. კ. აკულშინმა, ა. ნ. გუმელმა, ვ. ჭ. მალიშევმა, პ. ა. ფროლოვმა და სხვა საბჭოთა მეკავშირებმა. მათი შრომების მეობებით ჩვენს ქვეყანაში იგებულია ყველაზე სრულყოფილი სატელეფონო-სატელეგრაფო მაგისტრალები.

## მაღალი სიხშირე

იგნატიევის სქემა შესაძლებლობას იძლეოდა ერთი სადენით ერთდროულად გადაცათ მხოლოდ ერთი საუბარი და ერთი დეპეშა. ერთდროულად რამდენიმე სატელეფონო საუბრის გადასაცემად საჭირო დარჩა შემდგომი მუშაობა.

სავსებით ცხადია, რომ რამდენიმე სატელეფონო აპარატის უბრალოდ ჩართვა ერთ და იმავე წრედში არაფერს მოგვცემს. ასეთი ხაზის მუშაობა დაემსგავსება გრძელი დერეფნის სხვადასხვა ბოლოში შეკრებილ აღამიანთა ორი ჯგუფის გადაძახებას: ყველა ხმა აირევა და ვერავინ ვერაფერს მიხვდება.

მაგრამ, მოსაუბრების ერთი ჯგუფი რომ მაღალი, წრისბინა ხმით ლაპარაკობდეს, მეორე კი — ბოსით, ე. ი. საუბარი რომ სხვადასხვა ბგერითი

სიხშირეებით სწარმოებდეს, ზოგი რამის გარჩევა მოხერხდებოდა. თუ ამას კიდევ ისიც დაერთვის, რომ მოსაუბრება თითოეული წყვილი დაჰკარგავს უცხო ტონის აღქმის უნარს, მოსაუბრების ერთმანეთის ხმას სავსებით მკაფიოდ გაიგებდნენ.

სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად თანამედროვე ტელეფონირებას, სადაც სადენით სხვადასხვა სიხშირის დენები გადაიცემა.

როგორც უკვე ვთქვით, ელექტრული დენი, რომლითაც ტელეფონიაში სარგებლობენ, ცვლადია. მისი სიდიდე და მიმართულება განუწყვეტილივ იცვლება და ამასთან — ძლიერ სწრაფად. მაგალითად, გასანათებელი ქსელის დენი წამში 50-ჯერ იცვლება. წამის განმავლობაში ცვლადი დენის ცვლის ამ რიცხვს უწოდებენ მის სიხშირეს. დენები, რომელთა ცვლის რიცხვი არ აღემატება აღამიანის ხმის ბგერათა სიხშირეს (რხევათა სიხშირე — 3500-დე წამში), დაბალი სიხშირის დენებად ითვლება. როცა ამ ზღვარს გადავცილდებით, ჩვენ ვხვდებით მაღალი სიხშირის დენების არეში, რომლებიც გაცილებით უფრო მოხერხებულია სატელეფონო გადაცემებისათვის. მაღალი სიხშირის დენები ნაკლებ განიცდიან გარეგან გავლენას ელექტროგადაცემათა ხაზების, ჭექა-ქუბილისა და სხვა ხელშემშლელი ფაქტორების მხრივ. ისინი უფრო ადვილად გადიან კონდენსატორში და უფრო დიდ წინააღმდეგობას ხედებიან ინდუქციური კოჭების მხრივ. ამის მეობებით მაღალი სიხშირის დენების დახარისხებაც უფრო ადვილია.

## დენოა დამხარისხებელი

მაღალი სიხშირის დენთა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ერთდროულად ერთმანეთისაგან

დამოუკიდებელი ათობით საუბრის განხორციელება ერთი სადენით. ამ შემთხვევაში თითოეული საუბრის სწარმოებს სიხშირეთა ვარქვეულ ზოლში, თითქმ ცალკე „ღარით“. ამიტომ ამგვარ სატელეფონო ხაზებს მრავალდარიანი ეჭილება.

იმისათვის, რომ თითოეულ აპარატში მოხვდეს მხოლოდ ის დენი, რომელიც გარკვეული საუბრისათვის არის საჭირო, და არ მოხვდეს სხვები, იმარება სპეციალური ელექტრული მოწყობილობანი — ფილტრები. მათ მოქმედებას საფურვლად უდევს კაპიტან იგნატიევის მიერ აღმოჩენილი შესანიშნავი მოვლენა: კონდენსატორსა და ინდუქციურ კოჭებს დენთა დახარისხების უნარი აღმოაჩნდა.

იგნატიევს საქმე ჰქონდა სრულიად სხვადასხვა დენებთან — მუდმივთან და ცვლადთან. მაგრამ როგორ უნდა დავაცილოთ ერთმანეთს ერთგვაროვანი, ე. ი. ცვლადი დენები, რომლებითაც თანამედროვე ტელეფონია სარგებლობს?

დავაკვირდეთ სრულიად უბრალო ფილტრის, მაგალითად, საცრის მუშაობას. მისი მოქმედება იმას ემყარება, რომ ერთმანეთისაგან დასაცილებელ ნივთიერებებს ახარისხებენ სიდიდის მიხედვით. უფრო პატარა ნაწილაკები გადის საცერტი, უფრო დიდები — რჩება.

ცვლად დენთა დასახარისხებლად სარგებლობენ მათი სიხშირეთა განსხვავებით. სათანადოდ აწყობილი კონდენსატორები და ინდუქციური კოჭები მხოლოდ განსაზღვრული სიხშირის დენებს ატარებენ. მაგალითად, შეიძლება ისეთი ელექტრული თვისებების მქონე კონდენსატორებისა და ინდუქციური კოჭების შერჩევა, რომ ეს ხელსაწყოები გაატარებენ მხოლოდ ოთხ ათასპერიოდიან რხეებს და დააკავებენ ყველა დანარჩენს.

მრავალდარიან ტელეფონიაში სარგებლობენ მაღალი სიხშირის დენებით. მაგრამ ჩვენი ხმით ტელეფონის აპარატში აღძრული ელექტრომაგნიტური რხევები მაღალ სიხშირეთა არეს არ ეკუთვნიან. ამიტომ შორი მოქმედების სატელეფონო მაგისტრალებზე საჭირო ხდება საუბრის დროს წარმოქმნილ დენთა გარდაქმნა.


დაბალი სიხშირის (სასაუბრო) დენები შემაერთებელი ხაზით ჩვენი სატელეფონო აპარატიდან შედის სატელეფონო საღვურში, საღაც გადამცემში ხვდება. გადამცემში დაბალი სიხშირის სასაუბრო დენი გარდაქმნება მაღალი სიხშირის დენათ და სატელეფონო სადენით მრავალ ასეულ და თასობით კილომეტრზე მირჩის.

საღენების გავლის შემდეგ, მაღალი სიშირის დენი კვლავ ხვდება გარდამქმნელში, აქ მისი სიხშირე მცირდება და, როცა სატელეფონო აპარატის მიკროფონს მიაღწევს, დენი კვლავ აღამიანის ხმის ბერებად გარდაიქმნება.

## 16 საუბარი ერთი ხაზით

შორეული კავშირგაბმულობის საბჭოთა მაგისტრალებზე ხმარებაშია ტელეფონირების სამი დამოუკიდებელი სისტემის კომბინაცია, რომელიც შესაძლებელს ხდის სადენების ერთი წყვილით ერთდროულად 16 საუბარი გავატაროთ. ელექტრული ფილტრების საშუალებით ხაზში თითქმ გამოყოფილია 16 „ღარი“, რომელთაგან თითოეულს სიხშირეთა გარკვეული ზოლი შეესაბამება, თითოეული მათგანით შეიძლება ერთი ორმხრივი საუბრის წარმოება.

ხაზის ორივე ბოლოში დადგმულია თხუთმეტ-თხუთმეტი გადამცემი და ამდენივე მიმღები, ელექტრული ფილტრების სათანადო რაოდენობით.



ასე გამოხატულ სქემატურად ელექტრულ დენებს. ორ ჯედა ნახაზზე ნაჩვენებია სხვადასხვა სიხშირის ცვლადი დენები.

კაშირი პირველი „დარით“ ხორციელდება დაბალი (სასაუბრო) სიხშირით — წამში 400-დან 3500-დე პერიოდის მქონე დენით. ეს არის ჩვეულებრივი სატელეფონო ხაზი, მსგავსი იმისა, რომელიც ქალაქის ორ აბონენტს აკავშირებს.


მეორე, მესამე და მეოთხე „დარები“ ქმნიან დამოუკიდებელ საბლარის მაღალი სიხშირის სისტემას, რომელიც მუშაობს სიხშირეთა 6-დან 30 ათასამდე ჩხევის ზოლში. ამ ჯგუფში სამი ორმხრივი საუბრიდან ითოვეულისათვის გამოყოფილია სიხშირეთა ორი განსაზღვრული „სასაუბრო“ ზოლი—თითო თოთოვეული მიმართულებისათვის. „სასაუბრო“ ზოლებს შორის მდებარეობენ სიხშირეთა თავისუფალი ზოლები, წამში 600 პერიოდის „სიგანით“, — ისინი თითქო წარმოადგენენ ღობებს, რომლებითაც ერთმანეთისაგან დაცილებულია ღარები.

შემდეგ მიღის მეორე მაღალსიხშირიანი სისტემა—12-ღარიანი. აქ მუშაობენ ღარები № 5-დან № 16-დე. სასაუბრო დენების გადასატანად სარგებლობენ 30 ათასიდან 150 ათასამდე პერიოდის სიხშირეთა ზოლით. იმ სიხშირეთა ზოლების „განი“, რომლებითაც ამ ჯგუფის ღარებია დაცილებული ერთმანეთისაგან, წამში 600-დე პერიოდს უდრის.


სამივე სისტემა, რომელიც 16 ღარს შეიცავს, წარმოადგენს ურთულეს აგრეგატს, რომელშიც გამოყენებულია ელექტრონული ტექნიკისა და ავტომატიკის უახლესი მიღწევები. მისი მოწყობილობა ძლიერ მოგვაგონებს რადიოგადამცემს და მიმღებ მოწყობილობებს მათი საგენერატორო და გამაძლიერებელი ლამპებით, გამმართველებით, ელექტროგადაცემათა და კავშირგაბმულობის მძლავრი ხაზები. საუბრების კარგი სმენადობის უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო სადენების დაცვა ატმოსფერული ცვლისა და მძლავრი დენის დაღგმულობათა მავნე გავლენისაგან, სხვადასხვა დანაკარგების თავიდან აცილება და რიგ სხვა დაბრკოლებების დაძლევა.

უკველა მიღებული ლონისძიების მიუხედავად, სხვადასხვა დანაკარგები ხაზში მაღალ დონეს აღწევდა. მიმღებ აპარატთან მიღწეული დენები იმდენად დასუსტებული იყვნენ, რომ სულ უმნიშვნელო გავლენასაც ვერ ახდენდნენ მემბრანაზე.


მაშინ ხაზის გასწვრივ დაიდგა საბჭოთა მეცნიერ ვ. ი. კოვალენკოვის მიერ უფრო ადრე გამოგონებული ელექტრონული გამაძლიერებელი აშ ნახატზე ნაჩვენებია თანამედროვე მაღალი სიხშირის სატელეფონო გადაცემის ნაშილი. გენერატორი იძლევა მაღალი სიხშირის ცვლად დენს, რეეგათა მუდმივი რიცხვით. როცა ბეჭრა მიკროფონში მიხვდება, ტელეფონის აპარატში აღძრული დაბალი სიხშირის დენი დაეფინება მაღალი სიხშირის დენს, რომელსაც გენერატორი იძლევა, და მას მეტყველების რეეგის შესაბამისად შეცვლის. შეკრებით მიღებული დენი გაიღლის ხაზს (რომელიც ნახატზე ნაჩვენები არ არის) და მოხვდება გამმართველში, შემდეგ კი ფილტრში, სადაც დაბალი სიხშირის დრნად გარდაიქმნება. ეს დენი აჩხევს ტელეფონის მემბრანას და შესაძლებელს ხდის გავიგონოთ ხმა ადამიანის, რომელიც ხაზის მეორე ბოლოში—რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე იმყოფება.



ამ ნახატზე ნაჩვენებია თანამედროვე მაღალი სიხშირის სატელეფონო გადაცემის ნაშილი. გენერატორი იძლევა მაღალი სიხშირის ცვლად დენს, რეეგათა მუდმივი რიცხვით. როცა ბეჭრა მიკროფონში მიხვდება, ტელეფონის აპარატში აღძრული დაბალი სიხშირის დენი დაეფინება მაღალი სიხშირის დენს, რომელსაც გენერატორი იძლევა, და მას მეტყველების რეეგის შესაბამისად შეცვლის. შეკრებით მიღებული დენი გაიღლის ხაზს (რომელიც ნახატზე ნაჩვენები არ არის) და მოხვდება გამმართველში, შემდეგ კი ფილტრში, სადაც დაბალი სიხშირის დრნად გარდაიქმნება. ეს დენი აჩხევს ტელეფონის მემბრანას და შესაძლებელს ხდის გავიგონოთ ხმა ადამიანის, რომელიც ხაზის მეორე ბოლოში—რამდენიმე ათასი



**აბორნენდი** ქადაგის საქართველოს გამადიფერენტ-  
საჟურნალი სატელეფონო სატელეფონო დი ჭანები  
სალგური სალგური



**გამადიფერენტ-  
ერ ჭანები** საქართველოს ქადაგის აბორნენდი  
საჟურნალი სატელეფონო სატელეფონო სალგური

პუნქტები, რომელთაც უნარი აქვთ სუსტი სიგნალების სიმძლავრე თითქმის 30 მილიონზე გაადილონ. ვინაიდან გრძელი სატელეფონო ხაზის გასწვრივ ატმოსფერული პირობები განუწყვეტლივ იცვლება, ეს გამადილიერებლები სმენადობას ავტომატურად იცავენ ერთნაირ მაღალ დონეზე.

საბჭოთა მშენებლების მიერ აგებული ტრანსკიმბირის სატელეფონო მაგისტრალი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე მასთან ერთდროულად აგებული კანადის სატელეფონო ხაზი — ვანკუვერი — ჰალიფაქსი, რომლის სიგრძე მხოლოდ 6720 კილომეტრია.

მიმდინარე ხუთწლედში შორეული მოქმედების სატელეფონო მაგისტრალები, სტალინური პრე-

მის ლაურეატის პ. კ. აკულშინის, ა. ნ. გუმელის, ვ. ზ. მალიშევის და პ. ა. ფროლოვის გამოცემლევების, აგრეთვე მაღალა სიხშირის სატელეფონო კავშირგაბმულობის საბჭოთა აპარატურის შემოქმედთა — ინუინრების მ. ნ. ვოსტკოვის, გ. გ. ბოროზიუკის, ვ. ნ. ამარანტოვის, ვ. გ. ჩორნინის და სხვათა შრომების მეოხებით აღიკაზმენ კიდევ უფრო სრულყოფილი აპარატებითა და მოწყობილობებით. ისინი საბჭოთა ტექნიკის ძლევამოსილებისა და ჩვენი ხალხის ნიჭის მაგალითს წარმოადგინენ.

(„ზნანიე—სილა“, № 11, 1949 წ.)

## საქართველოს სან ეზორისათვა აკარიაში ინსციზოუზები

ლიტონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი

საქართველოში ცეცხლგამქლე გასალების საკუთარი წარმოების ორგანიზაციას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: მოხერხდება საქართველოს მთელი რაგი საჭარმოების საჭიროებათა დაკმაყოფილება ადგილობრივი რესურსებით და ზედმეტი განვითარება მაგნეზიტის შემოზიდვა საბჭოთა კავშირის შორეული რაიონებიდან.

საქართველოში მოიპოვება მაგნეზიალური ნედლეულის მნიშვნელოვანი მარავი დოლომიტის, სერპენტინისა და თალკის სახით, რომელთა ბაზაზე შეიძლება მოქმედობა უძველეს და ნეიტრალურ მაღალყეცხლგამქლე მასალების (დოლომიტისა და ფორსტერიტის აგურის) წარმოება.

საქართველოს მაგნეზიალური ნედლეულის შეცავლაზე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ცეცხლგამქლე მასალების ლაბორატორია.

ამ მიმართულებით ჩატარებულმა პარველმა გამოცემლევამ — „დოლომიტის (მაგნეზიალურ-დოლომიტური) ცეცხლგამქლე მასალის მიღება საქართველოს ნედლეულიდან“ (ხელმძღვანელი — უფროსი მეცნიერ-მუშავი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ო. მჭედლოვა-ცეტროსიანი, შემსრულებელი — ინ. ხ. გოგიავა) მაღალი შეფასება მიიღო სი-

ლიკატების მრეწველობის სამცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. გამოცვლევას მეოთხე პრემია მიეკუთვნა.

ჩატარებული გამოცემების საუცხველზე პირველად არის დადგინდილი შესაძლებლობა დოლომიტის ცეცხლგამქლე აგურის მიღებისა წყალმდგრადი კლინკერიდან, რომელიც დამზადებულია აბანოს დოლომიტისა და წნელისის სერპენტინის ნარევის გამოწვით.

\* \* \*

ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ცეცხლგამქლე მასალათა ლაბორატორიაში ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის კ. ს. ჭუთათელიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულია მუშაობა ქანდარის ცეცხლგამქლე თიხების შესაჭავლად შემსრულებლები — მეცნიერი თანამშრომლები ეკატერინე ზედგანიძე და ბ. ნ. შაფაქიძე. ლაბორატორიაში მიღებული შედეგები შემოწმებულია საქართვის პირობებში. დადგინდილია ამ თიხების მეტალურებაში ვამოყენების სრული შესაძლებლობა და შემუშავებულია მისგან მეტალურებისაოვის საჭირო სხვადასხვა ცეცხლგამქლე მასალების წარმოების მეთოდებია.

# დამზადებული თეისისი

ქვემოთ ფოტოზე წახულები ხრახნმჭრელი დაზღა „5 ბ07“, რომელიც კონსტრუქტორებულია ინჟინერ-კონსტრუქტორების გრიგოლ გოგისვანიძისა და ვიქტორ ბობრის მიერ, ჭრის ხრახნებს, რომელთა მინიმალური დიამეტრი 10 მილიმეტრია და მაქსიმალური 39 მილიმეტრი, ხოლო მაქსიმალური სიგრძე — 330 მილიმეტრი. მისი მომყვანი ელექტროძრავის სიმძლავრე უდრის 2,2 კილოვატს, დაზღის სიგრძე — 1.565 მილიმეტრს, სიმაღლე — 1145 მილიმეტრს, სიგანე — 555 მილიმეტრს, წონა — 950 კილოგრამს.

აქამდე არსებულ, უკვე მოძველებული კონსტრუქციის დაზღა „91015“-თან შედარებით ახალი კონსტრუქციის დაზღას აქვს მოელი რიგი უპირატესობანი, მათგან უმთავრესია:

ახალი კონსტრუქციის დაზღა „5 ბ07“ შესდგება მთელი რიგი დამოუკიდებელი სექციებისაგან, რაც აადვილებს მათ დამზადებას და აწყობას. დაზღის

კონსტრუქციაში მაქსიმალურად არის გამოყენებული ნორმალიზებული დეტალები.


მოცულობით ახალი დაზღა უფრო პატარა (სიგრძით — 65 მილიმეტრით და სიგანით — 455 მილიმეტრით ნაკლები), ვიდრე ძველი დაზღა, რაც საშუალებას იძლევა უფრო ნაყოფიერად იქნას გამოყენებული საწარმოო ფართობები. ამავე დროს ეს დაზღა იწონის 170 კილოგრამით მეტს, რის გამოც მცირდება მისი მუშაობის დრო, მისი რყევის საფრთხე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის ჩქაროსნული ჭრისათვის.

ძველი კონსტრუქციის დაზღაში ელექტროგამუები აპარატურა—ელექტროძრავი და ელექტროტუმბო მაცივარი სითხისათვის განლაგებული იყო დაზღის გარე კედლებზე. ახალი კონსტრუქციის დაზღაში კი განლაგებულია დგარის შიგნით, რაც აუმჯობესებს დაზღის არქიტექტურას, ააღვილებს მის ექსპლოატაციასა და მომსახურებას.

ძველთან შედარებით ახალი კონსტრუქციის დაზღაში სიჩქარის რაოდენობა 4 დან 8 აღიდებულია 6-დე და ბრუნვათა ჭმაქსიმალური რიცვი—151-დან 265-დე, რაც საშუალებას იძლევა მთლიანად იქნას გამოყენებული მჭრელი იარაღები. ამის გამო ახალი დაზღის წარმადობა თითქმის 40 პროცენტით აღემატება ძველი დაზღის წარმადობას.

გრიგოლ გოგისვანიძისა და ვიტორ ბობრის კონსტრუქციის ხრახნმჭრელი დაზღა „5 ბ07“ დამზადა თბილისის დაზღათმშენებელმა ქარხანა „დაზღამ“.

დაზღა „5 ბ07“-ს ერთი პირველი ეგზემპლართაგანი გაგზავნილია მსოფლიო გამოფენაზე ლაიპციგში.



# საქართველოს ქვანახშირი

გ. ბალასახოვი

კომიტინატ „საქნახშირის“ ფფროსი ინჟინერი

საქართველოს ქვანახშირს საქმაოდ დიდი ისტორია აქვს. პირველად ტყიბულის საბადოები იქნა აღმოჩენილი. ამის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: ერთი საუკუნის წინ ის ადგილები, საღაც ამჟამად ქალაქი ტყიბულია გაშენებული, ხშირი ტყით იყო დაფარული. ერთხელ, როდესაც ადგილობრივი გლეხები ტყეს ჭრიდნენ, მათ იპოვეს არაჩვეულებრივი შავი ფერის ქვები, რომლებიც ზომით უფრო პატარა იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ქვები, და ადგილად იშლებოდა. ეს იყო ქვანახშირი. მაგრამ მაშინ გლეხებმა ამ უჩვეულო ქვის მნიშვნელობა არ იცოდნენ და ამიტომ დიდი უურადლება არ მიუქცევიათ მათვის.

1845 წ. ამ ადგილებში მოვლინებული იყო სამთო მოხელე კულტინი, რომელსაც აინტერესებდა აქაური ბუნებრივი სიმძიდრეები და სასარგებლო ნაშროხები.

ადგილობრივი გლეხების დახმარებით კულტინშა მაღლ იპოვა უცნაური შავი ქვა, რომელიც კარგი ხარისხის ქვანახშირი აღმოჩნდა. ამ აღმოჩენის შესახებ კულტინმა იმავე წელს დაწერილებითი აღწერა წარუდგინა მეფის ნაცვალს საქართველოში — ვორონცოვს.

ამავე წელს მოპოვებულ იქნა 3 ათას ფუთამდე ქვანახშირი შავი ზღვის ერთ-ერთ სამხედრო გემზე გამოსაცდელად. აქედან 1400 ფუთი ქვანახშირი მარანამდე საბალნეებით, ხოლო შემდეგ ნავებით (რიონი, რუსის არხი, ცივი, ხობი) გაგზავნეს ყულევს ინუ რედუტ-კალეს (ფოთის ჩრდილოეთით 15 კილომეტრზე), რომელიც იმ დროს მთავარი ნავსადგური იყო შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე.

ტყიბულის ნახშირის გამოცდა მოხდა სამხედრო გემ „ბოეცზე“. გემს ერთ საათში 33 ფუთი ტყიბულის ქვანახშირი დასჭირდა მაშინ, როდესაც ნიუ-ქასტლის (ინგლისი) ნახშირი 34 ფუთი სჭირდებოდა. კომისიამ სცნო, რომ „ტყიბულის ნახშირი კარგი ხარისხისაა და არ ჩამოუვარდება ნიუ-ქასტლისას“.

ამის შემდეგ დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის საბადოების სისტემატური ექსპლოატაციის გეგმის შედგენა. გზა საბადოებიდან კუვირილა მდებარეობის შედეგების და ლინიტების შედეგების და მაგრამ ბუდობის ექსპლოატაცია მდებარეობდა მოპოვება და განვითარება.

11 ათას ფუთამდე ქვანახშირი, რომელიც იმავე წელს გაზიდეს.

1847 წ. ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება კიდევ უფრო გაფართოვდა.

1848 წ. ქვანახშირის მოპოვება ღია წესით სწარმოებდა. 1849 წ. კი ინკ. კომაროვმა უკვე შტოლნის საშუალებით მოიპოვა 36 ათასი ფუთი ქვანახშირი.

1849 წლის ბოლოდან ტყიბულის საბადოები გადავიდა „სამთო ოლქის“ სამმართველოს გამგებლობაში.

ინგლისის ქვანახშირის იმ კომპანიის მფლობელებმა, რომელიც შავი ზღვის ფლოტის გემებს ნახშირით ამარავებდა, იგრძნეს ტყიბულის ქვანახშირით გამოწვეული საფრთხე და რომ რუსეთის ბაზარი შეენარჩუნებინათ, საგრძნობლად გააითვეს თავიათი ქვანახშირი.


ტყიბულის ქვანახშირმა ვერ გაუძლო ამ კონკურენციას (ცუდი გზები, მაღალი სატრანსპორტო ხარჯები, ფოთისა და ყულევის ნავსადგურის მოუწყობლობა) და შავი ზღვის ფლოტი ისევ ინგლისის ნახშირით სარგებლობაზე გადავიდა.

1859 წ. აკადემიკოსმა აბიხმა შეისწავლა და მაღალი შეფასება მისცა ტყიბულის ქვანახშირს.

1859 წ. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამ კავკასიის ადმინისტრაციის წინაშე კვლავ დღის წესრიგში დაყენა ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაციის საკითხი. ამ ნახშირის გამოყენება განზრახული იყო თვით რკინიგზისათვის, შავი ზღვის კომერციული გემებისათვის და შენობების გასათბობად თბილისში და ქუთაისში. ამგვარად, კვლავ დაიწყო ქვანახშირის მოპოვება.

1880 წლამდე საბადოების გეოლოგიური შესწავლა და ექსპლოატაცია არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს. ქვანახშირის მცირე რაოდენობათ გასალების მთავარ მიზეზად რჩებოდა ცუდი, მიუღვმელი გზები, რაც აძვირებდა მის ღირებულებას.

1883 წ. დაიწყო ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის გაყვანა. გზის მშენებლობა სამ წელიწადში დამთავრდა. რკინიგზის გაყვანის შემდეგ საგრძნობლად გადიდდა ქვანახშირის მოპოვება და გაზიდვა, მაგრამ ბუდობის ექსპლოატაცია მტაცებ-



ტყიბული. მასალის დამზადება კარიერზე ჰიდრავლური გსებისათვის. აფეთქებული მასალის ტვირთვა ექსკავატორით.

ლურ ხასიათს ატარებდა. შახტების მესაკუთრენი დაინტერესებული იყვნენ მხოლოდ იმით, რომ რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი გამოეტაცათ მოწის წიაღილან და გამდიდრებულიყვნენ.

ქვანახშირის მოპოვება დამყარებული იყო მხოლოდ მუშების ფიზიკური ძალის გამოყენებაზე. შახტებში მუშაობლენენ ოქრიძის სოფლების ღარიბი გლეხები, რომელთაც მოუსავლიანობა და მწირი ნიადაგი აიძულებდა შახტებში სულ მცირე გროშათ გაეყიდნათ თავიანთი სამუშაო ძალა. მაღაროელები მუშაობლენენ გათენებიდან მზის ჩასვლამდე. მათი მთავარი სამუშაო იარაღი წერაქვი და ბარი იყო.

საბადოებთან საცხოვრებელი ბინები არ იყო და 1900 წლამდე მუშებს ღამის გასათევად თავიანთ სოფელში უხდებოდათ სიარული. ცოტა მოგვიანებით შახტებთან მოწყობილ იქნა ხის ტოტებისაგან მოწნული კარვები, სადაც შუშები შიშველ ფიცრებზე ათევლნენ ღმენს.

ისე, როგორც ყველგან, ტყიბულის მუშებიც განიცდიდნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩაგვრას. ამის შედეგი იყო ის, რომ ტყიბულშიაც იფეთქა ჭერ ეკონომიური ხასიათის, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ხასიათის გაფიცვებმა.

1905 წლიდან არც ერთი წელიწადი არ გასულა ისე, რომ ტყიბულის მუშებს გაფიცვა არ მოეწ-

ყოთ. გადიოდა წლები. იზრდებოდა ქვანახშირის მოპოვება, მაგრამ მუშების მღვმარეობა უცვლელი რჩებოდა. ქვანახშირის მთავარ მომხმარებლად რეინიგზა და თბილისის ტრამვაი ითვლებოდა.

საქართველოში მენტევიჯური მთავრობის ბატონობის პერიოდში ქვანახშირის შახტების მუშაობა თითქმის შეჩერდა და ისედაც გაბარტახებული მრეწველობა სრულ კატასტროფამდე მივიდა.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას ასწელზე მეტი ისტორია აქვს, მაგრამ მისი ნამდვილი ისტორია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან დაიწყო.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ მოავარ ამოცანას წარმოადგენდა ქვანახშირის მრეწველობის გაშლა საქართველოში.

ამ მიზნით დამუშავებულ იქნა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების სახელმწიფო გეგმა. პარტიამ და მთავრობამ დასახეს ტყიბულის სოციალისტურ რეკონსტრუქციის გზები. გაიშალა გეოლოგიური სამუშაოები ახალი საბადოების აღმოსაჩენად.

სტალინური ხუთწლედები გადაიქცა საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის ნამდვილი აყვავებისა და ოლორძინების პერიოდათ. დიდ კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად ჩატარდა მაღაროე-

ბის საფუძვლიანი ტექნიკური რეკონსტრუქცია. პირველ და მეორე ხუთწლედში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების გაფართოება-რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა 35 მილიონი მანერი. ქვანახშირის აროლება დღითიდღე იზრდებოდა. ქვეყანა სულ უფრო და უფრო მეტ ქვანახშირს მოითხოვდა.

საბჭოთა გეოლოგების მიერ ჩატარებულ საძიებო სამუშაოების შედეგად აფხაზეთის მთების ფულში აღმოჩენილ იქნა ქვანახშირის მდიდარი საბადო, რამაც შესაძლებელი გახადა 1935 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცათ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტი.

1945 წელს ამუშავდა ახალციხის ქვანახშირის საბადოს № 2 შახტი.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვება სამ რაიონში ხდება: ტყიბულში, ტყვარჩელში და ახალციხეში.

შეუდარებლად იცვალა სახე ქვანახშირის მრეწველობამ. თუ ჭერ კიდევ ახლო წარსულში ქვანახშირის ამოღება მხოლოდ ხელის იარაღებით სწარმოებდა, დღეს ისინი უკვე აღარსად იხმარება. დღევანდელი ჩვენი შახტები ნამდვილი დიდი მიწისქვეშა ქარხნებია.


ასეთია სტალინური ხუთწლედების მდნალზე საექსპლოატაციოდ გადაცემული ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის, სტალინისა და მოლოტოვის სახელობის შახტები, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინისა და ბერიას სახელობის შახტები და სხვ.

ჩვენი შახტები აღჭურვილია საუკეთესო. მანქანებით და დანაღვარებით, რომლებმაც საგრძნობლად გაააღვილეს მეშახტეთა შრომა და გაზარდეს მათი შრომისნაყოფიერება. ასეთია გამყელავ-მტვირთავი მანქანები, მომხვეტი ტრანსპორტიორები, მძლავრი ელექტრომავლები, ელექტრობურღები, მომნგრევი უროები და სხვ.


კარგი შედეგი მოგვცა ქვანახშირისა და ფუჭი ქანის მტვირთავმა მანქანებმა. ამ მანქანების გამყენება მოსამზადებელი სამუშაოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.

ასეთია ჩვენი შახტების დღევანდელი სახე.

შახტების რეკონსტრუქციასა და ახალ მშენებლობასთან ერთად ფერი იცვალა მეშახტეთა ქალაქებმაც. სადღაა ძველი მიყრუებული კუთხე, ტალახში ჩაფლული და მტვერში გახვეული ტყიბული, რომლის „მშენებას“ ორი-სამი სამჭედლო,



ტყიბული. სტალინის სახელობის შახტი. გამომუშავებული სიცრცის ამოგსება პიდრომექანიზაციის საშუალებით.



ერთი სახარაზო და რამდენიმე სამიკიტნო შეადგენდა. დღევანდელი ტყიბული, რომელსაც ათი წლის წინ ქალაქის სახელშოდება მიენიჭა, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ინდუსტრიული კერაა. მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, მოასფალტებული ქუჩები, დიდი მაღაზიები, სასადილოები, სახელმწიფო თეატრი, კინო, კლუბები და წითელი კუთხეები, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია, საექიმო პუნქტები, საბაზშვილი ბაგები და ბალები, დაწყებითი და საშუალო სკოლები, დიდი კეთილმოწყობილი სტადიონი, მრავალრიცხოვანი ავტომობილები, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, რალიოკვანძი და საკუთარი გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“, — ასეთია დღევანდელი ტყიბულის სახე.

სამრეწველო ქალაქად იქცა ტყვარჩელიც. მძლავრი შახტები, მექანიკური სახელოსნოები, სახელმწიფო ა. ბოლსადგურები, გამამდიდრებელი ფაბრიკა, საპარო გზები და სხვა ამშვენებს ქალაქს.

ჩვენს სოციალისტურ შახტებში მუშაობენ ტექნიკურად მომზადებული და კულტურული ადამიანები. საქართველოს მეშახტეთა სიამაყეა სოციალისტური შრომის გმირები სამთო გმონამუშევრების გაყვანის ოსტატები ალექსანდრე ქარაძე და პოლიექტ ჭელიშვილი, მნგრეველები — შალვა ფურცხვანიძე და ვლადიმერ სოფრომაძე, მებიგები გასილ უიტნიკოვი და სპირიდონ ლანჩავა და სხვები, ქვანახშირის საქმის სპეციალისტები: უბნის უფროსები ბ. ჯალალანია, ი. თოფურია, პ. ნანიკაშვილი, გ. ფანჩულიძე და წარმოების სხვა მოწინავე ადამიანები.

დიდმა სტალინმა საქართველოს მეშახტეებს ამოცანად დაუსახა — დააკმაყოფილონ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობის მოთხოვნილება ქვეანახშირზე. ამ ამოცნის გადასაწყვეტად ჩვენს რესპუბლიკაში გაშლილია დიდი მშენებლობა.

პარტია და მთავრობა, პირადად დიდი სტალინი, ყველა პირობას უქმნიან მეშახტეებს ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ეს ტელეგრაფის აპარატი „ბოლო“ № 233 სამამულო ომის დასაწყისში დადგმული იყო უმაღლესი მთავარსარდლის მთავარ ბანკში. მოლაპარაკებას ამ აპარატით მოქმედ ფრინტებთან და არმიებთან აწარმოებდა პირადათ საბჭოთა კაშშირის გენერალისიმუსი ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი.

დღი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ აპარატი წითელი არმიის ცენტრალურ მუზეუმს გადაეცა.

### სახლი ცოცხლ ხოროშევოში


როცა გერმანელ-ფაშისტები 1943 წლის ზაფხულში შეტანა ამზადებანენ რიონილ-ეუროპის მიმართულებით, დამას ს ტ ა ლ ი ნ მ ა გენიალურად განკვრიტა გრძები და გააფრთხილა საბჭოთა სარდლობა.

ამიტომ, როცა 1943 წ. 5 ივნისს პატლერულმა ქარებმა შეტევა დაიწყეს, ისინი საბჭოთა ქარების სასტიკ წინააღმდეგ გობას წაწყონენ. კურსკთან ბრძოლაში საბჭოთა ქარებმა გაანადგურეს და სისხლისაგან დასცალეს რჩეული ფაშისტური დაივიზიები, გარღვიეს მტრის ფრინტი და თვითონ გადავიდენ შეტევაზე.

1943 წ. 5 ავგვისტოს საბჭოთა ქარებმა გაათავისუფლეს ორიოლი და ბელგორდი.

ამ მრისხან დღეებში ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი იმყოფებოდა სოფელ ხოროშევოში (კალინინის ოლქის რევგის რაიონი) კოლმეურე ქალის კონდრატიევის სახლში.

ამ სახლში ახლა გახსნილია სტალინის სახელობის ქამქათხველო.



სურათზე — მაკეტი სახლისა, სადაც 1943 წ. 4-5 ავგისტის იმყოფებოდა უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კაშშირის გენერალისიმუსი ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი.

მაკეტი მთავარსებულია წითელი არმიის ცენტრალურ მუზეუმში (მოსკოვში).



# სამეცნიერო-კვლევითი გუნდის ბათუმი

## აჭარის სახელმწიფო მუზეუმის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

ნ. ახვედიშვილი

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი წარმოადგენს სამეცნიერო-საკულტო, საექსპოზიციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერძოს. მუზეუმი დაარსდა 1909 წელს. პირველ ხანებში მას სასკოლო ხასიათი ჰქონდა, შემდეგ გადაკეთდა საქალაქო მუზეუმად, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი — მხარეთმცოდნეობის მუზეუმად, ხოლო 1943 წლიდან — აჭარის სახელმწიფო მუზეუმად. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ კერძო ინიციატივით მოწყობილ მუზეუმს არავითარი ყურადღება არ ეცეოდა, ძლიერ შევიწროებული იყო. 1921 წლამდე ის არავითარ მეცნიერულ მუშაობას არ ეწოდა. მისი ექსპონატთა ფონდი 1.000 ცალს არ აღემატებოდა.

ამჟამად ჩვენი მუზეუმი ერთ-ერთ მოწინავე მუზეუმად ითვლება საქართველოში.

სისტემატური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად მუზეუმმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა აჭარის ბუნების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ბუნებრივ საწარმოო ძალთა და სოციალისტური მშენებლობის შესწავლის საქმეში, მოაწყორდებოდა გამართული, შინაარსით მდიდარი და მხატვრულად კარგად გაფორმებული მთელი რიგი გამოფენები. კომპლექსური ექსპედიციების ორგანიზაციის მეობებით, დოკუმენტებისა და სხვა მასალების საფუძვლიანად შესწავლის საფუძველზე მუზეუმმა თავისი ფონდები ახალი ექსპონატებით გაამდიდრა. ამჟამად მუზეუმს აქვთ შემდეგი ძირითადი განყოფილებები: ბუნების, ისტორია-ეთნოგრაფიის, სოციალისტური მშენებლობისა და დიდი სამასულო ომის.

მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები ფართო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას აწარმოებენ. უკანასკნელი წლების განმავლობაში დამუშავებულია 17 შრომა.

მუზეუმმა შეისწავლა და გამოარკვია აჭარაში ძველად გავრცელებული ვაზისა და ხორბლეულის ჭიშები, რასაც სოფლის მეურნეობისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირითადად მიმართულია იქითვენ, რომ ხალხს უჩვენოს, თუ რა წამება, უბედურება და ბრძოლა გა-

დაიტანა ჩვენი მხარის მოსახლეობაში თურქ ბარბაროსების ბატონობის სამი საუკუნის მანძილზე.


მე-16—19 საუკუნეები სამხრეთ საქართველო-სათვის და, კერძოთ, აჭარისათვის შავგნელი პერიოდი იყო. თურქების ბატონობის ხანაში ჩვენში ჩატვირთვის მიზანით მუზეუმი დაუცარული ცხოვრება. თურქებმა დაანგრიეს ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, მოსპეს ქართული სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. მათ მაგივრად შემოღებულ იქნა მედრესე-ჯამეები.

მოიპოვება ისტორიული ცნობები თურქ ბარბაროსების მიერ კულტურულ ღირებულებათა განადგურების კონკრეტული ფაქტების შესახებ. ასე, მაგალითად, აჭარაში შემოჭრისას მათ ქედაში დაუწვავთ ძეგლი ქართული წიგნსაცავი და წიგნების ტყავის გარეკანიდან ქალამნები შეუკერავთ.

მაგრამ დამპყრობლებმა ვერ შესძლეს აჭარლების ნებისყოფის გატეხა, ვერ ააღებინეს მათ ხელი ქართველობაზე, ქართული კულტურა და ზემოქმედებანი ვერ შესცვალეს თურქულით. აჭარლებმა ჩვენი მშობლიური ქართული კულტურა საუკუნეების მანძილზე ბრძოლით შეინარჩუნეს და ჩვენს ბედნიერ დღემდე გამოატარეს.

მუზეუმი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობასთან ერთად აწარმოებს მასალების შეგროვებას ისტორიული ეთნოგრაფიის დარგში. ექსპედიციების სისტემატურად მოწყობის საშუალებით შესწავლილია აჭარის დამორებული რაიონები და გამოვლინებულია ძვირფასი მასალები განსაკუთრებით ეთნოგრაფიის ხაზით.

მუზეუმი ასევე წარმატებით მუშაობს სტაციონარული მოძრავი გამოფენების მოწყობის დარგში. მოკლე პერიოდის განმავლობაში მუზეუმშია მოაწყო მოელი რიგი ახალი გამოფენები. მაგალითად, სოციალისტური მშენებლობის განყოფილება აწარმოებს კვლევითი და საექსპოზიციო მუშაობას აჭარის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის დარგში. უკვე შესწავლილია მრეწველობის ძირითადი წამყვანი დარგები, მილიონერი კოლექტურნებანი, საბჭოთა მეურნეობები, ჯანმრთელობისა და განათლების



ძველი კოლხური ზომალდის მაკეტი

საქმე აჭარაში. სათანადო მასალები, ფოტო-სურა-  
თები, მხატვრული ტილოები, დიაგრამები და სხვ.  
ლამაზად გაფორმებული და ექსპონირებულია. გა-  
მოფენაზე წარმოდგენილია მრეწველობის პრო-  
დუქტები, სოფლის მეურნეობის ძირითადი კულ-  
ტურები, როგორიცაა: ციტრუსები, ჩიი, თამბაქო  
და სოფლის მეურნეობის ამსახველი სხვა მასალე-  
ბი. ყველა ექსპონატი მოცემულია ერთი მეორეს-  
თან დაპირისპირებით, მაგალითად, ძველი კუსტა-  
რული ქარხანა და ახალი საბჭოთა ქარხანა, ძველი  
სოფელი და ახალი საკოლმეურნეო სოფელი, ძვე-  
ლი მედრესე და ახალი საბჭოთა სკოლა, ძველი  
ხოჯური ექიმბაშობა და ახალი საბჭოთა მკურნა-  
ლობის მეთოდები.

მუზეუმი დიდ ყურადღებას უთმობს ქართული  
შატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას,  
აღრიცხული და შესწავლილია აჭარის ტერიტო-  
რიაზე არსებული ქართული ლიტერატურის, ის-  
ტორიისა და ხელოვნების თითქმის ყველა უძვირ-  
ფასესი ძეგლი.

ხულოს რაიონის სოფ. ვაშლოვანიდან ჩამოტა-  
ნილია მაღალი გემოგნებით გაფორმებული  
მე-10—12 საუკუნის ქვის კუბო, სოფ. თხილვანი-  
დან — მე-13 საუკუნის ორნამენტიანი ასომთავ-  
რულით წარწერილი ქვა — ეკლესიის თაღი, კა-  
ლოთის ყოფილი ეკლესიის ქვის ჭვარი და სხვ.

მუზეუმის ისტორიულ განყოფილებაში ექსპო-  
ნირებულია 1944 წელს ქობულეთის რაიონში ავ-  
თანდილ იოსელიანის მიერ აღმოჩენილი ბრინჯაოს  
საგნები, კერამიკა და სხვა.

ერთ-ერთ ბერძნულ წყაროში აღმოჩენილ იქნა  
ცნობები ძველი ლაზური ხომალდის შესახებ და  
მისი ჩანახატი. ამ მასალების მიხედვით მუზეუმმა  
მაკეტის მქეთებელ ალექსანდრე კოსტანტინოვს  
დაამზადებინა მე-8—9 საუკუნის კოლხური ხო-  
მალდის მოდელი. ეს მოდელი ამას წინათ თბი-  
ლისში ჩატარებული მხატვრული თვითმოქმედე-  
ბის ოლიმპიადასთან დაკავშირებით მოწყობილ  
სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენაზე იყო  
წარმოდგენილი. წერილი გეგლების მიხედ-  
ვით ვიცით, რომ კოლხეთი ცნობილი იყო ნაოს-  
ნობით, გემთმშენებლობით, ხოლო ხელშესახები  
საგანი არ გვქონდა და სწორედ კოლხური ხომალ-  
დის ეს მოდელი პირველი იქნება ამ დარგში.

მუზეუმმა მარტო გასულ წელს 2 223 ექსპონა-  
ტი შეიძინა. მისი ნუმიზმატიკის ფონდი მდიდარია  
უძველესი ფულების კოლექციებით.

მოსახლეობაში პოლიტიკური და მეცნიერული  
ცოდნის შეტანის მიზნით მუზეუმის ძალებით წა-  
კითხული იქნა 634 ლექცია-საუბარი. მარტო 1949  
წლის 9 თვეს მანძილზე ასზე მეტი ლექცია-საუ-  
ბარი მოეწყო.

# მასნიჩებულების და ფენიცის

## ისცონიდებან



„გ. სედოვის“ ღრეიფის ათი წელისთავი

შედეგი ყიფიანი

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი

ათი წლის წინათ დამთავრდა ყინულმჭრელ „გ. სედოვის“ გმირული ტრანსარქტიკული ღრეიფი, რომელიც ორ წელზე ვეტი ხნის განმავლობაში გრძელდება. ეს ღრეიფი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სამეცნიერო მოვლენა. ღრეიფს დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა არქტიკის ბუნებრივი პირობების შეცნობისა და ათვისების საქმეში, რაშაც პირველი აღვილი ჩვენი სამშიბლოს პოლარულ მკვლევარებს ეკუთვნის.

მთელი საბჭოთა ხალხი და მოწინავე კაცობრიობა აღტაცებით იღვნებდა თვალყურს „გ. სედოვის“ ღრეიფს, რომლის ბაქტჩე თითქმის ოცდაშეიდი თვის განმავლობაში საპატიო სტალინურ გასტრე იღვა თავთმეტი თავდალებული მეზღვაური. „გ. სედოვის“ ღრეიფი — ამაღლებებელი ეპოპეა; საბჭოთა საზღვაო ნაისნობის ისტორიაში ის შევიდა, როგორც საუცხოო ნიმუში საბჭოთა ადამიანების გმირობისა, გმირებლიაბისა და ნებისყოფისა, უსაზღვრო სიყვარულისა და თავდალებისა სოციალისტურ სამშიბლოსათვის.


„გ. სედოვის“ ღრეიფის ისტორია მოვლედ ასეთია: მაშინ, როცა პაპანინელთა ჩრდილო პოლარულა მოდრეიფე სადგური შეუა გზაზე ჩრდილო პოლუსსა და კრენლანდის ზღვას შორის იმყოფებოდა, 1937 წლის 23 ოქტომბერს ლაპტევების ზღვაში, ახალი მიწის კუნძულების დასაცლეთით, ღრეიფი დაიწყო ყინულმჭრელმა „გ. სედოვის“ (სურ. 1). პირ-

ველი ათი თვე „გ. სედოვის“ დრეიფობდა ყინულმჭრელ გვმებთან — „სადასთან“ და „მალიგნონთან“ ერთად. ეს გემები არქტიკაში ატარებდნენ დიდმნიშვნელოვან აკეანოლოგიურ გამოკვლევებს. გამოკვლევების ჩატარებისას მათ იქ დაუგვანდათ და ვერ შესძლეს თავის ღროშე დაბრუნებულიყვნენ ნაესადგურში. სამიერ გემი შეერთებული ძალით შეეცადა გამოსულიყო გაყინული ზღვაზან, მაგრამ უშელებოდ. ყანულთა ტყვეობიდან გემების გამოსასხველად შემდეგი წლის გაზაფხულზე გაზავნილ იქნა მძლავრი ყინულმჭრელი „ერმაკი“, რომელმაც დიდი სიძნელების გადალახვის შემდეგ „სადკო“ და „მალიგინი“ გამოიყვანა ღია ზღვაში, მაგრამ „გ. სედოვის“ გამოგლევა ყინულების ტყვეობიდან ამ წელიწადს ვერ მოხერხდა, ვინაიდან გემის სამართავი ნაწილი ყინულების ძლიერი მოწოლის დროს დაზინდა. გადაწყდა „გ. სედოვის“ დატოვებინათ მოღრუცევა ყინულებში და ამასთან დაკავშირებათ იგი გარდაქმნეს მოღრუცევა სამეცნიერო სადგურად. მმგვარად, „გ. სედოვის“ 1938 წ. 29 აგვისტობან მარტო ღრეიფობდა. „გ. სედოვის“ დატყვებულ იქნა ეკიპაჟის მინიმალური შემადგენლობა, სულ თხოთმეტი კაცი კაბინან კ. ბალიგინის მეთაურობით.

ამ ღრეიფის განმავლობაში, რაც გაცალებით უფრო ჩრდილოეთით მიმდინარეობდა, ვიღრე ფ. ჩანსენას „ლრამის“ ღრეიფი, „გ. სედოვმა“ გადაკვეთა მანამდე სრულებით შეუსწავლელი და ძნელად მისალწევი პოლარული ცენტრალური აუზის ნაწილი, უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით (იხ. სქემა).

მთელმა რიგმა სელსაყრელმა პირობებმა ხელი შედი შეუსწყო იმას, რომ „გ. სედოვის“ ღრეიფის განსაკუთრებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მისცემოდა.

„სედოვის“ ღრეიფი დაიწყო იმ დროს, როცა პაპანინელთა ჩრდილო პოლუსის „სადასთან ღრეიფი კიდევ გრძელდებოდა, რის გამოც მაღალ სიგანედებში უშვეტი დაკვირვება ხორციელდებოდა თითქმის სამი წლის განმავლობაში. 1937 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 1938 წლის 7 აგვისტომდე ლაპტევების ზღვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ღრეიფობდა საცენტრო გემები ყინულმჭრელ „ლრამის“ მეთაურობით. მმგვარად 9 თვის განმავლობაში გემების ორი ქარავანი ერთდროულად ღრეიფობდა ყინულებთან ერთად, ერთი შეორის მოშორებით. ამ ქარავნების ერთ-



სურ. 1. „სედოვის“ ყინულთა ტყვეობაში.

დოკუმენტი დრეიფის ნათელ-  
ჟყო, რომ დრეიფის გამომ-  
წვევი მიზეზები ერთი და  
იგივეა და კავშირი აქვს  
ჩრდილო ყანულოვან აკვ-  
ანებს ამ რაიონის ატმოსფე-  
როს საერთო ცირკულა-  
ციასთან, ქარების გამატო-  
ნებულ მიმართულებასთან  
და მუდმივ დინებასთან. „სე-  
დოვის“ დრეიფი მიმდინა-  
რეობდა დახლოებით იმა-  
ვე რაიონში, სადაც 1893—  
1896 წ.წ. ნანსკნის „ფრამი“  
დრეიფობდა, რაც თავივე  
დრეიფის შედეგების შედა-  
რებისა და აქვთნ სათანადო  
დასკვნების გამოტანის შესა-  
ძლებლობას იძლევა.



სედოველების წინაშე ორი  
ძირითადი ამოცანა იღა:  
1) შეენარჩუნებინათ გემი  
საბჭოთა ყინულმშერელების  
ფლოტისათვის და 2) დრე-  
იფის ყველა გარემოება მა-  
ქსიმალურად გამოვწევი-  
ნათ სრულ და ზუსტ სამეცნიერო დაკირვებათა ჩასატარე-  
ბლად. როგორც პირველი, ისე მეორე ამოცანა სედოველებია  
სასახლოდ და ღირსეულად შეასრულებს.

პირველი ამოცანა — გემის ვადარჩენა — მეტად ძნელ  
საქმეს წარმადგენდა, რადგან „სედოვი“ განკუთვნილი იყო  
სუსტ ყინულებში ცურვისათვის.

სედოველებმა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ვამაგრეს  
გემის კორპუსი და გამომუშავეს ყინულების მოწოდასთან  
ფეხქებადი ნივთიერების საშუალებით ზრდოლის განსაკუთ-  
რებული ტატრიკა. ზამთრის განმავლობაში, როცა ყინულე-  
ბის შეკუმშვა ყველაზე მეტ საშიშროებას წარმადგენს, ისი-  
ნი აფეთქებდნენ ყინულოვან ველებს, რომელთა წონა რამ-  
დენიმე მილიონ ტონას აღწევდა, ამტკრევდნენ ყინულების  
მავიღ წანაგებს, რომლებიც უდიდესი ძალით აწვდომნენ  
გემს; ამ გზით სედოველები გემის ირგვლივ ქმნიდნენ ყინუ-  
ლების ნატეხებისაგან შემდგარ არებს, სადაც თანაბრად ნა-  
წილდებოდა ყინულის ტალღების მოწოდა.

ყინულების ასეთი ველების მოწოდა სედოველებმა 153-  
ჯერ განიცადეს, — მათგან ზოგიერთი ისეთი ძლიერი იყო,  
რომ ეკიპაჟი მზად იყო გემი დატოვებინა. ერთხელ გემი  
30 გრადუსითაც კი გადაიხარა და წყალი მაცივრის ხერელის  
საშუალებით გემის შიგნით შეიჭრა. მხოლოდ მექანიკოსთა  
თავდადებამ იხსნა „სედოვი“ უშვილ დალუპვისგან.

კიდევ ერთი საზრუნვი ჰქონდათ სედოველებს: 1937/38  
წლის ზამთარში გემს გაეღუნ საჭე, რას გმირც მს დაეკარ-  
გა არა მატრიც დამოუკიდებელი ცურვის, არამედ სხვა გემის  
ბუქსირზე გაყოლის შესაძლებლობაც. სედოველებმა ამ და-  
ზიანების გამოსწორებაც შესძლეს, როცა 1940 წლის 13 იან-  
ვარს გემს ყინულმშერელი „ისესებ სტალინი“ მიეცველა, „სე-  
დოვი“ მას ჯერ ბუქსირზე მისდევდა, ხოლო შემდეგ დამო-  
უკიდებლად მიადგა ბარენცეპურგის ნავსადგურს, სადაც მიი-  
ღო ქვანახშიარი. შემდეგი გზა ბარენცეპურგიდან მურმანსკამ-  
დე „სედოვმა“ ბუქსირზე გაირა, ხოლო მურმანსკს იგი  
კვლაც დამოუკიდებლად მიუახლოდა.

სედოველებმა ღირსეულად შეასრულეს მეორე საბრძოლო  
ამოცანაც. — შეცნიერული. გემზე სამეცნიერო დაკირვება-  
ნი ხორციელდებოდა არქტიკული ინსტრუმენტის პიროვრა-  
ფის ვ. ს. ბუინიცის ხელმძღვანელობით, რომელიც ახლა ამ  
ინსტრუმენტის დირექტორია.


სედოველებს ამ მძრავ ჰქონდათ მძრავ არქტიკულ პირზე  
ბებში შესანიშნავი მუშაობის მაგალითი. ეს იყო „ჩრდილო  
პოლუსის“ მოდერივე სადგურის გამოცდილება. სედოველე-  
ბი სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდნენ დაახლოებით იმავე  
პროგრამითა და იმავე ხელსაწყობით, როგორც „ჩრდილო  
პოლუსის“ სადგური, რაც მისი სამეცნიერო შედეგების ღი-  
რებულებას კიდევ უფრო ზრდის.

სამეცნიერო დაკირვებათა მოკლე ჩამოთვლაც კი გვაჩვე-  
ნებს შესრულებულ სამუშაოს სიდიადეს. თავისი დამოუკი-  
დებელი დრეიფის განმავლობაში, ე. ი. 1938 წლის 1-ლი  
სექტემბრიდან 1940 წლის 13 იანვრამდე, სედოველებმა  
415-ჯერ მოახდინეს არქტიკულ აუზში გემის მდებარეობის  
ასტრონომიული განსაზღვრა, 38-ჯერ გაზიმეს იკვანეს სიღრ-  
მე, რომლის სიღრმეები სამა ათას მეტრზე მეტს აღვევდა;  
სიღრმეების გაზომებასთან ერთად იღებდნენ ოკეანეს გრუნ-  
ტის ნიმუშებსაც, მოაწეს 43 პიროვნებრივი სადგური.  
ზოგჯერ ზომავდენ ზღვის დინებასაც. 11-ჯერ შეაგ-  
როვეს ზღვის პლანეტონი. გარდა ამისა, სედოველები ყოველ  
ათ დღეში ზომავდნენ სხვადასხვა ხნავანობის ყინულების  
სისქეს. 78 პუნქტში მათ ჩატარეს დედამიწის მანიტიზმის  
ელემენტების გაზიმება, ხოლო 11 წერტილში მოახდინეს  
დალე-ღამზური სერაული გაზომებიც, რაც აუცილებლად სა-  
ჭიროა მაგნიტური კომისაო სარგებლობისათვის, 66  
წერტილში გაზიმება სიმძიმის ძალა. სედოველები დაიდ ყუ-  
რადლებას აქცევდნენ მეტეოროლოგიურ დაკირვებებს, რა-  
საც რეგულარულად — ყოველ ორ საათში ახდენდნენ და  
დაკირვების შედეგებს დღე-ღამზში 4-ჯერ გამოსცემდნენ  
კონტინენტზე რაიონთი. სედოველების დაკირვებებით დაღ-  
ინილი იქნა, რომ ცენტრალურ არქტიკულში ამინდი ნაკლებ  
მყაცრია, ვიდრე, მაგალითად, ჩელაუსკინელთა კონცხში,  
ფრანც იოსების მაწახე და სხვ.

სედოველებისათვის განსაკუთრებით ძნელი იყო ოკენო-  
ლოგიური დაკირვებების ჩატარება, რადგან ეს დაკირვებება-  
ნი მოითხოვდნენ განსაკუთრებულ წვრილ მაფთულს, რომ-  
ლის საშუალებითაც ხელსაწყობებს ზღვის სიღრმეში ჩატარებუ-  
ლებრ. ამიორმ სედოველებს თითონევ მოუხდათ გემზე არსებუ-  
ლი მსხვილი ტროსების დაშლა ოცდაოურადუსიანი ყანვის  
პარობებში. ამ გზით სედოველებმა მთელი დრეიფის განმა-  
ლობაში მოაზადეს მათთვის საჭირო 14.000 მეტრი სიგრძის  
ტროსი.

„სედოვის“ დრეიფის მნიშვნელოვან სამეცნიერო მიწვე-  
ვას წარმოადგენს აგრეთვე საბოლოოდ გაქარჩულება ლეგენ-  
დის „სანნიკივის მიწის“ შესახებ. როგორც ცნობლია,  
1811 წელს იაკობ სანნიკივმა კუნძულ კოტელნის ჩრდილო  
ნაპირიდან დანიას „მაღალი მიწა“. მისივე სიტყვით,  
ამ „მიწამდე“ მას გასაკლელი დარჩა 25 კვრის მანძილი. ამის  
შემდეგ ე. წ. „სანნიკივის მიწის“ საიდუმლოება აწესებდა  
მჩვალ პოლარულ მოზარუსა და მკვლევარს. ცნობელია  
აგრეთვე, რომ ი. სანნიკივის ეს აზრი ცნობილმა რუსმა პო-  
ლარულმა მოგზაურმა ტოლლიმ ორჯერ (1886 და 1894 წ.წ.)  
დაადასტურა. შემდეგმა ექსპედიციებმა ვერც უარყვეს და  
ვერც დაადასტურეს საბოლოოდ ამ მიწის არსებობა. „სე-  
დოვმა“ თავის დრეიფის განმავლობაში ორჯერ გადაკვეთა  
მიღამოები, სადაც მოსალოდნელი იყო „სანნიკივის მიწის“  
არსებობა, დაალენდის გამოსწორებაც საბოლოოდ გასწროვის  
ბუქსირზე გადაიხარა, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლად მია-  
დგა მიწის მიწა. მისი მიწა მაგალითობის მიწა და მიწა შეამ-  
ჩინება. ამგვარად, ლეგენდა „სანნიკივის მიწის“ შესახებ, რაც  
125 წლის განმავლობაში მდიდარ მასალას იძლეოდა სამეც-  
ნიერო და მხატვრულ-ლიტერატურული თემებისათვის, სა-  
ბოლოოდ იქნა გაფანტული.

სედოველების დაკირვებებით აღმოჩენილი იქნა ჩრდილო  
ყინულოვან იკვენესათვის უდიდესი სიღრმე. განსაკუთრე-  
ბით დიდ სამეცნიერო ინტერესს წატრმოადგენს მაგნიტური



და გრავიმეტრიული დაკვირვებანი, ეს დაკვირვებანი მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენს წარმოდგენას ცენტრალური არქტიკის გეოგრაფიის შესახებ, რამაც შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ახალი პრობლემების დასმი და სათანადო გადაწყვეტა. მათ მდიდარი მასალა შეაგროვეს ცენტრალური არქტიკის კლიმატის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს კიმისჭელოთ არქტიკიში საერთო დათბობაზე. აღმოჩენილი იქნა ოკეანის ძირშე მცხოვრებ ცხოველთა რამდენიმე ათეული სახე, შეკროვილ იქნა ძალიან დიდი მასალა პოლარული ყინულების დრუუფის შესახებ, კერძოდ დაზუსტებულ და შევსებულ იქნა ნანსენის ცნობილი დასკვნა, რომ ყინულების დრუუფის მიმართულება და სიჩქარე დამოკიდებულია ქარის მიმართულებაზე და მის სიჩქარეზე.

სედოველებისა და სხვა პოლარული მკვლევარების თავდა-დებულმა შრომაშ დიღი საჩვენებლობა მოუტანა ჩვენ სამშობლოს როგორც მშენიდლი მშენებლობის პერიოდში, ისე სამამულო ომის წლებში.

სედოველების მიერ მოპოვებული უდიდესი მიღწევები შედეგია პარტიისა და ხელისუფლების და პირადათ დიდი სტალინის დაუღალავი ყურადღებისა და ზრუნვისა ამ გმირული ექსპედიციის მონაწილეობა მიმართ მათი დრეიფის ყოველ ერაზე. მთელი საბჭოთა ქვეყანა უდიდესი კურადღებით ადევნებდა თვალყურს ამ დრეიფს. ამიტომ სედოველებმა, ისე როგორც პაპანინელებმა, კიდევ ერთხელ უჩვენეს მთელ მსოფლიოს, თუ რა შეუძლია საბჭოთა აღმარინების სულ პარა კოლექტიგს, რომელსაც ზურგს უმაგრებს საბჭოთა

სოციალისტური რესუბლიკების კავშირი ჩვენი მშობლიური დიდი სტალინის წინაშელოლობით.

დიდი სტალინი პოლონებდა დროს და მოცალებას თვალყური ედევნებია ამ დრეიფისათვის. დიდი სტალინის ინიციატივით გრძელ კიდევ 1938 წელს გაიგზავნა თვითმფრინავები, რომელსაც „სდაფოდან“, „მალიგინდან“ და „სედოვიდან“ წაიყვანეს 184 კაცი. ამხანავ სტალინის ინიციატივით „სედოვის“, „სადეკის“ და „მალიგინის“ ყინულების ტყვეობიდან გამოსახულებად გაიგზავნა საბჭოთა მძლავრი ყინულმჭრელი „ერმაკი“, რომელმაც გამოიყვანი „სადყან“ და „მალიგინ“. ამხანავმა სტალინმა და მოლოტოვმა, რომელმაც თვალყურს ადევნებდნენ „სედოვის“ დრეიფის მიმღინარეობას, ლრეიფის პირველი და მეორე წლის თავშე პარტიისა და მთავრობის სახელით სედოველებს მისამების დეპარტამენტის გაუგზავნეს და უსურევს მათ ჯანმრთელობა, ყველა დაბრკოლებას გამარცვებით გადაღახვა და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება.

დასასრულ, როცა სედოველებს საშიშროება ემსუქრებოდა, დიდი სტალინის ინიციატივით გრძელანდის ზღვაში გაიგზავნა საბჭოთა ყველაზე მძლავრი ყინულმჭრელი „იოსებ სტალინი“, რომელმაც „სედოვი“ და მისი ეკპატუ ყინულების ტყვეობიდან იხსნა.

პარტიის, მთავრობისა და პირადათ დიდი სტალინის ყურადღება და მზრუნველობა აღაფრთვანებდენ სედოველებს არქტიკის მეტად ძნელ პირობებში საგმირო სამეცნიეროს, რაც საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დაფინანსდა: დრეიფის ყველა მონაწილეს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიერიცა.

# მანქანისა და ცენტრალური კონფერენცია


ტუნგოს ნაყოფის საჭმელი მანქანა

საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ინჟინერმა-მექანიზატორებმა — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა ა. ა. ოსეფაშვილმა და კ. ბ. ლეუავაძე შექმნეს ტუნგოს გაუშრობი ნაყოფის გაწმენდით ხელით სამუშაო მანქანა.

ტუნგოს ნაყოფის ხელით გაწმენდა, როგორც ცნობილია, მეტად ურომატევადი სამუშაოა. საქმე იმითაც რთულდება, რომ ამ სამუშაოს ჩატარება თანხვდება ციტრუსოვანთა მოსავლის მასობრივად აღების პერიოდს. ამიტომ, სუბტროპიკული ჩაიონებასათვის ტუნგოს ნაყოფის გაწმენდის მექანიზაცია მეტად გადაუდებელ საკითხს წარმოადგენდა.

ამს. ლეუავაძა და ოსეფაშვილის მიერ შექმნილმა მანქანამ გამოცდის დროს კარგი შედეგები უწევნა როგორც მუშა-ხელის, ისე სატრანსპორტო ხარჯებასა და სწვა ფულადი სახსრების ეკონომიკის მხრივ.

გამოვიჩნების ავტორებმა მიაღწიეს იმას, რომ მზა პროდუქციის მისაღებად საკმაო ტუნგოს ნაყოფის ერთფერ გარება მანქანაში.



ამს. ა. ოსეფაშვილი

ამს. კ. ლეუავა


მანქანის ეკონომიკური ეფექტურობა საკმაოდ მაღალია: თუ 100 ტონა ტუნგოს ნაყოფის ხელით ვასაწმენდად საჭირო იყო 733 კაც-დღე, ახლა მხოლოდ 211 კაც-დღეა საჭირო.

მანქანა კონსტრუქციულად მეტად საღაა, რაც აადვილებს მის დამზადებას. ასევე მარტივია მისი ექსპლოატაცია და რემონტი.

მანქანის პირველი საცდელი ნიმუშები დამზადებული იქნა თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხაში.

აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს 9 ასეთი მანქანა. მანქანებით შეშაობის შესასწავლად 1949 წლის დეკემბერში ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყონ სარაიონთაშორისო სემინარი, რომელიც მოისმინეს ტუნგოს მეურნეობათა ბრიგადირებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა. სემინარი ინჟ. ლეუავაძი ჩატარა.

ამჟამად ამს. ოსეფაშვილი და ლეუავა მუშაობები მეცნიერებულ ამძრავიანი ტუნგოს საწმენდი მანქანის შექმნაშე.



ა. ოსეფაშვილისა და კ. ლეუავას კონსტრუქციის ტუნგოს საწმენდი მანქანა.

აგრეგატი ფენესაცელის დასამზადებლად ცხელი ვულკანიზაციის შესით

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფენესაცემლის ფაბრიკის მთავარი ინჟინერის მოაღილეობა ა. კ. სიღოროვამა, ფაბრიკის მთავარმა მექანიკოსმა ი. ი. ფლეიშერმა, მთავარი მექანი-

კოსის განყოფილების ტექნიკურ ბიუროს უფროსმა ეკონიკური საქმიანობა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტმა ვ. ი. ჭუპრაძემ შექ-


წნებთა აგრეგატი ფერსაცმლის დასამზადებლად ცხლი ვულკანიზაციის ზეთოდით. აგრეგატი ავტომატურად აწესრიგებს პროცესის დროს და ტემპერატურას.

წინათ ყველგან ფერსაცმლის ცხლი ვულკანიზაციის წესით დასამზადებელი წნები გრძელ მაგიდებში იდგმებოდა და დიდ ადგილს იკავებდნენ სამჭროში. გარდა ამისა, ვულკანიზაციის პროცესი ღიათ მიმდინარეობდა, რაც არანირმალურ პირობებს ქმნიდა მომუშავებისათვის, რადგან ვულკანიზაციის დროს გაზები გამოიყოფა.

წნებთა ახალი აგრეგატის შემოღება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამჭროს მუშაობას:

აგრეგატის კონსტრუქციაში შესაძლებელი გახადა კონკივერის შემოკლება 30%-ით, ამშობი კარადა, რომელშიც დადგმულია აგრეგატი, აუმჯობესებს მუშაობის პირობებს — ცაგს მუშას გაზების გავლენისაგან, გადადდა შრომის ნაკაფიერება და გაადგილდა მუშაობა კონკივერზე: ახლა ერთი მუშა ადგილიდან დაუქრელად მომსახურებას უწევს 4 წყვილ წნებს — აგრეგატის 8 კალაპოტი მუშის წინ ტრიალებს ორ ჭარედ დადგმულობაზე.

ახალი აგრეგატის დანერგვა წყვეტის განუწყვეტელი ნაკადით მუშაობის საკითხს. გარდა ამისა, აგრეგატი აუმჯობესებს გამოუშვებელი ფერსაცმლის ხარისხს: თუ წინად ვულკანიზაციის პროცესის ტემპერატურისა და დროის ფარდობისათვის თვალყურის დენების სინდელის გამო შედარებით ხშირი იყო ფერსაცმლის ხარისხის გაუარესების შემთხვევები,



წნებთა აგრეგატი ფერსაცმლის შესაკერავად ცხლი ვულკანიზაციის მეთოდით პროცესის დროისა და ტემპერატურის ავტომატური რეგულირებით.

ახლა ტემპერატურისა და დროის რეგულირება ავტომატიზებულია.

თვით აგრეგატი და მისი ავტომატური ხელსაწყობი მარტივია და შეიძლება დამზადებულ იქნას ყველა ფერსაცმლის ფაბრიკაში არსებული სამუშაო პარატების გადაკეთების გზით.

სსრკ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ამ. კისიგონმა ბრძანებათ აღნიშნა ლ. პ. ბერიას საკელობის თბილისის ფერსაცმლის ფაბრიკის კოლექტივის მიღწევები ახალი ტექნიკის დანერგვისა და აგრეგატის შექმნის საქმეში. მინისტრმა მაღლობა გამოუცხადა ფაბრიკის კოლექტივს და ფულადი პრემია მიაკუთვნა. გამოგონების ავტორებს მიეცათ პრემია 12000 მანეთის რაოდენობით.

## დახურული რკალით ავტომატური შედუღების ახალი ხერხი

ურჩალი „მორსკოი ფლოტი“ (№ 1, 1950 წ.) სწერს: „ავტომატური შედუღება მდონობის ფენის ქვეშ (დახურული რკალით) ფართოდ დაინერგა საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით გემთმშენებლობაში. მაგრამ შემდუღებელი აპარატები, რომლებსაც აქამდე უშვებდნენ, სწორხაზოვანი ნაკერით ბრტყელი სექციების შედუღების საშუალებას იძლეოდნენ და არ გამოდგებოდნენ საგემთმშენებლო სამუშაოებისათვის. ამჟამად ლენინგრადის ჭარხანა „ელექტრიკმა“ და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროშედუღების ინსტიტუტმა დაამჟღავს და იწყეს ახალი ტიპის შემდუღებელი მოწყობილობის (შლანგური ავტომატისა და ნახევრად-ავტომატის) გამოშვება.

ამ აპარატში ელექტროდის მავთული, რომელიც მოდის დოლიდან, გადის მიმწოდებელი მექანიზმის გორგოლაჭში და მას გაატარებენ 2,5-დან 5 მეტრამდე სიგრძის ელასტიკური შლანგის ცენტრალურ ნახვრეტში. შემდეგ მავთული გავლის დე-

ნის მიმწოდებელ ბუნიებს და ხვდება შემდუღებელი რკალის ზონაში...

მდონობიც (შეკუმშული ჰაერის წნევის გავლენით) მოდის ელასტიკური შლანგით. მდონობის მოწოდება, გარდა ელასტიკური შლანგისა, შეიძლება დამატებით სქელედლიანი რეზინის მილით, რომელიც ხვიმირთანა დაკავშირებული. ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის აღვილად მანევრირებას შედუღების სამუშაოთა დროს და შედუღების ჭარბობას მდონობის ფენის ქვეშ არა მარტო სწორხაზოვანი მთლიანი ნაკერით, არამედ მრუდეხაზოვანი და წყვეტილი ნაკერითაც ისეთ აღვილებში, რომლებიც მიუწვდომელია ჩვეულებრივი ავტომატური შედუღებისათვის. ამგვარად, შლანგური შედუღება მრავალ შემთხვევაში ცვლის ხელით შედუღებას.

10—25 მმ სისქე ფურცლების პირდაპირ შედუღების სიჩქარე ახალი მეთოდით, რომელსაც „შლანგური შედუღება“ ეწოდება, 45—20 მ/წ აღწევს” ..

## ს ა რ ჩ ე ვ ი

83.

|   |    |
|---|----|
| საბჭოთა საქართველოს 29-ე წლისთავი—ზ. ნ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს<br>სსრ მინისტრია საბჭოს თავმჯდომარე . . . . .  | 2  |
| დიდი ეროვნული დღესასწაული—ვა ს ი ლ ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ უმა-<br>ლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი . . . . .   | 7  |
| სართულშეზა გადახურვის ახალი კონსტრუქციები—ინჟ. ვ ა ხ ტ ა ნ გ შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი-<br>ლ ი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუ-<br>ტის ასპირანტი . . . . .      | 9  |
| ნიკოლაზ მიხეილის-ძე გარსევანიშვილი . . . . .  | 14 |
| მანქანის მარგი მოქმედების კოფიციენტი—ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ა ნ ვ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ტექნიკის<br>მეცნიერებათა კანდიდატი . . . . .  | 15 |
| საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხისათვის—ა ვ თ ა ნ დ ი ლ<br>ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი . . . . .   | 19 |
| უმსპორევადი მინა—კ ა ლ ე ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი . .<br>ვარსკვლავთ სამყარო—თ ა მ ა რ კ ო ჭ ლ ა შ ვ ი ლ ი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა<br>კანდიდატი . . . . . | 23 |
| საუბარი მაღალი სიხშირის დენით—ინჟინერი ვ. პ ა რ ე მ ს კ ი . . . . .   | 26 |
| საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში . . . . .   | 31 |
| დამზადებულია თბილისში! . . . . .  | 35 |
| საქართველოს ქვანახშირები—გ. ბ ა ლ დ ა ს ა რ ო ვ ი—კომბინატ „საქანახშირის“ უფრო-<br>სი ინჟინერი . . . . .  | 36 |
| სამეცნიერო-კვლევითი მშშაობა ბათუმში—ჩ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, აჭარის, სახელმწიფო მუზე-<br>უმის დირექტორი . . . . .  | 37 |
| „მ. სედოვის“ დრეიფის ათი წლისთავი—შ ა ლ ვ ა ყ ი ფ ი ა ნ ი, გეოგრაფიის მეცნიერე-<br>ბათა კანდიდატი . . . . .   | 41 |
| მეცნიერებისა და ტექნიკის ქრონიკა . . . . .  | 43 |
|   | 46 |



პასუხისმგებელი რედაქტორი—რ. აგლება

ს ა რ ჩ ე ვ ი კ ო ლ ე ბ ი ა:

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აგლება, საქ. სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. კუპრაძე, პროფესორი ვ. კაბაბაძე, დოცენტი მ. მირიან-  
შვილი, ინჟინერი ქ. გურგენიძე, ინჟინერი შ. ჯაბუს, ე. ჭულაძე (რედაქციის პასუ-  
ხისმგებელი მდივანი).

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.3.50 წ., უ 0 01442, შეკვ. № 66. ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, აკ. წერეთლის ქ. № 7.

Типография Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. Ак. Церетели № 7,



40.10/39

ვაის 5 გვე.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛ  
„МЕЦНИЕРЕБА да ТЕХНИКА“,  
издаваемый Академией Наук  
Грузинской ССР  
(на грузинском языке)

Тбилиси

1950